ქეთევან ლორთქიფანიძე
გურამ ლორთქიფანიძე

# აჰმედ აჭარი
# და
# ხიმშიაშვილების
# გვარის
# ისტორია

თბილისი 2004წ.

რედაქტორი: **პროფესორი ვახტანგ გურული**
რეცენზენტები: **ჰამლეტ ჭიპაშვილი**
**სიმონ შარაძე**

© ქ. ლორთქიფანიძე, გ. ლორთქიფანიძე, აჰმედ აჭარი
და ხიმშიაშვილების გვარის ისტორია, 2004წ.
© გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2004 წ.

**ISBN** 99940-23-66-7

ვუძღვნით მშობლიურ კუთხეს
ზურმუხტოვან აჭარას და მის დიდებულ ხალხს

*ავტორები*

სურ. 1. ახმედ აჭარი ხიმშიაშვილი

# შესავალი

საქართველოს სიმდიდრე მისი საგვარეულოებია. დღეს სპეციალისტები 25000-ზე მეტ გვარს აღრიცხავენ. ბევრი მათგანი შორეული წარსულიდან მოდის, ზოგი შედარებით ახალგაზრდაა, ერთნი არისტოკრატული წარმოშობისაა, მეორენი გლეხურისა, მაგრამ ორივენი ჩვენი ერის სიამაყე და გენეტიკური ფონდია, რომელსაც გამომზეურება და შესწავლა ესაჭიროება. თურქეთში მოგზაურობისას მივაქციე ყურადღება იმ გარემოებას, რომ იქ მცხოვრებ „ჩვენებურებს“ დღემდე არ დაუკარგავთ თავისი ძველი გვარები, ისტორიულ მახსოვრობას კარგად შემოუნახავს წინაპრების სახელები. ვისაც განსაკუთრებით შეეხო ასიმილაციის პროცესი ისინი დიდი გულისტკივილით აღნიშნავდნენ: ჩვენი ძველების გვარი აღარ გვახსოვს, მაგრამ ეიცით ჩვენი გურჯობაო. სულზე მოგვისწრო XXI საუკუნემ, შეიცვალა თურქეთი, ევროპული განვითარების გზას დაადგა. ცალკეული ექცესების გარდა ეროვნულ შეუწყნარებლობას ადგილი აღარ აქვს. ამას თავად კარგად ვხედავდით თურქებისა და ქართველების კეთილგანწყობილ ურთიერთობაში, ტურისტულ პროსპექტებში ქართული ძეგლების მინიშნებაში, ქართულ-თურქული ჟურნალების გამოჩენაში და სხვ. სტამბოლის ცენტრში, ბეი ოლუზე სეირნობისას ქუჩაში დახლზე გამოფენილ ძველ წიგნებს წავაწყდით და სულმა წამძლია, დავიწყე მათი ქექვა, მეპატრონე ჩაის სმით იყო გართული და არავითარ ყურადღებას არ გვაქცევდა. თითქოს გულმა მიგრძნო და წიგნების გროვაში გამოვარჩიე ანკარაში, 1995 წელს გამოცემული Ahmet Acar-ის – აჰმედ აჭარის (ე. ი. აჭარელის გამიელვა აზრმა) ნაშრომი „Tarihte Hamşioğullari“ - ხიმშიოღლების (ხიმშიაშვილების!) გვარის ისტორია. არც დავფიქრებულვართ წიგნი მაშინვე შევიძინეთ და არც გვინანია. ფოტოსურათებიდან მიცქეროდენ წმინდა ქართული სახეები ხიმშიაშვილებისა და აბაშიძეებისა, ჯაველების და ათაბაგებისა მათი სანათესაოსი, წინაპართა და თანამედროვე მოღვაწეთა. გაგონილი მქონდა, რომ თურქეთში გამოუციათ დადიანებისადმი მიძღვნილი ძვირფასი, ძვირად ღირებული გამოცემა, მაგრამ ხიმშიაშვილების ამ წიგნთან თითქოს განგებამ მიმიყვანა. თურქეთის არისტოკრატიაც დაინტერესებულია თავისი ფესვებით, თავისი ქართული

წარმოშობით და ალბათ ამ ტიპის სხვა გამოცემებიც არსებობს, რომელსაც მოძიება უნდა. დღეს კი ამ პატარა აღმოჩენით დაეკმაყოფილდეთ, რომელიც თურქეთში მცხოვრებ ხიმშიაშვილების გვარის ისტორიას ეხება. იმ გვარისა, რომელიც თურქეთისა და რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეული სამშობლოს გადასარჩენად იღწვოდა და მწვავედ იწვნია რეპრესიების სუსხი – მათ სიკვდილით სჯიდნენ, უწვავდნენ სახლ-კარს, ასახლებდნენ. მიუხედავად ამისა თურქეთში მცხოვრებმა ხიმშიაშვილებმა დღემდე მოიტანეს თავისი გვარის ღირსება. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება თუ რაოდენ მაღალ შეფასებას აძლევდნენ ამ გვარის შვილებს, აჭარის მმართველებს მათ მოღვაწეობას XIX ს. დ. ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი და სხვ. ეს საინტერესოა მით უმეტეს, რომ ამ ინფორმაციას არ ფლობდა ბატონი აჰმედ აჭარი. ჩანს ასევე არ იცოდა მან ბათუმში 1962 წ., 1986 წ. გამოცემული წიგნების დ. მამულაძე – "შერიფ ხიმშიაშვილი" ან. სურგულაძე – „სელიმ ხიმშიაშვილი"-ს შესახებ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ადგილი არ მოინახა ამ საგვარეულოს ღვაწლის აღსანიშნავად (გამონაკლისი მხოლოდ სელიმ ფაშაა). ასევე 1935-36 წლებში თურქეთში რეპრესირებულნი იყვნენ ხიმშიოღლების არისტოკრატიული ოჯახის შვილები. აჰმედ აჭარის საგვარეულო ქრონიკა თუ ასე შეიძლება ეწოდოს ამ ჟანრის ნაწარმოებს იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ გვაძლევს საშუალებას უცხო ეთნიკურ გარემოში მოხვედრილი ძველი და გავლენიანი საგვარეულოს ცხოვრება შიგნიდან, თურქული სამყაროს გადასახედიდან დავინახოთ. ადამიანურად სავსებით გასაგებია აჰმედ აჭარის – ხიმშიაშვილების აპოლოგია, წარმოაჩინოს გამუსულმანებულ-გათურქებულ მართლმადიდებელ ქართველების ხიმშიოღლუ – ხიმშიაშვილების დამსახურება თურქეთის იმპერიისა და მერე თურქეთის რესპუბლიკის წინაშე. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ საგვარეულო და მისი ღვაწლი დაუმსახურებლად იქნა მივიწყებული, ახალგაზრდობას წარმოდგენაც კი არა აქვს ხიმშიაშვილების როლზე ქართული პროვინციების შემოერთებასთან დაკავშირებით. წიგნი „ხიმშიაშვილების გვარის ისტორია" გამოცემულია ტურიზმის ფონდის სახსრებით (Turizm Gelistzime vakibi Yaynidir) მოკრძალებული ტირაჟით, მაგრამ ყისმათის განგებით მაინც მოაღწია ისტორიულ სამშობლომდე, რომელიც ერთნაირად მიაგებს პატივს მუსლიმან და და ქრისტიან

ხიმშიაშვილების მართლაც სახელოვანი გვარის ამ წარმომადგენლებს.

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და ეთნოგრაფმა თედო სახოკიამ, აჭარაში ყოფნისას საჭიროდ ჩათვალა აღენიშნა, რომ „აჭარაში და განსაკუთრებით მის ზემო ნაწილში გავლენიანი იყო და მთელი მხრის ბატონად ითვლებოდა ხიმშიაშვილების გვარი. ეს გვარი, როგორც ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს მონათესავეა არაგვის პირის (დუშეთის მაზრა) ხიმშიაშვილებისა“-ო. ბევრად ადრე გამოჩენილმა არქეოლოგმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელიც 1873 წელს შემოიარა აჭარა, ასევე განაცხადა ხიმშიაშვილები „აჭარის ყველაზე საპატიო საგვარეულოს ეკუთვნისო“ (არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბ. 1987, გვ. 65). მისი სიტყვებით, რომელიც ზეპირგადმოცემებზეა დაფუძნებული „აჭარელ ხიმშიაშვილთა პირველი ცნობილი წინაპარი, უბრალო მწყემსი ყოფილა, რომელიც თავისი ენერგიულობით დაწინაურებულა“. ხიმშიაშვილებს ახლო ნათესაობა ჰქონდათ გურიელებთან და მათ შორის მიწერ-მოწერა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. აღწერს რა დიმიტრი ბაქრაძე ხიმშიაშვილების მოღვაწეობას თურქეთ-რუსეთის გართულებულ ურთიერთობათა ფონზე, წარმოგვიდგენს აჭარის მფლობელის აბდულ ბეგ ხიმშიაშვილის შემდეგ განვლილ გზას:

აბდულა ბეგი

(1782 წ. მოკლეს აკეთზე თავდასხმისას)

სელიმ ფაშა

(მოკლეს 60 წლისა ხარხათის ციხეში, დაკრძალულია

ნიგაზეულში, ზემო აჭარაში)

მას ყავდა ოთხი ვაჟიშვილი, აქედან უფროსი ფარხად ბეგი ახალქალაქის ციხის უფროსი რუსებთან შეტაკებაში დაიღუპა 1828 წ; ახმედ ფაშა, არზრუმის სერასკირი, დაკრძალულია არზრუმში ლალა ფაშის ჯამეში. აბდულ ბეგს ცოლად ჰყოლია სვიმონ გურიელის ასული კესარია, გარდაიცვალა 1859 წ. და დურსუნ ბეგი თავჩკერის მფლობელი. ქალები ხშირ შემთხვევაში ქართველ თავადებზე თხოვდებოდნენ და შესაბამისად მშობლიურ ენას ინარჩუნებდნენ. დიმიტრი ბაქრაძის აზრით: „თავისი გვარი განსაკუთრებით ასახელა აბდულბეგის ვაჟმა სელიმ ფაშამ". ციციანოვის დროს კაფუჯი ბაში სელიმ ხიმშიაშვილი 1803 წელს ახალციხიდან აძევებს ფაშას და მერე სულთანი თავად მას ანიჭებს ახალციხის სამთელიანი ფაშის ხარისხს. მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა სოლომონ II-ეს, რომელიც მისი მეშვეობით ცდილობდა ტახტის დაბრუნებას. 1814 წელს სელიმი თითქმის დამოუკიდებელი მთავარი ჩანს, ამიტომ სულთანის რისხვაც დაატყდა. 1815 წელს ის იძულებული იყო თავი აჭარაში საგვარეულო მამულისთვის შეეფარებია. მუხანათურად მოკლული სელიმ ფაშას თავი სტამბოლში გააგზავნეს. სიკვდილის წინ მას უთქვამს: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემ შვილებს დავუტოვებო" (ს. ჭიჭინაძე. ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთა, თბ. 1916, გვ. 186). შვილებმა, ახმედ ბეგმა და აბდი-ბეგმა თავშესაფარი გურიის მთავრის მამია V-ის კარზე ჰპოვეს, ხოლო შემდეგ დაბრუნდნენ აჭარაში. 1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს სულთანი იძულებულია შეიწყალოს ახმედ ხიმშიაშვილი და მას ახალციხის ფაშობასაც კი უბოძებს. ის საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსებთან გენერალ ბებუთოვის მეშვეობით. ნიკოლოზ I-მა მას გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა, სტანისლავის ორდენით დააჯილდოვა. მზად იყო სამხრეთ საქართველო ჩამოეშორებინა ოსმალეთისაგან. რადგან მან რუსებს სრული მორჩილება არ გამოუცხადა, იძულებული შეიქმნა აჭარაში გაქცეულიყო. აქ კარგად ჩანს ხიმშიაშვილების მეამბოხე ბუნება და თავისუფლებისკენ სწრაფვა, სურვილი დედა სამშობლოსთან შეერთებისა. ივნისში მას მიწერ-მოწერა ჰქონდა გენერალ ბებუთოვთან აჭარის რუსეთის ქვეშევრდომობაში გადასვლასთან დაკავშირებით, მაგრამ რუსეთის იმპერიის მოუქნელი საგარეო პოლიტიკის გამო ეს მაშინ არ მოხერხდა. სულთანმა ახმედ ფაშას ყარსის გამგებლობა და შემდეგ არზ-

რუმის სერასკირობა უბოძა. ამით კარგად ისარგებლა ახმედ ფაშამ და თავისი გავლენა მთელ თურქეთის საქართველოზე გაავრცელა. ხიმშიაშვილები სულთანს ნომინალურად ექვემდებარებოდნენ. ამასთანავე ახმედ ფაშას დროს დაიწყო აჭარის გათურქების პროცესი, რომელიც საბედნიეროდ ხალხის ფართო მასებს ნაკლებად შეეხო და მხოლოდ მუსულმანობის გავრცელებაში გამოიხატა.

ს. ჯიჯინაძის მიერ შეგროვებულ ზეპირგადმოცემის თანახმად (მთქმელი 75 წლის ყადი ოღლი ბოლქვაზე, 1985 წ.), ხულოს კეთილნაშენი ეკლესიის დანგრევა XIX ს-ის პირველ ნახევარში ახმედ ფაშა ხიმშიაშვილის სახელს უკავშირდება, ხალხის დამოკიდებულება ამ ბარბაროსული აქტის მიმართ მკვეთრად უარყოფითი ყოფილა. ბოლქვაძის თქმით: „თუმცა თაობებად გადაეკვეთდით, მაგრამ ხულოს ეკლესიას კი პატივისცემას და პატრონობას არ ვაკლებდით, სუფთად ვინახავდით"-ო. ს. ჯიჯინაძეს 1894 წლის „საფხულ"ში მოუნახულებია ხულოს ეკლესიის ნაშთები, რომლის თავზე ხის ჯამე მდგარა. ახმედ ფაშას დაქცეული სასახლის კედლებში მას მრავალი ჩუქურთმიანი ქვა შეუნიშნავს („ივერია", 1895., 25-26 აგვისტო). ეკლესიის ქვაბი არა მარტო ახმედ ფაშას სასახლისა და აბანოს ასაგებად გამოუყენებიათ, არამედ მისი ქვათლილებით შემოუსლუდავთ საგვარეულო სასაფლაო, მოუწყვიათ წყაროსთავი. ხალხს ეს ავისმომასწავლებელ ნიშნად ჩაუთვლია (ს. ჯიჯინაძე, ქართველთა გამუსლიმანება, თბ., 2004, გვ. 61-62).

მურთაზ ბეგს, აბდი ბეგის შვილიშვილს მამისაგან შერიფ ბეგისაგან განსხვავებით, ქართული ენაზე საუბარი უჭირდა. მას სიჭაბუკე სტამბოლსა და ტრაპიზონში ჰქონდა გატარებული. დედამ არტაანის ბეგის ასულმა და არც მეუღლემ საერთოდ არ იცოდნენ ქართული. 25 წლის ახოვანი მურთაზა ბეგი თავაზიანად შეხვედრია დ. ბაქრაძეს და უთქვამს: „ალბათ ვერ გასიამოვნებთ, რადგან ქართული ლაპარაკი მიჭირსო". ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან 1578 წლიდან 1878 წლამდე სამასი წლის განმავლობაში აჭარა, შავშეთი, იმერ-ხევი თურქეთის შემადგენლობაშია. სოციალურად დაწინაურებული ფენები ხალხთა მასებისაგან განსხვავებით ეფრო ხშირად ხდებოდნენ ენობრივი ასიმილაციის მსხვერპლნი. უნდა ითქვას, რომ მშობლიური ენა აჭარაში ხალხმა, განსაკუთრებით კი ქალებმა შ:: მოინახეს. დღესაც, იქ სადაც წმინდა ქართული ოჯახებია, ჩვენებურების კომპაქტურ, კუნძულებივით გაბნეულ დასახლებებში

ადაბაზარი (ზექერია) იქნება თუ ბურსა – ინე გოლი თავანკარა ქართული ენა, ისევე როგორც ქართული ჯიში შენარჩუნებულია. შესაბამისად მაღალია ეროვნული თვითშეგნება.

1874 წელს აჭარა მოინახულა გიორგი ყაზბეგმა, რომელსაც აღელვებდა მამულის დაკარგული ნაწილის ბედი. მან თავის დღიურებში დიდი ყურადღება დაუთმო ხიმშიაშვილების ღვაწლს. ხულოს მედრესეს აღწერისას მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ იქ ყოფილა შერიფ ხიმშიაშვილების საგვარეულო საძველე. მისი სიტყვებით: „ჩვენი ვალია მოვნახოთ, აღვადგინოთ და სათანადო წარწერები გავუკეთოთ ამ დიდი მამულიშვილის ოჯახის წევრთა განსასვენებელს“-ო (გიორგი ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995, გვ.16). გიორგი ყაზბეგმა გაიცნო შერიფ ხიმშიაშვილის ვაჟი, მურთაზა ბეგი რომელიც თითქოს თურქული ორიენტაციის გამო 1876 წელს საკუთარმა მამამ მოჰკლა. ასე აისახა ეროი ოჯახის მაგალითზე დიდი ეროვნული ტრაგედია – ორი იმპერიის საჯიჯგნად ქცეული საქართველო. გავიხსენოთ ამ ეპოქის ხალხისეული შეფასება გურულ-აჭარულ ხალხურ სიმღერაში „ალი ფაშაში“, რომ არის მოცემული: „ხვანოქარი და რუსი ჩხუბობს, იგი არის ორივ ეში, ალი ფაშამ გვიღალატა, აგვიყვანა კვირიკეში. მან რომ ფულები აიღო, ჩვენ დაგვტია სხვისა ხელში“. გიორგი ყაზბეგს სხალთაში უმასპინძლა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილმა (1829-1892), რომელსაც ასეთ დახასიათებას აძლევდა: „შერიფ ბეგი 45 წლისაა, საშუალოზე მაღალი, წარმოსადეგი. მას ტიპიური ქართული სახე აქვს. იგი ძალზე ჭკვიანია, კარგი მოსაუბრე და ენამოსწრებული, თავისებურად განათლებული“ (გ. ყაზბეგი სამი თვე თურქეთის საქართველოში, გვ. 44.). სამწუხაროდ ბეგის მრავალრიცხოვანი შვილები ცოტას ლაპარაკობდნენ ქართულად, აღარ იცოდნენ წინაპრების ენა, რადგან არდაგანში ცხოვრობდნენ – თავის თურქი დედის ოჯახში. გიორგი ყაზბეგი გულისტკივილით დასძენს „ნუთუ აჭარაში საქართველო გაქრა?“ ეს გულისტკივილი სულ მალე აღტაცებაში გადაეზარდა, როცა დარწმუნდა რომ მშრომელი ხალხი, გოგო-ბიჭები ქართულად საუბრობდნენ. გიორგი ყაზბეგის მონათხრობით ახმედ ფაშის სიკვდილის შემდეგ ქორ-ხუსეინი მართავდა მთელ აჭარას და ყოველნაირად უშლიდა ხელს მის გათურქებას“ (გ. ყაზბეგი, გვ. 68). ამიტომაც ხალხში მას უშიშარ რაინდად წარმოიდგენდნენ და ბევრ საარაკო საქმეს უკავშირებდნენ. XIX საუკუნის ორმო-

ციან წლების დასასრულს სულთნის სადამსჯელო ექსპედიციის შემდეგ პუსეინ ბეგი დაიჭირეს და ის სტამბოლში გარდაიცვალა. აქედან იწყება თურქეთის საბოლოო გაბატონება აჭარაში, ხიმშიაშვილებს ჩამოერთვათ ქართველი მეფეებისა და თურქეთის სულთნების მიერ გაცემული საგვარეულო სიგელ-გურჯები და ფირმანები. თანზიმათის პროცესში (Tanzimat. გარდაქმნა. რეფორმა) გამოცხადდა, რომ ხიმშიაშვილებს ჩამოერთვათ წოდებრივი უფლებები და მათ საერთო საფუძველზე უნდა გაელოთ გადასახადი. აჭარიდან აბდი ბეგ ხიმშიაშვილი შავშეთში გადმოსახლებულა. მან აქ „დააფუძნა გავლენიანი ბეგების მოდგმა, რომლებსაც თურქები ხიმშიაოღლებს უწოდებდნენ" (გ. ყაზბეგი, გვ. 94). გ. ყაზბეგის დასკვნით დიდი ხნის განმავლობაში თურქეთის საქართველოში ხიმშიაშვილების ბეგარი უძლიერესი იყო. აჭარა XIX ს. ორმოციან წლებამდე ფაქტიურად თურქეთის იმპერიასთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო და ქვეყანას ხიმშიაშვილების საგვარეულო მართავდა. „ორმოციანი წლების დასაწყისში, აღნიშნავს გ. ყაზბეგი, ბეგის (ხიმშიაშვილების. გ. ლ.) საგვარეულოს წევრები გამოიძახეს სტამბოლში, სადაც მთავრობამ მათ განუცხადა, რომ უნდა გადაისინჯოს მათი საგვარეულო ფირმანები და შეიცვალოს ახალი წესების კვალობაზე". ისინი დაემორჩილნენ და გადასცეს მას მათი წინაპრებისათვის, როგორც ქართველი მეფეების, ისე თურქეთის სულთნის მიერ ნაბოძები საბუთები. ამ საბუთების ხელში ჩაგდების შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა თანზიმათის ცნობილი დებულება: „იმპერიის ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად კლასისა და რელიგიისა, ერთნაირ საფუძველზე იხდის გადასახადს". გ. ყაზბეგი აღნიშნავს „როცა აჭარელი ბეგები ამ მახეში გაებნენ ოპოზიციაში ჩადგენ, მაგრამ უკვე გვიან იყო. ამ უკმაყოფილების ერთადერთი შედეგი ის იყო, რომ ბეგები და ხალხი ახლა ერთ ბანაკში მოექცენ." (სპეციალისტების აზრით ეს ჩამორთმეული სიგელ-გუჯარები ინახება სტამბოლის არქივებში). ნიშანდობლივია, რომ 1844 წელს აჭარაში, ისევე როგორც მთელ მუსულმანურ სამხრეთ საქართველოში ამ რეფორმების (თანზიმათი) წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. გ. ყაზბეგის ცნობით 1844 წელს ოსმალეთის მთავრობამ დაგეგმა თავს დასხმოდა ახალციხეს და ამით დაესუსტებინა რუსეთის საომარი ოპერაციები დაღესტანში, შამილის წინააღმდეგ. ხიმშიაშვილებმა და სხვა ქართველმა ბეგებმა გადაწყვიტეს გამოეყენებინათ ეს ვითარება თავიანთ სასარგებლოდ. შე-

აგროვეს 100 000 მებრძოლი და ეითომ ახალციხეზე ლაშქრობის საბაბით დაიწყეს საომარი მოქმედება ოსმალეთის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ თანზიმათის რეფორმების გაუქმებას. ამ აჯანყებას სელიმ ბეგ ხიმშიაშვილი აბდი ბეგის შვილი ხელმძღვანელობდა ის ამ დროს შავშეთის გამგებელი იყო და დიდი გავლენით სარგებლობდა სამუსლიმანო საქართველოში. მან რუსეთის საზღვართან ფოცხოვთან განალაგა თავისი რაზმები, მაგრამ საჭირო ძალების კონცენტრაცია ვერ მოახერხა. სულთანმა მოლაპარაკებისა და ურთიერთდაპირისპირების მეშვეობით შესძლო აჯანყების ჩაქრობა. სელიმ ბეგ ხიმშიაშვილის აჯანყება საბოლოოდ მარცხით დამთავრდა, თუმცა რეფორმების გატარება სამუსლიმანო საქართველოში ორი ათეული წლით დამუხრუჭდა. საინტერესოა, რომ გიორგი ყაზბეგის შემდეგ შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის წინ შეხვედრია ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ი. კერესელიძე. მასთან საუბარში შერიფ ბეგს უთქვამს: „ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი. მე მზად ვარ, რომ მაშინვე ჩემი ძვეანა ქართველ შვილებს შევუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგ ასე გახდეს“. ამ ოცნების განხორციელება მხოლოდ რუსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ახმედ აჭარი, ხიმშიაშვილების ძველი საგვარეულოს წარმომადგენელი თავის წიგნს წინაპრების ხსოვნას უძღვნის, რომელთა შორის არიან სელიმ, ახმედ და ქორ ხუსეინ ფაშები და აბდი ბეი. ისინი რომ ქართველები იყვნენ კარგად იცის ავტორმა, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ შთამომავლობა გათურქებულია, მუსულმანი. მისი მიზანია შეახსენოს მთავრობას ხიმშიოღლების დამსახურება ქვეყნის წინაშე. ავტორი სწუხს რომ ახალგაზრდობამ არაფერი იცის ხიმშიაშვილების შესახებ. წიგნში უხვადაა გამოყენებული საოჯახო საარქივო მასალები, ზეპირგადმოცემები, ფოტოსურათები, სულთანის ფირმანები, მოსაწვევი ბარათები თუ დარბაზობის მენიუები. გასაგებია აჰმედ აჭარის მკვეთრად გამოხატული პროთურქული პოზიციაც ხიმშიაშვილების გვარის ისტორიული ღვაწლის შეფასებაში. ჩვენთვის მთავარია, რომ წარმოვაჩინოთ ხიმშიაშვილების მოღვაწეობის შიდა, თურქული მხრის ხედვა, რომელიც ჩვენთვის წლების განმავლობაში მიუწვდომელი რჩებოდა. ისევე როგორც თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეთა კულტურული ყოფა. ქართულ სოფლებში ხომ ძველებურად ჯვარს სვამენ გამოსაც-

ხობ პურსე და გაზაფხულსე წითლად ღებავენ კვერცხებს, ინარჩუნებენ ეროვნულ თვითშეგნებას და ქართული ყოფა-ცხოვრების წესებს. ამ თვალსაზრისით საყურადღებო ჩანს თურქეთიდან გამოგზავნილი წერილიც:

„ღმერთმა საქართველოსა სიმრავლე, სიკეთე მისცეს, გონჯი ღღიები აღარ გაუთენოს. მე საქართველოს ერთი წუეთი სისხლი ვარ, გულსე ვიკრი საქართველოს კარითას, აგერ მაქ გულის ჯიბეში, საქართველოსთან ერთად დავდივარ ამ იავანჩ მიწასე. ყური სულ გურჯისტანისკენ მაქ. 9 აპრილსე რომ გუუჭირდა ქართველ ხალხსა, სამასი დაწკეპილი გურჯი შევიყარეთ და თოფლანთი ვქენით, რით მივემხროთ ჩვენ ძმებსო. ღმერთმა კარგა ამყოფოს ჩვენი საქართველო!" (პროფ. შუშანა ფუტკარაძის წიგნიდან „ჩვენებურების ქართული", ბათუმი, 1993, გვ. 121).

ცნობილ მკვლევარს შუშანა ფუტკარაძეს, რომლის თაოსნობით არაერთი ექსპედიცია მოეწყო თურქეთის საქართველოში, თვის წიგნში თურქეთის მოქალაქე ხიმშიაშვილების 17 წარმომადგენელი ყავს მოხსენებული, მათ შორის აჰმედ აჭარის ოჯახი. ხიმშიაშვილები ცხოვრობენ ამერიკასა და ევროპის რიგ ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია) და იმედია თბილისში არსებული სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება იზრუნებს რათა მათი კვალი არ დაიკარგოს. საქართველოს არ ყავს დასაკარგავი შვილები.

როგორც ცნობილია ე. თაყაიშვილმა სამი არქეოლოგიური ექსპედიცია მოაწყო სამხრეთ ე. წ. სამუსლიმანო საქართველოში (1902 წ. 1907 და 1917 წელს), რომელიც არ ყოფილა განებივრებული ქართული ინტელიგენციის ყურადღებით. ბოლო სამეცნიერო მიელინების დროს, რომელიც საქართველოს სამღვდელოებამ და თბილისის თავად-აზნაურობამ დააფინანსა, მთელი სამუსლიმანო საქართველო და ტაო-კლარჯეთი, კოლა, არტაანი, თორთუმი, ისპირი და სხვა ფრონტისპირა პროვინციები გაევრანებული, აოხრებული დახვედრია. წინა წლებში მოგზაურობისას ე. თაყაიშვილმა საჭიროდ ცნო საზოგადოებისათვის ეცნო შემდეგი გარემოება: „ბეგები ამ მხარისა ეკუთვნოდნენ ხიმშიაშვილების გვარეულობას". მას პირადად გაუცნია ოთხი მაიგანი. მათ შორის უფრო შეძლებული დურსუნ ბეგი ტაოსკარში ცხოვრობდა, ფანასკერტისა და კარნაკაზის მამასახლისები 1907 წ. ხიმშიაშვილნი ყოფილან. ე. თაყაიშვილის მეგზურს ამ მხარეში ჩაფარ (სტრაჟნიკ) ხიმშიაშვილს მისთვის

მოხუცი, 100 წელს მიტანებული დედა გაუცვნია „მხნე, მაღალი და წარმოსადეგი“, მშვენივრად მოლაპარაკე ქართულად. (ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში, კრ. დაბრუნება I, თბ. 1991, გვ. 313). ცხადია ასეთ ტრადიციულ ოჯახში ქართველებად აღზრდიდნენ შვილებს. ოლთისის ხეობაში ე. თაყაიშვილსა და მისი ექსპედიციის წევრებს უმასპინძლა დერვიშ ბეგ ხიმშიაშვილმა დურსუნ ბეგის შვილმა. ამ დროისათვის ბეგებს თითქმის აღარ ჰქონდათ შემორჩენილი ძველი ქართული ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები, რომლებსაც ჯერ კიდევ ნიკო მარი ეძებდა დიდი რუდუნებით (იხ. მისი Георгій Мерчулъ Житіе св. Григория Хандзиійского введение, издание, перевод с грузинского Н. Марра с дневником поездки в Шавшо и Кларджо. С-Петербургъ, 1911) ნ.მარის აღწერით ტბეთის შემდეგ დაბა კეთილთან და საბუდართან მდ. შავშეთის ხიდთან, მდებარეობდა ნური ბეგ ხიმშიაშვილის ორი სახლი, ერთი ძველი მიგდებულ-მიტოვებული, მეორე მისგან აღმოსავლეთით ახალი (Марр.გვ. 27). ეს ის ნური ბეგი უნდა იყოს, რომელიც 1883 წ. ილია ჭავჭავაძეს წერდა მისივე ხარჯებით და თაოსნობით შავშეთ'ში ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის დაარსების თაობაზე, რათა ბავშვებს „ჩვენი დედა-ენა ესწავლათ“ (მ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, გვ. 13). აჰმედ აჭარი ხიმშიაშვილი თურქეთის არმიის მაღალი რანგის კადრის ოფიცერი ოელის, რომ „ხიმშიაშვილების ოჯახი აღმოსავლეთ ანატოლიაში, აჭარაში და საეროდ საქართველოში“ პოლიტიკური წონასწორობის მუდმივ ელემენტს წარმოადგენდა. „ხიმშიაშვილები აჭარისა და მისი გარემომცველი მიწა-წყლის (ე. ი. ისტორიული საქართველოს ქ. ლ.) დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საგვარეულოა“; „ეს ის ოჯახია, რომელიც რუსეთს ძილს უფრთხობდა საშიში სიხმრებით მეფის რუსეთის ეპოქაში და ბოლშევიკების დროსაც“. (Ahmet Acar, Tarihte Hamsioglllari, გვ.5). ამ წიგნის წინასიტყვაობაში აშკარა კონიუნქტურულ პათოსით დეკლარილებულია – ხიმშიაშვილებმა აღიარეს მუსულმანური სარწმუნოება!, მიიღეს „თურქის ეროვნება!“ ებრძოდნენ რა რუსეთის იმპერიალიზმს თავისი დაუღალავი მოქმედებით მათ „მოსკოვის ცივი ყინული გასტეხეს!“ (ა. აჭარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7). მართლაც ბრძოლა მეფის რუსეთის წინააღმდეგ წითელ ხაზად გასდევს XVIII-XX სს. თურქეთის ხიმშიაშვილების საგვარეულო ისტორიას. ხიმშიაშვილებისა და თურქეთში გახიზნულ კერესელი-

ძეების ბრძოლაზე კომუნისტური რუსეთის წინააღმდეგ საინტერესო მოგონებები ჰქონდა ანკარაში XX ს. ორმოცდაათიან წლებში მომუშავე ქართველ დიპლომატ ჯიმშერ კლიმენტის ძე ლორთქიფანიძის გადმოცემით ხიმშიაშვილები იქაც საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ.

აჰმედ აჭარის განცხადებით მისი ეს „წიგნი მხოლოდ ერთი ოჯახის ქრონოლოგიური ქრონიკა-დოკუმენტი არ არის, ის მათი არც უბრალო თავგადასავალია". ის იშველიებს თურქულ ანდაზას „მარტო საფლავის ქვებით ვერ იამაყებ". წინაპართა მოგონება შთამომავალთა გამხნევებისთვისაა საჭირო. ის ერთგვარი ნაპერწკალია, რომელმაც უნდა აღაგზნოს ცეცხლი, მორალურად განამტკიცოს საგვარეულო. „ახალ თაობაში, ახალგაზრდობაში ხიმშიაშვილების დიდებას დავიწყების მტვერი დადებია. მუდმივმა მტერმა რუსეთმა შესძლო მათი დაუძლურება. ძმებსაც კი ერთმანეთის მტრების თვალით შეახედეს" (ა. აჭარი, გვ. 54). ამ ისტორიული სახელგანთქმული ოჯახის წევრია აჰმედ აჭარი. ის დაიბადა 1920 წელს ვალესთან ახლოს სოფელ ფოცხოვში, სადაც ქართული ენა მხოლოდ ლრმა მოხუცებს ახსოვდათ. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება თურქულ ენაზე. შემდეგ სწავლა გააგრძელა ერზიჯანის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც საშუალო განათლების ატესტატსაც იძლეოდა. 1942 წელს დაამთავრა ქალაქ ბურსას სამხედრო ლიცეუმის სრული კურსი და მიიღო ოფიცრის წოდება. სამხედრო ლიცეუმის პარალელურად მან დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკის ე. წ. პრაქტიკული სასწავლებელი. მისი სამხედრო კარიერა დაიწყო თურქეთის სახმელეთო ჯარებში სამსახურით და დასრულდა 1974 წელს თადარიგში იძულებითი გასვლით – („შტატების შემცირების მიზეზით"). მუშაობდა საზღვარგარეთაც, ფლობს გერმანულ ენას. ამის შემდეგ მთელი რიგი წლების განმავლობაში, ის ხელმძღვანელობს მსხვილ სახელმწიფო და კერძო კომპანიებს, განახორციელა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამეურნეო პროექტები. მათი ჩამონათვალი მოტანილი აქვს წიგნში. დაჯილდოვებულია თურქეთის რესპუბლიკის ორდენებით და სამხედრო წარჩინების ნიშნებით. 1980-1984 წწ. დენიზლის მუნიციპალიტეტის თავკაცია, არჩეული იქნა ამ ქალაქის საპატიო მოქალაქედ. პენსიაზე ყოფნისას საოჯახო არქივისა და დოკუმენტების საფუძველზე დაწერა „ხიმშიაშვილების გვარის ისტორია", რომელიც ობიექტურად, სურდა თუ არა მის ავტორს საქართველოსთან მიმართებაშია წარმოჩენი-

ლი. 1993 წელს პირველად მოინახულა წინაპრების სამშობლო, გაიცნო ქართველი ნათესავები. საქართველოს გარდა არავის შესტკივა გული ხიმშიაშვილების საგვარეულოს ბედ-იღბალზე. ერთში მაინც დაეთანხმოთ ბატონ აჰმედ აჭარს. მართლაც ხიმშიაშვილებს სამშობლოსათვის ბრძოლაში „მიწა საწოლად ექცათ, ქვა – ბალიშად, ფოთოლი კი საბნად“.

1921 წელს სამშობლოდან თურქეთში გადახვეწილი, მერე რეპრესირებული თემურ ფაშა ხიმშიაშვილი მწარედ მოსთქვამდა: „ბედი რომ მქონდეს წავიდოდი, ჩემს სამშობლოში ჩავიდოდი“-ო.

დღეს საბედნიეროდ „ვარდების რევოლუციის“ მეშვეობით ყველა გადახვეწილი და ღტოლვილი ქართველისათვის სამშობლოს კარები ღიაა. ჩვენ მართლაც არ გვეავს დასაკარგავი შვილები. ეს აზრია ჩადებული ა. აჭარის შრომის საფუძველზე დაწერილ ჩვენს ნარკვევში.

ქეთევან ლორთქიფანიძე
გურამ ლორთქიფანიძე

სტამბოლი-ბათუმი-თბილისი 2003 წელი

ახმედ აჭარს მოჰყავს თურქულ წყაროებში, ახალციხის საფაშოს არქივსა და ზეპირგადმოცემებში დაცული ცნობები, რომელიც არც ჩვენი მკითხველი ფართო საზოგადოებისათვის უნდა იყოს ინტერესმოკლებული. მისი აზრით, მათი შორეული წინაპრის, საგვარეულოს დამაარსებლის სახელი – ხიმშა პირველად თემურ ლენგის მიერ საქართველოს დაპყრობის დროს ფიქსირდება. გადმოცემით, ინდოეთში ლაშქრობიდან სამარყანდში დაბრუნებულ თემურ ლენგს გაუგია, რომ ქართველები და სომხები მის სამფლობელოებს დასხმიან აზერბაიჯანში და დიდი ზარალი მიუყენებიათ მუსულმანებისათვის. ამის გამო 1399 – 1400 წლებში მას თავისი ლაშქარი პირდაპირ ხორასანისაკენ დაუძრავს. აქედან საქართველოში გადმოსულა, მტკვარზე ხიდი აუგია. მხარეს ფორმალური მორჩილება გამოუხატავს, თუმცა პროვინციის მფლობელი ხიმშა გარიდებია და ტყით დაფარული მთებისათვის შეუფარებია თავი. თემურ ლენგს ტყე გაუჩეხია, გზა გაუყვანია, მაგრამ 20 დღის განმავლობაში თოვდა და ჯარის წინ წასვლა ბრკოლდებოდა. თემურ ლენგმა ხიმშას ხელში ჩაგდება და სიკვდილით დასჯა ბრძანა. ხიმშამ კი მიატოვა ბანაკი და თავს უშველა. თემურ ლენგმა გაანადგურა მისი სახლ-კარი, მტერმა დიდი ალაფი, სიმდიდრე ჩაიგდო ხელში. ამ ლეგენდის თანახმად, "უამრავი ადამიანი ხმლით დაჩეხეს". მართლაც, ბორჯომის მისადგომებთან, მტკვრის ხეობაში არსებული ნასოფლარები გოგიჩაანთ ღელე, ჭობისხევი, XIII – XIV სს საშინელ შემოსევებს უკავშირდება. არქეოლოგებს თორის ქვეყანაში ნასოფლარების შესწავლისას საზარელი სურათი დაუდგათ თვალწინ; გატიალებული სოფლები, უპატრონოდ დაკრილი ხმლებით დაჩეხილი ქალებისა და ბავშვების მრავალრიცხოვანი ჩონჩხები, მოკვეთილი თავების გროვა, გადამწვარი სახლები, ბელელ – მარნები, გაეერანებული ეკლესია-მონასტრები. ეს მდიდარი, ეკონომიურად დაწინაურებული მხარე განადგურებულ იქნა. ლეგენდის თანახმად, რომელიც მოჰყავს ა. აჭარს: "თემური ფიქრობდა, რომ ეს ერი (ქართველები ავტ.) უღვინოდ ვერ იცოცხლებდა. აქ ქალი, კაცი, ბავშვი ღვინოს სვამდა. მათზე შურისძიების მიზნით ჯარისკაცებმა

ვენახი ძირფესვიანად ამოყარეს, ხეხილი დაჩეხეს, სახლები დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს (ა. აჭარი, გვ. 11) ქართული საისტორიო წყაროებით ხიმშია, ხიმშა თემურ-ლენგის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ფეოდალია, ხიმშია-ხამშას ხეობის მფლობელი. 1399წ. ზამთარში თემურ-ლენგის ჰერეთ-კახეთში ლაშქრობისას, ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, სწორედ მას გაუწევია მედგარი წინააღმდეგობა თემურ-ლენგისათვის, ზოგიერთი უცხოური წყარო მას ქართული ლაშქრის სარდლად მოიხსენიებს (დაწერ. კ. ტაბატაძე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XVსს მიჯნაზე. თბ. 1974). გასაოცარია, რომ სამშობლოსაგან მოწყვეტილ, უცხო და ხ'შირად მტრულად განწყობილ გარემოში, ამდენი საუკუნის განმავლობა'ში, როგორ შემოინახეს ხიმშიაშვილებმა გადმოცემები თავიანთ სახელოვან "ქერათმიან და ცისფერთვალება" წინაპრებზე. თურმე, აღწერილი ამბების შემდეგ, ფოცხოე-ახალციხის მთის რაიონებში, რომლებიც ზემო აჭარას გადაჰყურებენ, ხიხანის-ხირხათის მთაზე ხიმშას შთამომავლებს ახალი ციხესიმაგრე აუგიათ. მისი ამშენებელი ყოფილა აბდულლაჰ ხიმში ხანი. განსაკუთრებით სახელგანთქმული ჩანს სარდალი ერ-შანალ ხიმშა. ხირხათის ციხისათვის ბრძოლისას "საქართველოს მეფის იესე გურიელისა და სპარსელებს შორის მომხდარ ბრძოლა'ში ერ-'შანალ ხიმშა მოუკლაეთ. სპარსელები დამარცხებულან". (ა. აჭარი, გვ. 12). სარდლად ამ გამარჯვების შემდეგ კვლავ ამ გვარის სახელოვანი შვილი, ბაბუის სახელის მატარებელი აბდულაჰ ხიმშა დაუნიშნავთ. ოჯახური გადმოცემის თანახმად, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1800 წელს, ამ აბდულლაჰ ხიმშას ერთ-ერთი შთამომავალი "სამხრეთ კავკასიის ცენტრში, გურიაში დასახლდა", მეორე კი ყირიმში გადასულა. "სამხრეთ კავკასიის, თურქეთის საზღვრებთან არსებული სახელმწიფოები" (იგულისხმება ქართული სათავადოები. ავტ.) თურქეთთან შეერთების შემდეგ, 1500წ. ხიმ'შიაშვილების სამფლობელო გახდა (სინამდვილე'ში ეს ბევრად მოგვიანებით მოხდა 1555 წ.) 1545 წელს ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს თურქთა დიდ ლაშქარზე, არზრუმის ახლოს, ბასიანში. ავტ.). ზეპირგადმოცემის თანახმად, რომელიც ხიმ'შიაშვილების ოჯახში თაობიდან თაობაში გადაიცემოდა, გურიაში დასახლებული აბდულლაჰ ხანის მემკვიდრე ქართველი თავადი ხიმშა-ხიმშიაშვილი ზემო აჭარაში გადადის, "უარყოფს ქრისტიანობას და ხდება მუსულმანი". მისი სამფლო-

ბელოა ხიხანის ციხის შემოგარენი, რომელიც ჯერ კიდევ მის წინაპარს აბდულლაჰ ხიმშას აუგია. სოფელ თიბათში დამკვიდრებული პირველი "მუსულმანი ხიმშას ახალი სახელი უცნობია", აღნიშნავს მ. აჭარი (გვ.12). ისტორიულ მახსოვრობას შემოუნახავს ასეთი ცნობაც: აბდულაჰის ამ მემკვიდრეს ქართველი, აჭარელი დიდებული ოჯახის ქალი მოუყვანია ცოლად და მათ პირმშოსათვის სელიმი დაურქმევიათ. ეს ის სელიმ ხიმშიაშვილი უნდა იყოს, რომლის შესახებ შესავალში გვქონდა საუბარი (სურ. 2) და რომელიც სულთნის წინააღმდეგ სამულიმანო საქართველოს ამბოხებას ხელმძღვანელობდა. ალბათ არ იქნებოდა ზედმეტი თუ გავიხსენებდით, რომ სამხრეთ საქართველოში, ტაო-კლარჯეთსა თუ აჭარაში 1813, 1815, 1830, 1845, 1852 წლებში თურქეთის წინააღმდეგ ქართველების არა ერთ მაშტაბურ აჯანყებას ჰქონდა ადგილი. ასევე რეგულარული ხასიათი ჰქონდა ანტირუსულ გამოსვლებს ქართლ-კახეთსა თუ იმერეთ-სამეგრელოში. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ქართველების, მათ შორის ჩანს, ხიმშიაშვილების ოცნებად რჩებოდა. ქართველი ხალხი არ ურიგდებოდა ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას არც რუსეთის იმპერიაში და არც ოსმალეთში.

ქართული ისტორიოგრაფიის თანახმად, სელიმ ხიმშიაშვილი XVIII ს 90-იან წლებში ზემო აჭარის სანჯაყ ბეგია, 1803-1815 წწ კი ახალციხის ფაშაა. 1809 წელს მან ეს თანამდებობა დაკარგა, მაგრამ 1812 წელს უკან დაიბრუნა. სეპარატიზმისა და ურჩობისათვის აჭარაში, თავის საგვარეულო ხიხათის ციხეში გამაგრებული სელიმ ხიმშიაშვილი შეებრძოლა 15 000-იან თურქთა ლაშქარს და დამარცხდა. მას თავი მოკვეთეს 1815 წელს. ( შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი XVIII ს შუა წლებიდან XIX ს შუა წლებამდე. თბ. 1975; აგრეთვე იხ. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა, გვ. 81). როგორც ეს სემოთაც აღვნიშნეთ, სიკვდილის წინ უთქვამს: "მე კი მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემ შვილებს დავუტოვებ"-ო. ახმედ აჭარი ეყრდნობა რა საოჯახო გადმოცემებს, გადმოგვცემს სელიმ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიას. მას განათლება სტამბოლში მიუღია. დაამთავრა დარულ ბიდას პრივილეგირებული სასწავლებელი, სადაც სამხედრო საქმე წარჩინებით აუთვისებია. შესაბამისად სწავლა სტამბოლის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში გაუგრძელებია და შტაბს-მაიორის წოდება მიუღია. შემდგომ,

სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისა და თავის გამოჩენის გამო გენერლობა მიუღია და ვეზირის (ე.ი. მინისტრის ავტ.) თანამდებობასაც მიაღწია. ის ზრუნავდა თავისი ისტორიული სამფლობელოების გაფართოვებაზე. ის განაგებდა აჭარის, მაჭახელას, ართვინ- ქობულეთის სათავადოებს. ა. აჭარის აზრით, "ის ამ ადგილებში დამოუკიდებელი ხელისუფლების დამყარებას ცდილობდა", რაც სინამდვილეს უნდა წარმოადგენდეს. ის უარს ამბობდა სახელმწიფო სამსახურზე და აჭარაში დასახლებულა. ფადიშახის თხოვნით მას წესრიგი აღუდგენია მეზობელ არდაგანში, ჩაუხშვია ვინმე სარო ხანის აჯანყება, ამის გამო მისთვის ახალციხის ვალის (გუბერნატორის) თანამდებობა უბოძებიათ. 12 წლის შემდეგ ამ ამბებიდან, არდაგანის ბეგებმა, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ სელიმ ხიმშიაშვილს და განაწყენებულნი იყვნენ მასზე, დაასმინეს სულთანთან. სტამბოლიდან ჩამოვიდა საჩივრის განსახილველად ვინმე ერეთ ფაშა კარის მოხელეთა დიდი ამალით. მან შეამოწმა სელიმ ფაშას მრავალწლიანი მოღვაწეობა ახალციხის გუბერნატორის თანამდებობაზე (მთელი 12 წლის განმავლობაში), განსაკუთრებულ დამსახურებად აღინიშნა სელიმ ფაშას მიერ ახალი გზების გაყვანის ფაქტი. დამატებით სელიმ ფაშას აღმოსავლეთ ვილაI-ეთების მართვა ანდეს, მაგრამ მას ვერ მოუთმენია იანიჩარების (თურქი ჯარისკაცების) თავნებობა, რომლებიც მკვიდრ მოსახლეობას დაუნდობლად აწიოკებდნენ. მის საგამგებლო მხარეში მან დარაზმა ადგილობრივი მოსახლეობა (ალბათ აქ ქართველობა უნდა ვიგულისხმოთ ავტ.), შეაიარაღა რა ისინი, თავი მხარის დამოუკიდებელ მმართველად "ფადიშაჰად გამოაცხადა". მის წინააღმდეგ სულთანმა დიდი სადამსჯელო ჯარი გამოგზავნა რეფეთ ფაშას სარდლობით. დაიწყო ბრძოლები მას და სელიმ ფაშას რაზმებს შორის. თურმე ფადიშაჰამდე მიაღწია ადგილობრივი მოსახლეობის ხელმოწერილმა მიმართვამ, სადაც ხალხი სელიმ ფაშას უჭერდა მხარს და მის გარდა სხვა არავინ სურდათ გუბერნატორად. ფადიშაჰი დარწმუნდა რა, რომ ხალხი კმაყოფილია მისი ძველი გუბერნატორით, რისხვა მოწყალებით უნდოდა შეეცვალა. მისი ბრძანების მიხედვით, სელიმ ფაშა სტამბოლში უნდა ხლებოდა ფადიშაჰს. ამ ფირმანის მომტანს დახვედრიან რეფათ ფაშა და არდაჰან ბეი, რომელთაც სულთნის ბრძანება დამალეს. ამიტომ იანიჩარები სამი თვის განმავლობაში უტევდნენ ხირხათის ციხე-სიმაგრეს, სადაც ბოლოს თავს აფარებდა სელიმ ფაშა. ისინი ვერ ახერხებდნენ

მის ადგებას, სანამ არ "გაიგეს ერთი უბრალო აჭარლისაგან, რომ აჭარის წყლიდან ციხე-სიმაგრეში გადიოდა გვირაბი". ამ გვირაბით ისარგებლა რეფაათ ფაშამ და მოულოდნელად აიღო ციხე. სელიმ ფაშას სასწრაფოდ მოკვეთეს თავი. გადმოცემით, "ამ მკვლელობის მიზეზმა აჭარელმა თავი მოიკლა, ხოლო იმ ადგილას სადაც სელიმ ფაშა მოკლეს, ხალხმა სისხლიანი ციხე-სიმაგრე უწოდა". (ა. აჭარი, გვ. 14) ა. აჭარის სიტყვებით, ახალციხური დოკუმენტების მიხედვით, ეს მომხდარა ჰიჯრით 1229 ანუ 1815 წელს. გადმოცემის თანახმად, სელიმ ფაშას ერთ-ერთი შვილი, აბდი ბეი აჭარიდან 'შავშეთ'ში, სოფელ სათლელ'ში გადასახლებულა, აქ მას სასახლე აუგია. ა. აჭარის შენიშვნით, ს. სათლელ'ში დღემდე ყოფილა შემონახული მისი საფლავის ქვა, აბდულლაჰის სახელით. მისი მეორე ვაჟი ახმედ ფაშა, თავის მამულ'ში აჭარა'ში დარჩენილა. მესამე კი ქორ ჰუსეინი ოლთუ'ში წასულა. მისი, ე.ი. ჰუსეინ ფა'შას 'შვილი'შვილებია ერ'სრუმ-ოლთისელი ჰუსეინ ბეი და რუსტამ ბეი. ისინი 'შემდგომ'ში მეჯლისის დეპუტატებიც კი გამხდარან. აბდი ბეის ვაჟი, რომელსაც დიდი პაპის სახელი ერქვა 'შავ'შეთის მმართველი-კაIმაკამი იყო. მას ქობულეთ-ართვინის დიდებულები დაურაზმავს და ახალციხეზე ულა'შქრია 1828-1829 წლებ'ში.ფადი'შაჰ აბდულ-ჰამიდ II-ის დროს თავი გამოუჩენია აბდი ბეის 'შვილს, ქამილ ფა'შასაც, რომელსაც გენერლის უმაღლესი სამხედრო წოდება ჰქონია მინიჭებული საბრძოლო დამსახურებისათვის. აჭარა'ში მცხოვრები ახმედ ფა'შა ხიმ'შია'შვილის მემკვიდრე 'შერიფ ფა'შას ვაჟები თედური და ჯემალ ხიმ'შია'შვილებია, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტ'ზე (1914-1918 წწ) რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამ დამსახურებისათვის თემურ ბეგსა და მის ძმისთვის ფადი'შაჰს ფა'შის წოდება უბოძებია.

ახმედ აჭარი თავის წიგნში მოგვითხრობს 1918 წლის ბრესტ-ლიტოვსკის ხელ'შეკრულების 'შემდგომ თუ როგორ იცავდა თემურ ფა'შა არდაჰან-ყარსის სოფლებს სომეხთა რაზმების 'შემოტევებისაგან, რომლებსაც იარაღი უკანდახეულმა რუსის ჯარებმა დაუტოვეს.

თემურ ფა'შა ხიმ'შია'შვილი 1860 წელს დაბადებულა ხულო-'ში. მას განათლება რუსეთ'ში ჰქონდა მიღებული. ის 'შემართებით იბრძოდა საძულველი მეფის რუსეთისა და 'შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგაც. თემურ ფა'შა პოეტური ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოვებული. საოჯახო არქივ'ში დაცულია "უსახელოს" ფსევდონიმით თურქულ ენაზე დაწერილი ლექსე-

ბი. ა. აჭარს მოჰყავს რამოდენიმე მაგალითი მისი პოეტური შემოქმედებიდან (ა. აჭარი, გვ. 17-31). ჩვენთვის იმდენადაა ეს საინტერესო, რამდენადაც ასახავს I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტს, არდაგანის 1915წ სარიყამიშისა და სხვა ბრძოლებს თურქია გადასახედიდან. ამ ამბების უშუალო მონაწილე და თვითმხილველი თემურ ხიმშიაშვილია.

ხიმშია'შვილების საოჯახო არქივში შემონახულია ადრეული ლირიკული ლექსებიც, მათ შორის სასიყვარულო პოეზიის ეს ნიმუში:

"ვინ გახდება მსხვერპლი შენი წითელი ლოყების,
ვარდის ტუჩების, მთვრალისებრი სილამაზის.
ვინ გახდება მსხვერპლი შენი ყვავსროსის ცხინის,
შენი ბროლის ყელის.

შენი მშვილდის წარბები მუდამ ისრებს ისვრიან,
შენი წამწამების ბოლოები გულში მესობა,
შენი მკერდი ვარდის ყოყრებია,
ვინ გახდება შენი ლამაზი ენის მსხვერპლი.

შენი სილამაზე სულთანზეც მბრძანებლობს,
დედამიწასა და ცას შორის მზე და მთვარე ხარ
სახელი არ ჰქვია ამგვარ ოხერს,
ვინ გახდება მსხვერპლი შენი მშვენების.

ღვთის სიდუმლოებას ვერ ჩაწვდები,
არ არის ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო,
ღვთიური დიდებულება მიუწვდომელია,
აბა ნახეთ, მიალწიეს რამეს ჩვენმა სულთნებმა?

ადამიანი ასეთი რწმენის უნდა იყოს,
უბედურებაა განგების სურვილის ცოდნა,
ადამიანის ხვედრი რაც არის მას უნდა დაემორჩილოს,
უნდა დამლოს ღვთის სასწაულით გამოხვეული გალეკვა.

ლექსი, რომელიც შეიძლება ხულოშიც იყოს დაწერილი, ხელმოწერილია ფსევდონიმით – "უსახელო". წიგნში წარმოდგენილი მისი სხვა ლექსები მ'შობლიური არდაგანის 1915 წლის ტრაგედიას ასახავს:

"ლექსს გეტყვით განშორებისას,
ნახეთ, როგორ ჩქარა უბრალოზარი სრდაგანი,
ძალა მეყოფა რომ ვლენერო
თუ რა ძალით დაემხო სრდაგანი.
დაიკარგა ქონება, სიმდიდრე, სახელმწიფო ხელისუფლება,
მრავალი ოჯახი სამშობლოდან წავიდა,
ერში განხეთქილება ჩამოვარდა,
სისხლში ჩაიხრჩო სრდაგანი.
ერთი კაცი ალარ დარჩა ცოცხალი,
უამრავი ბავშვი დარჩა ობლად.
ჩქარა ღუმლები ალარ ამოდის ბოლი,
დაიწვა დაიხარა სრდაგანი.
ზამთრის დღეებში ყინვიან მთებში,
თოვგზასაბნეული ოჯახი ადგას გზას,
მრავალი ჩვილი ბავშვი დაიღუპა
უდაბნოში დედის მკერდზე.
დედებმა მიატოვეს საკუთარი შვილები,
თქვეს იქნებ საკუთარი თავი გადავირჩინოთო,
ნისლიან მთებში ვერ გაიკვლიეს გზა,
გვამებით სრის სავსე სრდაგანი.
გათელილ იქნა ღირსება, პატიოსნება, ნამუსი,
რამდენი ოცნება გაფერმკთალდა და დაქანცა,
რამდენი პატიოსანი ოჯახი განადგურდა,
უხდენელი ოცნებების ქალაქად იქცა სრდაგანი.
სამოთხის მსგავსი იყო ეს ქალაქი,
ხალიჩებით მორთული,
განადგურდა ქალაქი, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა
მსოფლიოში,

მიწასთან გასწორდა სრდაგანი.
ქონება, ძვირფასეულობა დაიკარგა,
სომხებმა დაიპყრეს, ხელთ იგდეს რა შესაფერი მომენტი.
ძალიან ადვილ გაიყიდა ძვირფასი ნივთები,
მტრის ხელში დარჩა სრდაგანი.
ომამდე მხოლოდ სიკეთეს მოეკვა ქალაქი,
ბევრი რამის შეთავაზება შეგეძლო მეუღლისა და
მეგობრებისათვის.
ეს ასეთი მდგომარეობა ხალხმა დაწვა ცეცხლზე,
გაღარიბდა სრდაგანი.
ცეცხლში გაეხვია ქალაქი,
ამის აღწერა კალამსაც კი არ შეუძლია.
ძალადობით დაინგრა, ბუების სამშობლოდ იქცა სრდაგანი,
კაცი აღარ დარჩა, რომ ირაღი ანახოს,
სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი ქალაქი.
გინა მხოლოდ სრდაგანია ასეთ მდგომარეობაში,
რითვინში, არსენუკში რაები მოხდა?
აქარა, მარადითი ცეცხლით დაიწვა,
დაემხო, ნანგრევებად იქცა სრდაგანი.
ჩვილთა ტირილისაგან მთები შეიძრა,
მთამ მამებმა შეიპყრეს კაბაკები,
ხელები შეეკრეს, სისხლის ცრემლებით ტიროდა ყველა.
დახმარებად ვერ მიუსწრო სრდაგანს.
მომხდარის კალმით აღწერა შეუძლებელია,
კაცი რომ დაფიქრდეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდება,
მეტი რა გზა, როცა ძალა არ გაგაჩია,
ღვთის ხიბარა დარჩა სრდაგანი.
იცოდეს მომავალმა თაობამ
ვისი მოკვლაც შეიძლებოდა ყველა მოკლეს,
მკვლელთა ხელს არავინ გადურჩა,
მხოლოდ ალაჰის იმედზე დარჩა სრდაგანი.
სომხების და ბერძნების ძალადობის აღწერა

ენით შეუძლებელია.
ძალ მიერ ალებულმა ქართველმა სული ათასს მიაღწია.
მუსლიმანებმა წვეი ჩაიკვეს,
თვალებიდან ცრემლების ხაკვლად სისხლს ღვრიდნენ,
თურქ ხალხს მხარდაჭერა სჭირდება,
მომხრე ალარავის ჰყავს არდაგანს.
სამშველი არ არის, ვის უნდა მივმართოთ.
გზები გადაჭრილია, არ ვიცით რომელ მხარეს წავიდეთ.
ღმერთს დაემორჩილე, ცოტა მომთმენი იყავ
და გადარჩები.
ძალადობა ამ ფორმით ვერ ირსებებს.
ხალხის ოხერა დედამიწაზე არ დარჩება,
ღმერთამდე მიაღწევს და ქვეყანა გადარჩება.
იმედი მაქვს, რომ ბოლოს ყველაფერი სიკეთისკენ
შემობრუნდება,
იმედი მაქვს რომ დახმარებაც არ დააყოვნებს.
მეჯლისში განხილულ იქნება ეს საკითხი,
განსაკუთრებულ გაუმკლავდება არდაგანი.
ძე, უსახელოდ დავწერე ეს ბოდვა,
ჩემი სამშობლოვ გულით მიყვარხარ.
შემოქმედს ვევედროთ რომ მოგვცეს წყალობა,
დაიფაროს არდაგანი."

აჭარისადმი მიძღვნილი ლექსში თემურ ფაშა რატომღაც საკვედურობს თავის მშობლიურ კუთხეს, რომ ის "შავშეთისა და იმერხევის მსგავსი გახდა". "განა ქართველია შენი ღმერთი?" – სვამს რიტორიკულ კითხვას.

საბედნიეროდ, აჭარამ სწორი არჩევანი გააკეთა, ქართველობა ირჩია.ლექსში მთელი სიმძაფრით გამოსჭვივის თემურ ხიმშიაშვილის პროთურქული, ანტიერთვნული პოზიცია, რაც შეიძლება იმითაც იყოს განპირობებული, რომ 1921 წელს თებერვლის შემდეგ, ის იძულებული გამხდარა გაქცეულიყო ბათუმიდან, დაეტოვებინა მშობლიური მხარე, დედა, და-ძმები, ცოლშვილი, რომელთა შემდგომ ბედი ნეკინთვის უცნობია, ისევე როგორც აშმედ აჭარისათვის. ლექსი მთავრდება სიტყვებით:

"მკითხველმა გაარჩიოს მტყუანი ვარ თუ მართალიო". დრომ ნამდვილად გაამტყუნა თურქოფილი პოეტი; მისგან განსხვავებით, სწორი არჩევანი დედა-სამშობლოსთან აჭარის შეერთებისა გააკეთეს პოეტის მიერ გაკიცხულმა ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა – რომლებსაც ის აუგით იხსენიებს. ესენია: "ისტორიის კარგად მცოდნე, განათლებული ხოჯა ცივაძე!" ; "სურმანიძე ჰაფიზი აჰმედის ვაჟი!" , "ყირიმელი აბდულ ეფენდი" (ხიმშიაშვილი?). თემურ ხიმშიაშვილის სიტყვებით, მათ "თურქები გაყარეს და ქართველებს მიემხრნენ". მათ რიცხვშია "ურწმუნო, ურჯულო ყადიშვილი". მას "ქართული ენით სურს ჩვენი თურქული ენის შეცვლა". თავად არისტოკრატთა შთამომავალი სწუხს: "ბათუმის არისტოკრატიამ ისლამურ სამყაროს ზურგი აქცია"-ო! ასეთნაირია თემურ ფაშას ხედვა საქართველოში 1921 წ მიმდინარე მოვლენებზე.

ა. აჭარის თხრობით, 1919 წლის 17 ოქტომბერს, როცა ქართველებმა არდაგანი დაიბრუნეს, თემურ ხიმშიაშვილი და მისი ოჯახის წევრები წინ აღუდგნენ მათ, რაც ნაკლებად სარწმუნოდ გვეჩვენება. ეს თურქების გულის მოსაგებად შეთხზული ვერსია უნდა იყოს.

ა. აჭარი აღწერს თემურ ფაშას მოღვაწეობას 1918-1921 წწ აჭარაში, ართვინსა და შავშეთში რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით, რაზედაც დამოკიდებული იყო ქართული ისტორიული პროვინციების ბედი. დღეს უკვე დოკუმენტურად არის ცნობილი, რომ თურქეთის მიერ ორგანიზებულ ე.წ. "სახალხო რეფერენდუმში" მკვიდრი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა მიიღო მონაწილეობა. ასე 4076 მუსულმანი ქართველიდან, მხოლოდ 473 მისულა თავისი ნების გამოსახატავად და ისიც ძალდატანებით. თურქული მხარის ოფიციალური მონაცემებით ქართული პროვინციების თურქეთთან მიერთებისათვის ხმა მიუცია 83 000 კაცს, წინააღმდეგი კი მხოლოდ 2000 ადამიანი ყოფილა! რუსული ბოლშევიკური პრესის მონაცემების თანახმად, რეფერენდუმში მონაწილეობა მხოლოდ 11 000 კაცს მიუღია. აქედან ოსმალეთის ინტერესები 8 500 ადამიანს დაუცავს. (არჩილ ვარშალომიძე. ბათუმის ოლქის საკითხი ბრესტ-ლიტოვსკის, ტრაპზონის, ბათუმის საზავო კონფერენციებზე. საკანდიდატო ავტორეფერატი. თბ. 2003, გვ. 29). ამ რეფერენდუმის გაყალბებაში თემურ ფაშამაც ითამაშა გარკვეული როლი, რაც წარმოჩინდა ახმედ აჭარის წიგნში აღწერილ მოვლენებში.

1923 წლის ოქტომბერში სულთნის ხელისუფლება დაემხო, გამოცხადდა თურქეთის რესპუბლიკა. ჩანს სულთნის კარზე მიღებული თემურ ხიმშიაშვილი აღარავის ახსოვდა. თემურ ფაშას სიძულვილი ინერციით კვლავ მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ, რომელთა მოკავშირეები, მისი წარმოდგენით, ქართველებია.

XX ს პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის ბედუკულმართობა ამ ერთი ძველი, ქართული საგვარეულოს, ხიმშიაშვილების თაეგადასავალშიც აისახა. ხიმშიაშვილები ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. ერთი ნაწილი ეროვნული ინტერესებისათვის იბრძოდა, მის დაცვას ემსხვერპლა, ხოლო მეორე თემურ ფაშას სახით, თურქების წისქვილზე ასხამდნენ წყალს. ა. აჭარი ნათლად წარმოგვიჩენს იმ ფაქტს, რომ აჭარის ცხოვრებაში XIX-XX სს განსაკუთრებულ როლს ხიმშიაშვილებთან ერთად აბაშიძეებიც თამაშობდნენ. თუმცა მან არ იცის, რომ გასაბჭოებული აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე 1921-1925 წწ. საფრანგეთში უმაღლეს განათლება მიღებული თახსიმ ხიმშიაშვილია. შემდგომ ის კომუნისტების პოლიტიკური ინტრიგების გამო ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას, ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და შემდგომ რეპრესირებული იქნა. 1918-1921 წწ. ზემო აჭარის გამგებელი ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი იყო. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ნდობით აღჭურვილი პირი. 1921 წელს ის იძულებული გახდა ნ. ჟორდანიას მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში წასულიყო, თუმცა ა. აჭარს თავის წიგნში მათ შესახებ არავითარი ცნობები არ მოჰყავს. დღეს საქართველოს დედაქალაქში მოქმედებს ხიმშიაშვილების საზოგადოება, რომელიც იმედია თავს მოუყრის მათ შესახებ არსებულ საარქივო მასალებს, მით უმეტეს რომ ამ გვარის შვილები აქტიურად ებრძოდნენ ანტიეროვნულ საბჭოთა ხელისუფლებას ოცდაათიან და ორმოცდაათიან წლებში. უნდა აღინიშნოს რომ ახლახან გამომზეურდა რუსული აგენტურის საინტერესო საარქივო მასალა, კერძოდ ბათუმიდან პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სერებრიაკოვის სახელზე უცნობი აგენტის მიერ რუსულ ენაზე გაგზავნილი შეტყობინება. ამ მოხსენებით ბარათში გაანალიზებულია აჭარის სოციალურ-ეკონომიური ვითარება "საქართველოს გასაბჭოების პროცესში". აგენტი მთავრობას აცნობებს, რომ "აჭარის მოსახლეობაზე გავლენა და ავტორიტეტი აქვს ყოფილი მეჯლისის წინამძღოლს მემედ ბეგ აბაშიძეს. ჩვენ

არ ეენდობით თავად აბაშიძეებს, რომლებსაც ეკრდნობოდნენ მენშევიკები, მაგრამ პირველ ხანებში, ტაქტიკური მოსაზრებებით დავამყარეთ მათთან ლოიალური ურთიერთობები და ამით ფაქტიურად ვცანით აბაშიძეების შედგენილი მეჯლისი. ერთადერთი დადებითი მხარე ამ მეჯლისისა ისაა რომ ორიენტირებულია საქართველოსაკენ. თავად აბაშიძეებთან ერთად აჭარაში გამოჩნდნენ სხვა ბეგები ხიმშიევებით (შეადარე რუს ხიმშიევ და თურქ ხიმშიოღლები ავტ.) სათავეში, რომლებიც ინკარასა და ქემალზე არიან ორიენტირებულნი. მალე ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ხიმშიევებმა, რომლებიც ჯერ აჭარის სიღრმეში მოღვაწეობდნენ და არა ბათუმში, აბაშიძეთაგან განსხვავებით, მოIპოვეს უპირატესი გავლენა აჭარის მოსახლეობაზე, მათი გავლენა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ამ ქემალისტ ბეგების დახმარების გარეშე ჩვენ არ გვძალუძს აჭარაში დამკვიდრება. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ როგორმე შეგვეღწია აჭარის მოსახლეობის ღარიბ ფენებში და გამოგვეგლიჯა ისინი როგორც ერთი ისე მეორე ბეგების გავლენისაგან". ამიტომ ჩვენთვის "აუცილებელი გახდა დაგვემყარებინა მეგობრული ურთიერთობანი აბაშიძეების მოწინააღმდეგეებთან". ემისარი მოითხოვს შემდგომში ცენტრალური ხელისუფლებისაგან ორივე გვარის, აბაშიძეებისა და ხიმშიაშვილების, მათი მომხრე ნებისმიერი ორიენტაციის მქონე პირების ჩამოშორებას ხელისუფლებისაგან, შემდგომში მათ განადგურებას, რადგან მათი კონკურენცია ბოლშევიკებს არ შეეძლოთ. (ა. სილაგაძე, ვ. გურული. მემედ ბეგ აბაშიძე. დოკუმენტები და მასალები. თბ. 1996, გვ. 45-46). სამწუხაროდ ამ მზაკვრულმა გეგმამ, ხიმშიაშვილებისა, აბაშიძეების და საერთოდ ქართული სულის წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების მთელ პერიოდში იმუშავა. აბაშიძეების ამ მონათესავე საგვარეულოს არა ერთი რჩეული შვილი გახდა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი, მათ შორის 1937 წ დახვრეტილი მემედ აბაშიძეც, რომლის მონუმენტური ძეგლები ამშვენებს ბათუმსა და თბილისს.

1920 წლის 19 ივლისს თბილისის გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა ინტერვიუ თბილისში ჩამოსულ აჭარის ერთ-ერთ ხელმძღვანელ ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილთან. ის რეალურად ახასიათებს აჭარაში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებას. აჭარა მისი სიტყვებით საქართველოს განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ახალ საქართველოში გაგებით უნდა მოეკიდნონ აჭარელთა სარწმუნოებრივ თავი-

სებურებასაც. მას ეჯვი არ ეპარება იმაში, რომ აჭარა საშიშროების შემთხვევაში ერთიანად გამოვა ქვეყნის დასაცავად. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჯემალ ბეგი ნდობით სარგებლობდა დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობაში. ნ. ჟორდანია ხედავდა საჭიროებას, რომ მას აუცილებლად უნდა გაეგრძელებინა მოღვაწეობა აჭარაში ქართველ მუსულმანთა და ქართველ ქრისტიანთა სრული ნდობისა და ძმური კავშირის დასამყარებლად. (მიხეილ მახარაძე. სხალთის ზარები. წერილები აჭარაზე. თბ. 1996, გვ. 138-142). ბედის ირონიით არც თურქეთის ქვეშევრდომ ხიმშიაშვილებს, მათ შორის სელიმ ფაშას შთამომავლებს, ასევე საქართველოს მკვიდრთ არ დაუფასდათ ამაგი. როგორც კომუნისტები, ასევე ქემალისტები ძირძველ ქართულ არისტოკრატულ საგვარეულოს მიზანდასახულად სდევნიდნენ, რადგან გრძნობდნენ მათი ეროვნულ სულისკვეთებას.

1936 წელს თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, რომელსაც პრემიერმინისტრი აწერდა ხელს, ხიმშიაშვილების მთელი საგვარეულო რეპრესირებული და გადასახლებული იქნა მამა-პაპათა ისტორიულ მიწა-წყლიდან, სხვა მრავალ ქართულ ოჯახთან ერთად. არსებული გადმოცემებით შავშეთის ხიმშიაშვილები გადაასახლეს სამკვიდრო ადგილებიდან. ისინი დასახლდნენ სტამბოლში, ანკარაში, ბურსაში, იზმირში და სხვა. ერთი იქაური მკვიდრის თქმით: "ხიმშიაშვილი ბეგები აღარ არიან. ჰუქუმათმა (მთავრობამ ქ.ლ) ისინი შიგან თურქივში გადაასახლა". (შ. ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული გვ. 229). ეს ტრაგიკული მოვლენა ასახულია ხიმშიაშვილების საოჯახო არქივში დაცულ 1936 წელს თურქულ ენაზე დაწერილ ლექსში: - "ხიმშიაშვილების გლოვა", რომლის პწკარედი უკლებლივ მოგვყავს და რომელმაც არ შეიძლება არ ააღელვოს მკითხველი:

"ტირიან შარშარილოს, ჯურის, ქვის და
ქვითყირის სახლები და სასახლეები
გული დარდით ირის სავსე,
ანჯღარი დედები ტირიან.
ხიმშიაშვილების ქონა ყოფნა
შზის ქონა ყოფნას ულიდა.
ისინი ოთხ რიოხში იყვნენ და
ჩვენ მტკიცედ ვგრძნობდით თავს.

გადასახლეს და დაბნელდა ჩვენი ქვეყანა.
ტირის ყველა, მგზობელი და ახლობელი.
სამშობლოდან მორს წავიდნენ,
ალარ ვიცინით.
ცუდილი აღმოჩნდა ბედნიერი დღეები.
არ გაიცინოს მან, ვინც ამ დღეში ჩაგვყარა.
ტირის მეჯინუნისაგან განშორებული ლეილა.
ცრუპენტელავ გველმა გიბინოს ენაზე,
ეს რა ჩაიდინე, მტრის ხელში ჩაგდე.
ბულბულები ყვნესიან ვარდის ყვავილებზე,
ტბებში ტირიან მწვანე ბაყაყები.
ამგვარი ძალადობის განმ მარტო ანატოლია კი არა
მსოფლიო ტირის.
ანთხმა ბორკილები დაგადო ხელებზე და
მეურიგდი სიკვდილს.
დაემშვიდობე ლაძაზ სამშობლოს,
შენს სულს მოხატრებ დაუფლებ.
სამწუხაროა რომ მტრის ხელში ხარ,
სათვალეში წინაპრები ტირიან.
უსირცხვილოს შერცხვება განა ?
ის ცდილობს შური იძიოს.
ოჰ ღმერთო, ცრუპენტელების უსირცხვილობისაგან
მთები, ქვები, მდინარეები ტირიან.
დილით გაღვიძებისთანავე ენახეთ,
რომ ჩვენი სამშობლო დანგრეულა.
ჩემო შვილებო სად ხართ?
ტირიან სელიმ, აჰმედ, შერიფ ფაშები.
მოვშორდი სამშობლოს,
რაინა დადგა დარდისაგან.
უცხო ქვეყანაში ოხვრა-ყვნესისაგან
მფრინავი ჩიტები ტირიან.

როგორც ვხედავთ მათ ცნობიერებაში სამშობლოდ მაინც მ'შობლიური კუთხე ტაო-კლარჯეთი თუ შავშეთი რჩებოდა და

არა ზოგადად თურქეთი. ხიმშიაშვილების კავშირის გაწყვეტა დედა-სამშობლოსთან, მშობლიური ენის დაკარგვა, არა მარტო მათი ოჯახის, არამედ მთელი სამუსლიმანო საქართველოს ტრაგედიად იქცა.

ახმედ აჭარს-ხიმშიაშვილს შეუდგენია პირობითი ნუსხა თავისი წინაპრებისა (გვ. 51-51) მათი მოღვაწეობის წლების გარეშე.

## "ხიმშიაშვილების საგვარეულო შტო"

I-სულიმ ფაშა:

ა) ახმედ ფაშა (აჭარის და არდაგანის ბატონი)
ბ) ქორ ჰუსეინ ფაშა (ოლთუს ბატონი)
გ) აბდი ბეი (შავშეთის და ართვინის ბატონი)
დ) ქალბატონი იჰსანი (პოსოფის, ფოცხოვის ბატონი)

ა) ახმედ ფაშა

1. შერიფ ფაშა
2. ასლან ბეი (შვილი არ ყავს)
3. ქალბატონი ფატიმა (შვილი არ ჰყავს)
4. ქალბატონი დილდარი (შვილი არ ჰყავს)

ა – (1) შერიფ ფაშა (აჭარისა და არდაგანის ბატონები)

ა) ჰაშიმბეი
ბ) მუსტაფა ბეი
გ) ქაია ბეი
დ) ჯაფერ ბეი
ე) ზექკერია ბეი
ვ) თემურ ფაშა
ზ) იზეთ ბეი
თ) მურთაზა ბეი
ი) ქალბატონი მუჰირე
კ) ქალბატონი ზეჰრა
ლ) ქალბატონი ილდიზი
მ) ისა ბეი

ნ) ჯემალ ფაშა
ე) აბას ბეი
ვ) ქალბატონი ნაზლიე
ზ) ქალბატონი სუნა
თ) ქალბატონი ზეინაბ

ა. (I) ჰაშიმ ბეი :
1. ქალბატონი შაჰინდერი
2. ენვერ ბეი
3. ქალბატონი ბედია
4. ჰუსეინ ბეი (ქალბატონი აიშე – ბატონი ათილა)
5. მენან ბეი (არგუნ ბეი – თულგარ ბეი – სუნგურ ბეი)
6. ნა'ხიფ ბეი
7. ქალბატონი ჰატიჯე
8. ქალბატონი ზარიფე
9. ქალბატონი მელეჰათ
10. ქალბატონი ბედრეი (ქალბატონი ერთანი-ილთერ ბეი-ერთურქბეი)

ბ. (2) მუსტაფა ბეი:
1. ქალბატონი მელაჰათი (ორჰან ბეი-თურქან ჰანიმ–აითენ ჰანიმ)
2. ალი ბეი
3. ქემალ ბეი (იურდაქულ ბეი, ქალბატონი იურდაგული, ქალბატონი ნერიმანი, უმით ბეი, მუსტაფა ბეი)
4. ჰურშით ბეი (მეჰმედთ აქიფ ბეი-ქალბატონი ფუსუნი-იუშიმ ქალბატონი-ქალბატონი აზიზე, აჰმედ ბეი)
5. ქალბატონი ფიესთე
6. ქალბატონი შეიდა
7. ქალბატონი ლათიფე

ა(3) ქაია ბეი
1. დურსუნ ბეი (ჰალით ბეი-ადილ ბეი-იუქსელ ბეი-ქალბატონი თალჰა-ქალბატონი – ნურიე, ქალბატონი იაშარი-ქალბატონი ნაჰიდე-ქალბატონი აისელი)

ა(4) ჯაფერ ბეი:

1. შერიფ ბეი (ქალბატონი ნეჯლა-ქალბატონი აილა-უნალ ბეი-უნვერ ბეი-უნსალ ბეი)
2. ასლან ბეი (ქალბატონი სეიალი-ათეშ ბეი-ალქორ ბეი)
3. ქალბატონი ზექიე
4. ქალბატონი ლუთიფე (ოქიაი ბეი-თალაი ბეი)
5. ქალბატონი ნადიე (ქემალ ბეი)
6. ზია ბეი

ა.(5) ზექერია ბეი:

1. მეჰმედ ბეი (ქალბატონი ნივბერი-ქალბატონი პერვინი)
2. საიფ ბეი (ბაჰათინ ბეი-ფერდა ბეი-აითაჩ ბეი-ზექერია ბეი)

ა(6) თემურ ფაშა:

1. ქალბატონი ულფეთ (შვილი არ ჰყავს)
2. ქალბატონი სურული (ბატონი ნიჰათი-ბეჰსათ ბეი-ქალ-ბატონი ლათიფე-ქალბატონი აქიფე, ქალბატონი მუბე-ჯელი)
3. ქალბატონი ასიე (ქალბატონი ლალენდერი –ოსმან ბეი –ქალბატონი რეფიკა, ქალბატონი ლემანი, ქალბატონი აულანი)
4. შეფქეთ ბეი (ჯემილ ბეი-ლუტფი ბეი-ბაჰრი ბეი-ქალბა-ტონი თამარა-ქალბატონი საფიე, ქალბატონი შადიე)
5. ქაზიმ ბეი (იუკსელ ბეი-მ'ურ. ი ბეი-საბაჰათ ჰანიმი)
6. დერვი'შ ბეი (ქალბატონი ჰურმუსი-ნეჯათ ბეი-ქალბატო-ნი გულჰი'ხი)
7. ქალბატონი მიჰრიბანი ( ორჰან ბეი-დემირჰან ბეი-ოზგან ბეი-ოზჯან ბეი-ქალბატონი გუნერი)
8. სელიმ ბეი - აჰმედ ბეი-თემურ ბეი-იავუზბეი-იბრაჰიმ ბეი-ქემალ ბეი-ნიზამეტინ ბეი)
9. ქალბატონი სეჰერი(მუმთაზ ბეი-ილმაზ ბეი - ქალბატო-ნი ნერიმინი-ქალბატონი ოზაი-გუნდაი ბეი)

ასიე ქალბატონი:

1. ქალბატონი ლალენდერი (ხაფერ ბეი-ონერ ბეი-თუნცერ ბეი-სონერ ბეი-ქალბატონი გონული)

2. ოსმან ბეი (ასლან ბეი)
3. ქალბატონი ლემანი (ქალბატონი დემეთი-ქალბატიონი ნუქეთი-მეჰმედ ბეი)
4. ქალბატონი აულანი (ქალბატონი აიშე-ნეშე ქალბატონი-ქალბატონი ეჯე-ლეევენთ ბეი)

შევქეთ ბეი:
1. ჯემილ ბეი (ოემურ ბეი –ულურ ბეი – საბიჰა ჰანიმ)
2. ლუფთი ბეი (ისკანდერ ბეი – ისრაფილ ბეი – ლინდა ჰანიმ –ლენდე ჰანიმ – სემრა ჰანიმ)
3. ქალბატონი თამარი
4. საფიე ქალბატონი
5. ქალბატონი შადიე (ორჰან ბეი – აიჰან ბეი – ნურჰან ჰანიმი)
6. ბაჰრი ბეი (გედიზ ბეი – ენის ბეი – გურდენიზ ბეი – გურბუზ ბეი – ილდიზ ბეი)

დერვიშ ბეი:
1. ქალბატონი ჰურმუზი (ქალბატონი სევგი)
2. ქალბატონი გულჰიზი (ქალბატონი ფულია – ილდირიმ ბეი)

სელიმ ბეი:
1. აჰმედ ბეი (ფულია ქალბატონი – ილდირიმ ბეი)
2. იბრაჰიმ ბეი (შიმშექ ბეი)
3. ნიზამეთინ ბეი (ქალბატონი ჰულია – ქალბატონი ბერნა – ქალბატონი ზეინაბ)

ქალბატონი სეჰარი:
1. ილმაზ ბეი (აჭარ ბეი – აისბარს ბეი)
2. ქალბატონი ნერმინი (ქალბატონი იაშარი – ქალბატონი აიშე – მეჰმედ ბეი – აჰმედ ბეი)
3. ქალბატონი ოზაი (ქალბატონი არზუ – სერჰათ ბეი)
4. მუმთაზ ბეი ( ენგინ ბეი – ქალბატონი, ქალბატონი გულნარი – ზექი ბეი)
5. გუნდაი ბეი ( ბერქ ბეი – ბურაქ ბეი)

ჰასან ბეი:

1. ნური ბეი (ქალბატონი ბუკეტი – ქალბატონი ნუქეთი – ქალბატონი ულფეთი – შეკქეთ ბეი)
2. იზზეთ ბეი ( ქალბატონი სეკგი)
3. ნეჯმი ბეი (ქალბატონი ოია-ქალბატონი მინე)
4. ქალბატონი ზეინაბ (ქალბატონი ესერი-ქალბატონი გ'ულერი)
5. ჰალიდე ქალბატონი (ქალბატონი მაქბულე –ქალბატონი სემა – ქალბატონი ასეფე)
6. ქალბატონი ნაფიე (ქალბატონი აფეთი –ქალბატონი დემეთი - მეჰმედ ბეი)

ისრაფილ ბეი:

1. ქალბატონი ნიჰალი (არგუნ ბეი – თოგარ ბეი – სუნგურ ბეი)

იბრაჰიმ ბეი:

1. ქალბატონი თურქანი (ქალბატონი აიშე-ნური ბეი)
2. ქალბატონი ნილუფერი (ქალბატონი აიშე-ქალბატონი თურგუთი)
3. ქალბატონი ულქერი (სელიმ ბეი – ოგუნ ბეი)

ქაზიმ ბეი:

1. ქალბატონი სებაჰათი (აჭარ ბეი – ქალბატონი დილექი – მურათ ბეი)

ა. (12) ისა ბეი:

რაჰიმ ბეი:

1.რაუფ ბეი (ათაქან ბეი – ათაბენ ბეი)
2. მუსა ბეი ( მეთე ბეი – ქალბატონი აინური)
3. ასაფ ბეი ( ერქინ ბეი – ჰაკან ბეი)
4. ავნი ბეი (რაჰიმ ბეი – ისა ბეი – ერდენერ ბეი – სეტერ ქალბატონი)
5. სენიე ქალბატონი (თულაი ქალბატონი – ქალბატონი გ'ულაი – ეურალ ბეი – ილკაი ბეი – ათალაი ბეი)
6. ქალბატონი ნაზმიე (ჯასიმ ბეი –ქალბატონი უფუქი-ქალბატონისემა-ქალბატონი ილდიზი)

7. ქალბატონი აიშე (გედიზ ბეი-გურდენიზ ბეი-გურბუზ ბეი-ენის ბეი-ქალბატონი ილდიზი)
8. ქალბატონი სებაჰათი (ზაფერ ბეი-ილდირიმ ბეი-უმუთ ბეი)
9. ქალბატონი რაზიე (ქალბატონი ოზჰაითი—თანერ ბეი-ქალბატონი ნურჰაითი-ქალბატონი მინე-ენუგ ბეი-ერდალ ბეი-გუნდუზ ბეი)

ა.(12) აჰმედ ბეი:
1. ლათიფ ბეი (ქალბატონი გულსევიმი)
2. ადილ ბეი (აჰმედ მეთინ ბეი-მეჰმედ ბეი-აიშეგულ ჰანიმი-გულფემ ჰანიმი)
3. ფერიჰა ქალბატონი
4. მემდუჰ ბეი

ა(13) ჯემალ ფაშა:

ჯელილ ბეი:
1. ენვერ ბეი (ჯემ ბეი-ასლან ბეი-იალიჩინ ბეი-ქალბატონი იჯლალი)
2. ჯავით ბეი (ჯელილ ბეი, ჰამდი ბეი-იუკსელ ბეი-ერჯან ბეი-ჰალილ ბეი-ბირგულ ჰანიმი-სევგი ჰანიმი)
3. ნიაზი ბეი (ჯერნგიზ ბეი-ქალბატონი შოჰრეთი)
4. ნაჯი ბეი (რიზა ბეი-ჯემალ ბეი-იავუზ ბეი)
5. თურგუთ ბეი (ქალბატონი გაიე)

ა(13) ჰამდი ბეი (სელაჰათინ ბეი)
ა.მ.(14) აბბას ბეი:
ა. ქალბატონი მათლუბა (ქალბატონი თურქაი-ქალბატონი თულინი-ქალბატონითუზინი)
ა.I. მ(14) ჯელალ ბეი:
1. ბერჰან ბეი (ჯენგიზ ბეი – ქალბატონი ნეჯლა – ქალბატონი ალია)
2. ქალბატონი ლეილა (ათაქან ბეი – ათაბენ ბეი)

ჯასიმ ბეი:
1. ქალბატონი ნაჯიე (ქალბატონი იურდანური – ერიქინ ბეი – ჰაკან ბეი)
2. ქალბატონი ზერინი (ათქან ბეი – ათაბენ ბეი)
3. ფერუდუნ ბეი (ქალბატონი უფუქი – ქალბატონი სელმა – ბატონი ჯასიმი – ქალბატონი სერპილი)

რასიმ ბეი:
ისა ბეი:
ახმედ ბეი:
1. ლათიპ ბეი (ქალბატონი გულსევიმი)
2. აღილ ბეი (ახმედ მეთინ ბეი-მეჰმედ ბეი-ქალბატონი აიშგული-ქალბატონი გულფემი)
3. მემდუჰ ბეი
4. ქალბატონი ფერიჰანი

ჰასან ბეი (ქალბატონი ნევრუზი – ქალბატონი საიმე – ნური ბეი – იზზეთ ბეი – ქალბატონი ზეინაბი – ქალბატონი ნაფიე – ნეჯმედინ ბეი)

ისრაფილ ბეი (ქალბატონი ნიჰალი – ქალბატონი ჟალე – ქალბატონი ნებაჰითი)

იბრაჰიმ ბეი ( ქალბატონი თურქანი, ქალბატონი ნილუფერი – ქალბატონი ულქერი)

იზზეთ ბეი:
1.ქალბატონი ჰედიე

მურთაზა ბეი:
1. ასლან ბეი: (ქალბატონი მავი – ჰაიდარ ბეი)
2. ქალბატონი ნაჰიდე

ქალბატონი მავი; (ნაზიმ ბეი – ჯასიმ ბეი – რასიმ ბეი)

ქალბატონი ილდიზი
ქალბატონი სანიე (ფუათ ბეი – ქალბატონი სანიე – მაჰმუდ ბეი – ენიმ ბეი)

ისა ბეი: (ბატონი რეჰიმ – აჰმედ ბეი – ქალბატონი სალიჰა – რიზა ბეი – ისკანდერ ბეი)

ჯემალ ფაშა: (ქალბატონი ნიგარი – ქალბატონი ფიქრიე – რიზა ბეი – საბით ბეი – ჰამდი ბეი – ჯელილ ბეი)

აბბას ბეი: (ქალბატონი მუჰიბე – ქალბატონი ინაიეთი – რასიმ ბეი – ჯელალ ბეი – ჯასიმ ბეი – ქალბატონი მათლუბა)

ქალბატონი ნაზმიე (ნეჯიფ ბეი)

ქალბატონი სუნა:
ქალბატონი ზეინაბ:
ქორ პუსეინ ფაშა:

ა) მურად ბეი
ბ) ასაფ ბეი
(ვ) სულჰი ბეი
დ) მემედალი ბეი
ე) სულეიმან ბეი

მურათ ბეი:

ა) ქალბატონი სენიე
ბ) რუსთემ ბეი (ქალბატონი ნაჯიე – ქალბატონი ვასფიე – ჯემილ ბეი – ქალბატონი ფანთუში)
(ვ) სამი ბეი (ჯემალ ბეი – ნამიქ ბეი – ნიოჰაფ ბეი – ჯავით ბეი – თევქიფ ბეი – ქალბატონი ბედირნაზი)
დ) ბედო ბეი
ე) ქალბატონი ნაჯიე (ქალბატონი სადიე – ნეჯმი ბეი)
ფ) ქალბატონი ვასფიე ( ბაჰადირ ბეი – თუნცაი ბეი)

ასაფ ბეი:
ა. ჰამით ბეი
ბ. ჰამი ბეი

სულეი ბეი:
ა. ჰედიზ ბეი (მეჰმედ ბეი – ლუტფი ბეი – სიქტი ბეი – ქალბატონი დესბინე)

მეჰმედ ბეი:
1. ისმეთ ბეი (ფატიჰ ბეი – ქენან ბეი – ილდირიმ ბეი – იაეუზ ბეი )
2. მუჯდათ ბეი

ა. რამიზ ბეი (ქალბატონი შეფიქა – ქალბატონი სეჰერი --- სირი ბეი – ქალბატონი ფერიდე – ბატონი ორჰანი – ქალბატონი ოზლემი – ქალბატონი თურქანი – სერაპ ქალბატონი – ქალბატონი აითენი – ქალბატონი გაიე – ქალბატონი შულე.)
ბ. ქალბატონი ფერიდე (ი'სეთ ბეი, ქალბატონი სეეიმი – ათაოლ ბეი) ქალბატონი ნეზიჰე (ნური ბეი)
ც. ქალბატონი ფიქრია
დ. ქალბატონი ფერიდე
ე. ჰაკკი ბეი

მეჰმედ ალი ბეი:
ა. ქალბატონი შადიე
ბ. ბატონი ვაჰაბი (ქალბატონი რაზიე – ალი ბეი)
ქალბატონი ფერიდე

აბდი ბეი:
ა. ქამილ ფაშა (ჰუსეინ ბეი – მენან ბეი – მუჰლის ბეი – ქალბატონი ფერიდე – ქალბატონი ზეჰრა)
ბ. შაქირ ბეი
ც. სალიმ ბეი
დ. ნური ბეი

ე. ქალბატონი ესმა

ქამილ ფაშა
1. ჰუსეინ ბეი (ქალბატონი ქამერი – მეჰმედ ალი ბეი – მაჰმუდ ჯელალ ბეი – ზეკი ბეი – ქალბატონი რამზიე)
2. მენან ბეი
3. მეჰლიის ბეი
4. ქალბატონი ფერიდე
5. ქალბატონი ზეჰრა
მეჰმედ ბეი

მაჰმუდ ჯელალ ბეი (ორჰან ბეი – ოზგან ბეი – დემირჰან ბეი – ოსჯან ბეი – ქალბატონი გუნერი)

1. ზეკი ბეი
    1. ილმაზ ბეი (აჭარ –აიბარს ბეი)
    2. ქალბატონი ნერმინი (ქალბატონი იაშარი – მეჰმედ ბეი – აჰმედ ბეი – ქალბატონი აიშე)
    3. ქალბატონი ოზაი ( ქალბატონი არზუ – სერჰათ ბეი)
    4. მუმთაზ ბეი (ენგინ ბეი – ქალბატონი გული – ზეკი ბეი)
    5. გუნდაი ბეი (ბერქ ბეი – ბურაქ ბეი)
2. ქალბატონი რემზიე (ქალბატონი ნიჰალი –სირი ბეი)

3. სელიმ ბეი:
1. ბეჰლიულ ბეი (ფიქრი ბეი – ქალბატონი ჰურმუზი)
2. აბდულლაჰ ჰაცი ბეი
3. ნუსრეთ ბეი (ჰაქი ბეი)
4. ილდიზ ქალბატონი
5. ქალბატონი სეჰერი
6. რამიზ ბეი

4.რამიზ ბეი:
1. ქაია ბეი (ვეისი ბეი – ქემალ ბეი – სელიმ ბეი – ენგინ ბეი – ქალბატონი მელაჰათი –ქალბატონი საირე)

2. ქალბატონი სურიე
3. ჯეკდეთ ბეი (საჰაპ ბეი – თუღრულ ბეი – ქალბატონი შადიე – ქალბატონი ნაჰიდე – ქალბატონი მუბეჯელი – ქალბატონი გულუმსერი – ქალბატონი რაჯიე – ქალბატონი მურშიდე)

ვეისი ბეი ენის თემურ შენოლი – ასუმან ურალი – ასუდე შენოლ – მინე ათაქ.

ქემალ ბეი: იეშიმ შენოლ – ესრა შენოლ –შებნემ შენოლ

ნური ბეი:
1. ქალბატონი ნაჯიე
2. ქალბატონი ფიოინათი
3. პერთევ ბეი

ფერთევ ბეი:
1. ნეჯიფ ბეი (ქალბატონი ნადირე – ქალბატონი არზუ-ჰაკან ბეი – ქალბატონი ბეიჰანი – ქურშათ ბეი, ქალბატონი ნესლიჰანი, ქალბატონი ფუსუნი – ქალბატონი ნურჰანი–ქალბატონი ზეინაბი – ეროლ ბეი – ალპერ ბეი)
2. ალი ბეი ( ფერჰან ბეი – აიჰან ბეი – თეომან ბეი)
3. ქალბატონი მუფიდე (ქალბატონი სუზანი – ქალბატონი რეზანი – ქალბატონი გულერი)
4. ქალბატონი ინაეთი (ბატონი თურჰანი – ორჰან ბეი – თარიქ ბეი – ბარბოროს ბეი)
5. ქალბატონი მუჰიდე
6. ქალბატონი რემზიე (ფერთევ ბეი)

ასეთია ა. აჭარის მიხედვით "ყივჩაღის გვარიდან გამოსული ქერა, ცისფერთვალიანი ხაშიმას შთამომავლობა, რომლებმაც 1547 წელს [ თურქების მიერ] ბათუმ-აჭარის დაპყრობისა და ტრაპიზონთან შეერთების შემდეგ მუსულმანობა მიიღეს". გარდა ამისა ა.აჭარს ნაჩვენები აქვს ის პუნქტები, საიდანაც

1935-1936 წწ გაასახლეს ხიმშიაშვილები. "ამ მხარის ყველაზე ძველი და ისტორიული ოჯახები". ისინი სახლობდნენ:

| არდაგანის რაიონი: | ფოცხოვი ხიმშიაშვილი | სელიმ ბეი | და ოჯახის წევრები |
|---|---|---|---|
| | | ასლან ბეი | |
| სოფელი ვარხმადა (დემირდოვენ) | | დერვიშ ბეი | |
| | | ქაზიმ ბეი | |
| | | ჯაფერ ბეი | |
| | | იბრაჰიმ ბეი | |
| სოფელი ხინსაოიფლე (ოილადა'ხი) | | დურსუნ ბეი | |
| | | შერიფ ბეი | |
| არდაგანი | ბ. ხიმშიაშვი-ლი | რასიმ ბეი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ჯელალ ბეი | |
| სოფელი ჰინვანი | | ჯელალ ბეი | |
| სოფელი დელირმენლი | | ჯელალ ბეი | |
| სოფელი ალაგი'ხი | | ჯელალ ბეი | |
| | | ფერუდუნ ბეი | |
| | | ჯასიმ ბეი | და ოჯახის წევრები |
| | | ქალბატონი მაიოლუბა | |
| სოფელი 'ხარ'სეფი (სელაქიერთ) | ხიმშიაშვილი | ისრაფილ ბეი | |
| | | ჰასან ბეი | |
| | | ქალბატონი სურეული | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰანაკი | გ) ხიმშიაშვილი | შევქეთ ბეი | |
| სოფელი ალთაში | | ისა ბეი | |
| ურის ფერმა | | ჰაშიმ ბეი | |
| | | მუსტაფა ბეი | |
| | | რაჰიმ ბეი | |
| | | აჰმედ ბეი | |
| | | ქემალ ბეი | |
| ოლთუ | დ) ხიმშიაშვილი | ჰუსეინ ფაშა | |
| | | რუსთემ ბეი | |
| | | ჰუსეინ ბეი | |
| ოლუერ-ისრაილ-ქარნავას | | სირრი ბეი | |
| | | ზეკი ბეი | |
| ართვინი | ე) ხიმშიაშვილი | ფერთეე ბეი | |
| | | ნური ბეი | |
| | | ბეჰლულ ბეი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| შავშეთი | ვ) ხიმშიაშვილი | ნეჯიფ ბეი | |
| სირთლაბანის ფერმა | | საიფ ბეი | |

XIX ს-ა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში აჭარის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრებაში ხიმშიაშვილებთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მათი მონათესავე აბაშიძეების ძლიერი საგვარეულო. ა. აჭარის მონაცემებით 1833 წლიდან ისინი ბათუმის სადროშოს ბატონები არიან (ა. აჭარი, გვ. 181). აჭარის ყველა სანჯაყ ბეგს უმაღლესი განათლება თურქეთში ჰქონია მიღებული. მათ შორის გამორჩეული ყოფილა იბრაიმ აბაშიძე, რომელიც სტამბოლში სწავლობდა და იქ დამკვიდრებულა. ის, რომ ქართული სულისკვეთების მატარებელი ყოფი-

ლა, კარგად ჩანს იქედანაც, რომ მისი ვაჟი- მემედ აბაშიძე ოსმალეთის უმაღლესი დიპლომატიური სასწავლებლის კურსდამთავრებული საერთოდ ტოვებს თურქეთს და სამშობლოში ბრუნდება. ა. აჭარის თქმით: "ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წლებში მან საქართველოში წასვლა არჩია!" შემონახული გადმოცემებით, ის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე ყოფილა,უაღრესად განათლებული, კარგი ორატორი, ლიდერის გამორჩეული თვისებებით დაჯილდოებული. ა. აჭარის მიხედვით, მან ბევრი გააკეთა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რაც თურქოფილი ავტორის მისდამი მოწიწების მაჩვენებელია. ა. აჭარის თანახმად ბოლშევიკებმა ის შემდგომ გააციმბირეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც. მისი ძმა, ჰასანი თურქეთში დარჩენილა. გაუგია რა ძმის ავადმყოფობის ამბავი, 1928/1929 წწ. მემედ აბაშიძეს არალეგალურად გადაულახავს თურქეთის საზღვარი, ჩასულა ყარსში და იქიდან აპირებდა კიბოთი დასნეულებულ ძმასთან დაკავშირებას. მისი ჩამოსვლა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მას ეწვია თურქეთის ეროვნული უშიშროების მთავარი ინსპექტორი—ვინმე ნიმეზეთინ ბეი. მან თითქოს აცნობა ძმის კარგად ყოფნის ამბავი, ამასთანავე მოსთხოვა "დროის დაუკარგავად უკან დაბრუნებულიყო!" ა. აჭარის სიტყვებით: "როცა მეჰმედ ბეი თურქეთიდან საქართველოში გადმოსულა თურქეთის ცენტრალურ ბანკში დაუტოვებია ოქროულობა და ფული. "მისი ქონების დიდი ნაწილი სტამბოლში დარჩა, რომელიც შემდგომ ცოლის ნათესავებმა დაისაკუთრეს." აჭარისავე სიტყვებით, როდესაც "მეჰმედ ბეის ვაჟი იბრაიმ ბეი აჭარის ახლანდელი წინამძღოლის, ასლან აბაშიძის მამა და მამიდა ქალბატონი ივეთი 1978 წელს თურქეთში ჩავიდნენ, ნათესავებმა მათთან შეხვედრაზე უარი განაცხადეს და თქვეს: "არაფერი ქონება თქვენ არ გაქვთო!" (ა. აჭარი, გვ. 181). ამ დიდი სანათესაოდან ჰასან ბეი, მეჰმედ ბეგ აბაშიძის უფროსი ძმა, განათლებით იურისტი, ასევე მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე ყოფილა და 1957 წელს გარდაცვლილა ქალაქ ამასიაში. მ. აჭარის ცნობით იბრაჰიმ აბაშიძის მესამე ვაჟმა, ასლან ბეიმაც უმაღლესი განათლება სტამბოლში მიიღო. შავიზღვისპირეთის მილიციის უფროსის პოსტზე მყოფს გარკვეული მონაწილეობა მიუღია თურქეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. იზმირის რეგიონის გამგებლის თანამდებობაზე 1926 წელს გარდაცვლილა გულის შეტევით.

იბრაჰიმ აბაშიძის ქალიშვილიც ქალბატონი მუნირე, რომელმაც სტამბოლის სამრეწველო ლიცეუმი დაამთავრა, 1901 წ გათხოვდა ფოცხოვის სადროშოს ბატონის ეაე'ხე, აჰმედ ბეიზე. მათი ქალიშვილია ზეინაბ ათაბაგი. გარდა ამისა, ა. აჭარი ასახელებს სალიჰ ბეი აბაშიძის ვაეს, ცნობილ ექიმს აბიდინ აბაშიძეს, სტამბოლის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებულს. დაკრძალულია სამსუნში. (1916-1921წწ. ის იყო ბათუმის სანიტარული ექიმი, ხოლო 1921წ კომუნისტებმა დანიშნეს აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად. თავს უშველა თურქეთში გახიზვნით. გ.ლ.)

მისი ბიძაშვილი სულეიმან აბაშიძე თურმე ესევე სახელგანთქმული და ძლიერი პიროვნება ყოფილა. ა. აჭარს მოჰყავს ბათუმის აბაშიძეთა გვარის სანჯაყ ბეგების ნუსხა 1833 წ მოყოლებული. ესენი არიან: მეჰმედ ბეგი, ჰასან ბეგი, აჰმედ ბეგი, სულეიმან ბეგი, მეჰმედ ბეგი და იუსუფ ბეგი (ა. აჭარი, გვ. 182). ავტორი დაწვრილებით განიხილავს ამ დიდი და სახელოვან გვარიშვილებს, XIX და XX საუკუნეების თაობის ყველა წარმომადგენელს (ა. აჭარი, გვ. 183-184), მათ შორის - ხიმშიაშვილების აბა'შიძეებზე გათხოვილ ქალებს. ეს 35 კაციანი ნუსხა მთავრდება ასლან და გიორგი აბა'შიძეებით.

მ. აჭარის წიგნში არ აისახა აბაშიძეთა გვარის ისეთი შესანიშნავი წარმომადგენლების მოღვაწეობა, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს აჭარის დედა-სამშობლოს - საქართველოსთან შეერთების საქმეში. 1919 წელს მემედ აბაშიძის თაოსნობით ბათუმში შემდგარ ქართველ მუსულმანთა ყრილობამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება აჭარის დანარჩენ საქართველოსთან გაერთიანების შესახებ. დიდი ქართველი პატრიოტი მემედ აბაშიძე 1937 წ. დახვრეტილ იქნა თბილისში.

საქართველოს დამოუკიდებლობის სადარაჯოზე მტკიცედ იდგა მემედ აბაშიძის უმცროსი ძმა საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი აჭარელი გენერალი ასლან აბაშიძე, (სურ. 16) მუსულმან ქართველთა ათასეულით. ასევე განუზომელია ჰაიდარ აბაშიძის ღვაწლი. ნიშანდობლივია, რომ მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები ერთდროულად გახდნენ დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი ორგანოს, ეროვნული საბჭოს წევრები. ჰაიდარ აბაშიძის ხელმოწერა ამშვენებს საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წ 26 მაისის აქტს! მათი პირდაპირი შთამომავალია მემედ აბაშიძის შვილიშვილი,

ასლან იბრაჰიმის ძე აბაშიძე (აჭარის ყოფილი თავკაცი, რომლის რამოდენიმე სურათია ა. აჭარის წიგნში წარმოდგენილი).

მიუხედავად დიდი ისტორიული ქარტეხილებისა, ხიმშიაშვილებმა და აბაშიძეებმა თავისი კვალი დატოვეს ერის ცხოვრებაში, რის წარმოჩენის ცდაა ახმედ აჭარის ჩვენს მიერ განხილული წიგნი – "ხიმშიაშვილების გვარის ისტორია". ვფიქრობთ, ასევე ინტრესმოკლებული არ უნდა იყოს ა. აჭარის წიგნის ბოლოში დართული ზოგიერთი საბუთი ხიმშიაშვილების, კერძოდ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ და თურქეთში რეპრესირებულ თეიმურაზ ბეგის პირადი არქივიდან.

თემურ ბეგ ხიმშიაშვილი ხელმძღვანელობდა იმ დეპუტაციას, რომელსაც ფორმალურად 1918წ თურქეთის ახალი სულთანისათვის მეჰმედ VI ვაჰიდედდინისთვის ტახტზე ასვლა უნდა მიელოცა. სინამდვილეში ის აწარმოებდა მოლაპარაკებას აჭარის ავტონომიის თაობაზე თურქეთის შემადგენლობაში. სტამბოლიდან დაბრუნების შემდეგ მან თითქოს პროთურქული პროპაგანდა გააჩაღა, რის წინააღმდეგ გამოდიოდა "სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტი", რომლის შემადგენლობაში აბაშიძეები და ხიმშიაშვილებიც შედიოდნენ. მას სათავეში ედგა მემედ აბაშიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ის ერთ-ერთი პირველი დაჯილდოვდა საქართველოში თამარ მეფის ორდენით. გასაგები მიზეზების გამო ყველა ეს მოვლენა ა.აჭარის წიგნის მიღმა დარჩა. დამატების სახით მოგვყავს ზოგიერთი საბუთი და ფოტოები თემურ ბეგ ხიმშიაშვილის საოჯახო არქივიდან ამ ოფიციალური დოკუმენტების შესახებ (იხ. ა. აჭარი, გვ. 55-56). მათ შორისაა სულთან მეჰმედ V რეშადინის მიერ ბოძებული სულთან აბდულ მეჯიდის ორდენი ( ეს ორდენი თემურ ფაშას ფოტოზე ჩანს). ერთი ასეთი ორდენი აჭარის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ზემოხსენებული აბდულ-მეჯიდის მიერ ბოძებული ორდენი და ხმალი თემურ ფაშამ მიიღო შემდეგი დამსახურებისათვის: „1873 წლის სამ მარტს აისტოფონის/იეშილქოის ხელშეკრულებით მეფის რუსეთის ხელისუფლებასთან დადებულ იქნა პირობა, რომ უსამართლო "ომის კონტრიბუციის" სანაცვლოდ რუსეთს გადაეცა ყარს-არდაგან(ართვინის ჩათვლით)-ბათუმის სამი სადრო'მო. "'სუსტად 40 წლის შემდეგ 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიხედვით ეს სამი სადროშო ბოლშევიკური რუსეთის მიერ თურქეთს დაუბრუნდა აქაური

მოსახლეობის საარჩევნო ხმის თავისუფლად გამოყენების მეშვეობით".

ართვინსა და ბათუმში მყოფ თურქეთის აგენტებს მალულად შეხვედრია თემურ ხიმშიაშვილი, მან დიდი დამსახურებისათვის 1918 წლის 11 მარტს მიიღო ეს ორდენი. გარდა ამისა სამ სადროშოდ წოდებულ ყარს-არდაგან-ბათუმში 19 წელსე ზემოთ ასაკის მამაკაცთა შორის ივნისის დასაწყისში ჩასატარებელი არჩევნებისათვის მზადების დროს, რეგისტრაციის ჩატარებისას გამოჩენილი ერთგულებისთვის მას ფაშას წოდება მიენიჭა. სტამბოლიდან გამოგზავნილ იქნა ქვემოთ მოცემული ფირმანი:

აჭარელ თემურ ბეისათვის ფაშობის მინიჭების მაუწყებელი სულთანის ფირმანი: ფირმანში საუბარია თემურ ფაშას დამსახურებაზე და მის დაჯილდოების აუცილებლობაზე. ა. აჭარი წერს:

"ოთხი სადროშოს ხალხის მიერ 1918 წლის 12 ივნისს არჩევნების შედეგების წარსადგენად და ამ ტერიტორიის დედასამშობლოსთან დაბრუნების საცნობებლად დელეგატები წასულას აპირებდნენ სტამბოლში, რათა ფადიშაჰისთვის წარედგინათ ოქმები, რომელიც არჩევნების შედეგს და ამ ტერიტორიის თურქეთთან დაბრუნებას ადასტურებდა. მაგრამ 1918 წლის სამ ივლისს სულთან მეჰმედ რეშადი გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა სულთან მეჰმედ V ვაჰიდედინი, 1918 წლის რამაზანის თვეში, 25 რიცხვში, ხუთშაბთ დღეს. 1918 წლის აგვისტოს მეორე კვირაში ბათუმის პორტიდან გავიდა დელეგაცია, რომელსაც მიჰქონდა არჩევნების შედეგების ოქმები. სტამბოლში ჩასულ დელეგაციას ბეიოღლუ თოქათლიანში გაუმართეს ოფიციალური სადილი. ა. აჭარის ოჯახში შემოინახა სადილის მენიუ. მენიუში შედიოდა: მწვადი შამფურზე, თევზი შამფურზე, ბატკნის მწვადი, სალათა, ხორციანი ბრინჯი, ხილი, ყავა (14 აგვისტო, 1918).

განსახილველ წიგნში წარმოდგენილია სპეციალური მოსაწვევი ბარათი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაეგზავნა თემურ ფაშას ბეიოლუს სასტუმროში საღამოს წვეულებაზე დასაპატიჟებლად:

შინაგან საქმეთა სამინისტრო:

"შინაგან საქმეთა მინისტრი 1918 წლის ოთხშაბათ დღეს საღამოს ცხრის ნახევარზე ფერა პალასის სასტუმროში ვახ-

შამზე გეპატიჟებათ, გთხოვთ დაგვდოთ პატივი და მობრძანდეთ."

აჭარელ თემურ ფაშასთვის სტამბოლში ყოფნის დროს სულთან მეჰმედ ვაჰიდედინის მიერ მიცემული სირმით მორთული "ვერცხლის მედლის სიგელი", მისი ვაჟის სელიმ ბეის მკერდზე მოჩანს ფოტოზე. ეს ის მედალია, რომელიც მამამისმა 1918 წლის 1 სექტემბერს მიიღო.

სამი სადროშოსა დელეგაციის წევრებისათვის 1918 წლის 9 სექტემბერს სადილზე მოსაწვევი ბარათი, რომელიც ფადიშაჰმა გამართა დოლმაბაჰჩეს სასახლეში:

"ალაჰის სახელით,

ზღვისპირა სასახლეში დოლმაბაჰჩეში, დღის 12 საათზე ფადიშაჰი მართავს წვეულებას"

1918 წლის 8 სექტემბერი

(ხელმოწერა) ისმაილ

სულთან მეჰმედ ვაჰიდედინის სამი სადროშოს დელეგაციის წევრებისათვის შეთავაზებული სადილის მენიუ: ღვეზელი, თევზი, კოტლეტი, სალათა, ქათამი, ფლავი, ნაყინი, ხილი და შაქარლამა.

ბათუმის წარმომადგენლის ხიმშიაშვილ თემურ ფაშას მიერ წვეულების მეორე დღეს სამხედრო სამინისტროსთვის გადაცემული წერილი ასეთი შინაარსისაა:

"ალაჰის სახელით,

გამოვხატავ რა პატივისცემას სამხედრო სამინისტროსადმი, მოგახსენებთ: ორმოცი წლის განმავლობაში ვიბრძვით დედა სამშობლოსთან დასაბრუნებლად, ამ ბრძოლაში თავისი სიცოცხლე მიაქვს მსხვერპლად აჭარა-ჩურუქსუს. შავშეთი, იმერხევი ამ ბრძოლაში მონაწილეობენ და ბრძოლისათვის დიდ მსხვერპლს იღებენ.

არსებობს იმის საჭიროება, რომ გმირები მედლით დაჯილდოვდნენ და ომში დაღუპულთა ოჯახებს ხელფასი დაენიშნოთ.

1918 წლის 10 სექტემბერი, ბათუმის დელეგატი თემურ ფაშა."

სამი სადროშოს დელეგაცია, მათ შორის თემურ ხიმშიაშვილი 1918 წლის 15 აგვისტოს ფადიშაჰმა მეჰმედ ვაჰიდეთინმა დიდვეზირ თალიმ ფაშასთან ერთად დოლმა ბაჰჩეს სასახლეში მიიღო და იმავე დღეს სტამბოლში დაწერილა სამი სადროშოს

სამ'შობლოსთან დაბრუნების მაუწყებელი ფირმანი, რომელიც საქართველოსათვის დიდ საშ'შროებას წარმოადგენდა. ხოლო თუ რა პირობებში ჩატარდა ე.წ. რეფერენდუმი, ჩვენ ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი.

თემურ ფაშას 1918 წლის 1 სექტემბერს "ვერცხლის აღმატებული მედლით" დაჯილდოების დღეს გადაღებულ სურათზე ფაშა საზეიმო ეროვნულ ტანსაცმელ'შია. მკერდზე მოუჩანს სულთან-აბდულ მეჯიდის დროინდელი ორდენი. მას ხელში უჭირავს სულთანის ნაჩუქარი ხმალი, რომელიც საოჯახო რელიკვიაა (ა. აჭარი, გვ. 161-165). ოსმალურთან ერთად ხმალზე სომხური წარწერაცაა, რომლის წაკითხვა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა. სამსტრიქონიან რელიეფურ მკვეთრ წარწერაში, როგორც ჩანს ძველი მფლობელი იხსენიება (ვფიქრობთ, ხიმშიაშვილები მას ქართულ ნაწარმად მიიჩნევენ ავტ.)

ახმედ აჭარი გადმოცემებზე დაყრდნობით ცდილობს აღადგინოს ვითარება ართვინსა და შავ'შეთში 1914-1915 წწ სამხედრო ოპერაციებთან კავშირ'ში. მისი აღწერით:

"სომეხთა შეტევითი ოპერაციების საწინააღმდეგოდ დაიძრა თემურ ფაშა ზემოთ მოხსენიებულ ძალებთან ერთად. ამ შეტევამდე რამდენიმე თვით ადრე ქაზიმ ქარაბექირ ფაშა, აჭარელი ხიმ'შიაშვილი თემურ ფაშა შავშეთელ ხიმშიაშვილების სამფლობელო'ში იყვნენ სტუმრად. სომეხთა და ბერძენთა პარტიზანული რაზმები გაერთიანდა, არდაგანის და ყარსის სოფლებ'ში მუსლიმანი მისახლეობის ხოცვა დაიწყეს. ეს ამბები რომ შავშეთ'ში მოვიდა, თემურ ფაშამ აჭარაში გაგზავნა მაცნე, იქიდან იარაღი წამოიღო. თავის ძმიშვილს, ნეჯიფ აჭარს შავშეთის სოფლები მოარბენინა, იარაღიანი მოხალისეები შეაგროვა: აჭარიდან--200, შავშეთიდან 900-მდე შეიარაღებული შეგროვდა. თემურ ფაშა ამ ძალებს სათავეში ჩაუდგა. არდაგანისაკენ დაიძრნენ. როდესაც სოფელ სარზეფთან მოვიდნენ, თემურ ფაშამ ერთი რაზმი ტბის მიმართულებით გაგზავნა. დარჩენილი 150 ცხენოსნით და ქვეითი ძალებით ჰანაკ-პოსოფისკენ დაიძრნენ. სოფლებზე რომ გაიარეს, სომხები დაიშალნენ და გაიქცნენ. იქიდან კვლავ სარსუბეში დაბრუნდნენ. იქ მასთან შეხვედრას ორ სომეხთან ერთად შეეცადა აზერბაიჯანელი თურქი, სახელად კარაშაროვი. ამ შეხვედრისას კარაშაროვმა განუცხადა, თუ თქვენ აქ სომხებს გაულეტთ, აზერბაიჯან'ში მცხოვრები სომხები მუსლიმანებს დახოცავენო და სთხოვა ეს გაეთვალისწინებინა. მას გვერდით მყოფმა ორმა სომეხმა

ოფიცერმა კი სიტყვა მისცა, რომ სომხები თურქებზე ძალადობას არ გამოიყენებდნენ და არც ერთი სომეხი არ დაადგამდა ფეხს თურქთა სოფლებში. მათ შორის შედგა ამგვარი სიტყვიერი შეთანხმება. თემურ ფაშამ თავისი ძმიშვილი ნეჯიფ აჭარი გაგზავნა სოფელ ბებერექში ჯარის ნაწილთან ერთად. განკარგულება გასცა, რომ იქაური ბერძენი ხალხისთვის არაფერი დაეშავებინათ. ამ დღეებში ამბავი მოვიდა იმის შესახებ, რომ პარტიზანულ რაზმს, რომელსაც სათავეში ედგა თათ აბდულლაჰი, ცუდ მდგომარეობაში ჩაუყენებია არდაგანში მყოფი სომხები. თემურ ფაშამ იმ დღეებში ხულოში ადგილობრივი ხელისუფლება შექმნა. კაიმაკამობის გამომცხადებელმა მისმა უფროსმა ძმამ ჯემალ ფაშამ მას თავისთან მოუხმო და იძულებული გახდა იქ წასულიყო. ჰილით ბეიმ გაიგო მისი ხულოში წასვლა. ამის გამო თემურ ფაშამ ჯარები წამოიყვანა და ხულოში დაბრუნდა. 1921 წლის 23 თებერვალს არდაგანში თურქული დროშის აღმმართველი სათადარიგო ოფიცერი ფილიბელი ფილიპ ბეი დაქორწინებული იყო ხიმშიაშვილ შერიფ ფაშას ქალიშვილზე ნაზიმიეზე. ხიმშიაშვილები ნეჯიფ აჭარი და თემურ ფაშა, ჯემალ ფაშა, ისა ბეი და სხვა ხიმშიაშვილების მოღვაწეობანი, ლიდერული მოღვაწეობანი, მორალური და მატერიალური მხარდაჭერანი, ხალხის გაერთიანების მცდელობანი იმდენად დიდია, რომ ისტორიის სიბნელესა და ნისლში ჩაინთქმება."

**სარიყამიშის შეტევა:** "1914 წელის დეკემბრის სარიყამიშის შეტევის დაგეგმვისას ერვერ ფაშა იმყოფებოდა ოლოუს სოფელ კარნოეასში ხიმშიაშვილ ქორ-ბრმა ჰუსეინ ფაშას შვილიშვილის, ჰუსეინ ბეისთან სახლში სტუმრად. მთელ საშტაბო დელეგაციასთან ერთად სადილის დროს ხიმშიაშვილ ჰუსეინ ბეის და ენვერ ფაშას შორის დიალოგის დროს გადაწყდა სარიყამიშის ბედი. ჰუსენ ბეიმ ენვერ ფაშას ასე უთხრა: "როგორც ვხედავ, სარიყამიშზე შეტევა იქნება, ყველაფერი ძალიან კარგად არის გაანგარიშებული, მხოლოდ ერთი რამე არ გაგითვალისწინებიათ, ოთახია ცივი." ენვერ ფაშამ გარემოს კლიმატური პირობების კარგად მცოდნე ამ გამოცდილი სახლის პატრონს ასე უთხრა: "ჯარისკაცებს მორალურად სცემთ, თქვენი სტუმარი რომ არ ვიყო, ამ სიტყვებისათვის გცემდით". ჰუსეინ ბეიმ კი ასე უპასუხა: "ფაშავ ოღონდ თქვენი ჯარისკაცები არ დაეცნენ მორალურად და მე მომკალით, თანახმა ვარ რადგან ეს დღეები დათვლილი დღეებია. ამ კლდეებზე ადამიანი კი

არა, ჩიტი ვერ გადაფრინდება. იგივე მოსაზრება გამოთქვა არმიის შტაბის დელეგაციამ, მაგრამ ენვერ ფაშამ არც მათ და არც ჰუსეინ ბეის რჩევას ყური არ ათხოვა. სამწუხაროა, მაგრამ ხიმშიაშვილ ჰუსეინ ბეის ნათქვამი ახდა. აალაჰაკუ ეკბერის მთებში 90 000 კაცი დაიღუპა.

„მერვე პოლკთან ერთად თემურ ფაშა შავშეთის და აჭარის ადგილობრივი ძალებით შავშეთიდან არდაგანში დაიძრა. 1914 წლის 27 დეკემბერს არდაგანის სოფელ სარსეფში შეგროვილი იაქუფ ჯემილ და ჰალით ბეის ძალებთან ერთად არდაგანს შეუტიეს. იმ დღის ბრძოლაში ხიმშიაშვილ თემურ ფაშას და მისი ბიძაშვილის რამიზ ბეის რაზმებში ექვსი კაცი დაიჭრა, ორი შავშეთელი მებრძოლი დაიღუპა. არდაგანის დაპყრობამ საყოველთაო სიხარული გამოიწვია და იმედი ჩანერგა მოსახლეობაშიც და ჯარისკაცებშიც. ხიმშიაშვილ თემურ ფაშა, თავისი უფროსი ძმის ჯემალ ფაშას სურვილით ხულოში წავიდა. დელი ჰალით ფაშაც ხულოში წავიდა. აქ მათ მომავალი სამოქმედო გეგმები განიხილეს და დაგეგმეს. 1915 წლის 4 იანვარს ღამით უცებ არდაგანს შეუტიეს და ქალაქში შეეიდნენ. არდაგანის კვლავ რუსეთის ხელში გადასვლის შემდეგ რუსებმა არდაგანის სოფლებს ყლეტა მოუწყვეს თურქებისათვის დახმარების გამო. იმ დროს ქალაქში მყოფი ხიმშიაშვილები: ისა ბეი, ჰაშიმ ბეი, მათი ბიძაშვილები რასიმ ბეი, ჯელალ ბეი დააპატიმრეს. ეს ამბავი შეატყობინეს აჭარაში მყოფ თემურ ფაშა ხიმშიაშვილს. თემურ ფაშამ, თავის მხრივ აცნობა თბილისში მყოფ თავის უფროს ძმას, ჯემალ ფაშას. ჯემალ ფაშამ, რომელსაც შეხება ჰქონდა რუსეთის ხელისუფლებასთან, რუსეთის მეფის ბრძანებით ხოცვა-ყლეტა შეაჩერა და დაპატიმრებული ტყვეები გაათავისუფლებინა. ხიმშიაშვილ თემურ ფაშას ჩარევამ გადაარჩინა შავშეთი რუსების ყლეტისაგან. ხიმშიაშვილების და თემურ ფაშა ხიმშიაშვილის დამსახურება ართვინ-ოლთუ-არდაგან-ჰანაქ-პოსოფის წინაშე ყველასათვის ცნობილია. ხიმშიაშვილებმა სომხებისაგან და ბერძნებისაგან გაანთავისუფლეს არდაგანი და ადგილობრივი მოსახლეობა და ქვეყანა გაერთიანეს. (იხ. დამატება I)

კავკასიის ფრონტის იუსუფელის, მელოს, იშხანის მიმართულებით არმიას მიუძღოდა ეროვნული პარტიზანული რაზმები (ხიმშიაშვილები), მათ არდაგანი დაიკავეს, მაგრამ სარიყამიშის ტრაგედიის გამო იძულებულნი არიან უკან დაიხიონ. არდაგანის მიდამოებში თურქ მუსლიმან ხალხს ხმლით ხოცავენ,

ქალაქს და სოფლებს ძარცვავენ. ამ დროს თემურ ფაშა, რომელიც უძლურია რამე გააკეთოს, პატრიოტულ ლექსებს წერს.

თურქეთის ძალების დასახმარებლად მოვიდა ჯარი, რომელის სათავეში იყო პოეტი თემურ ფაშა (უსახელო) და მისი ნათესავები. აჭარის-ართვინის-ოლთუს-ყარსის-არდაგანის ხალხი მაშინვე შეიარაღდა და თურქულ შეიარაღებულ ძალებთან ერთად აქაურობა გაანთავისუფლეს. მაგრამ თურქ ხალხს შორის ერის და ხალხის მოღალატეები აღმოჩნდნენ და წინსვლას უკრძალავდნენ. პოეტის რჩევა და თხოვნა არ ისმინეს. ამის გამო გულმოკლული თემურ ფაშა ხიმშიაშვილი პოემას წერს."

ა. აჭარი ჩამოთვლის გამოჩენილ წინაპრებს: ხიმშიაშვილი ნეჯიფ აჭარი 1877-1878 წწ ომში მოხსენიებული ხიმშიაშვილ ნური ბეის შვილიშვილი და პერტევ ბეის ეაჟია. იგი 1885 წელს დაიბადა. იმ წლებში 30 წლის გამბედავი ახალგაზრდა ყოფილა. დედამისი - იასა, თემურ, ჯემალ ფაშების, ნაზმიე ჰანიმის და იყო. მათ დაუვიწყარი სამსახური გასწიეს, "ამიტომ ხიმშიაშვილ თემურ ფაშას დიდი პატივისცემით იღებენ ოსმალეთის დედაქალაქში. ის იმ დროს მინისტრებმა თელათ ფაშამ და ენვერ ფაშამ მიიღეს. მიღების დროს თემურ ფაშამ მათ ხალხის გრძნობის გამომხატველი ეს სიტყვები უთხრა: "თქვენ ის პიროვნებები ხართ, რომელთაც ხელზე უნდა ემოხვიო. მე ვიცი, რომ ხელი იმიტომ არ გამომიწოდეთ საკოცნელად, რომ თქვენთან შედარებით მხცოვნად მიმიჩნიეთ. თუ ხელს გამომიწვდით, მაინც გაკოცებთ. გილოცავთ." თემურ ფაშა 1860 წელს ხულოში დაიბადა, 1918 წელს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დროს დელეგაციასთან ერთად სტამბოლში წავიდა. დიდია მისი დამსახურება ქართველების ოკუპაციის, სომეხთა, ბერძენთა შემოტევების დროს."

ხიმშიაშვილ შერიფ ბეის 1878 წელს ფაშის წოდება მიენიჭა. შერიფ ფაშას მამა და სელიმ ფაშას ეაჟი - ხიმშიაშვილი აჰმედ ფაშა 1828 წელს აჰისაკას (ახალციხის ავტ.) ომში მონაწილეობდა, აჭარელ ადგილობრივ ძალებთან ერთად რუსების წინააღმდეგ იბრძოდა, განათლება სტამბოლში სამხედრო სასწავლებელში მიიღო, სასწავლებელი მაიორის ჩინით დაამთავრა. იყო ერზრუმის ვალი (გუბერნატორი).

ხიმშიაშვილ შერიფ ფაშას ხუთი შვილიდან სამი – ისა ბეი, თემურ ფაშა, ჯემალ ფაშა „მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში მიიღეს განათლება, მეფის რუსეთის წინააღმდეგ გა-

ლაშქრებაზე უკან არასოდეს იხევდნენ. სამშობლოს მოყვარული ეს სამი პიროვნება ჩვენს წინაშე თავისი მოღვაწეობით თუნდაც 1914-1918 წლის ომში, თუნდაც შემდეგ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, წარმოჩინდებიან როგორც რუსეთის მოძულე პიროვნებანი."

„ართვინის, შავშეთის ბატონებიდაგან ხიმშიაშვილი ნური ბეი წარმოგვიდგება ისეთ პიროვნებად, რომელიც დაინტერესებულია მეცნიერებით, სამშობლოს და ერის საქმეებს დიდ დროს უთმობს და პატრიოტი პიროვნებაა. ამ პიროვნებამ სათლელში დაარსებულ სასულიერო სასწავლებელში რელიგიისა და ძირითადი მეცნიერებების გვერდით უსრუნველყო ჯირითცხენოსნობისას, იარაღის ტარების, ნადირობის მსგავსი სპორტული დისციპლინების სწავლება" (ე.ი. ის ცდილობდა დაენერგა ტრადიციული ფეოდალური ეპოქის ქართული საერო განათლების ელემენტები ავტ.).

## ა. აჭარი აბაშიძეების შესახებ (ჯითრჯიდან ჯითრჯიმდე)

აჭარელი აბაშიძეების გენეალოგიური საწყისები შეიძლება გიორგი (მემედ) აბაშიძეს (1520-1574 წწ) დავუკავშიროთ. აჰმედ აჭარი, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად, საოჯახო გადმოცემებს ეყრდნობა, ამ გვარის ისტორიას იწყებს 1833 წლის შემდეგ "ბათუმის სადროშოს ბატონების" –სანჯაყ ბეგ აბაშიძეების შთამომავალი ოჯახების აღწერით. მისი ინტერესი ამ საგვარეულოს მიმართ სავსებით გასაგებია, რადგან ის მემედ იბრაგიმის ძე აბაშიძის (1877-1937 წწ) დის მენირეს შთამომავალია (შვილიშვილია), რომელიც 1901წ გათხოვილა ფოცხოვის (თურქ. Posov) სადროშოს ბატონ სანჯაყ ბეგ აჰმედ ბეგ ათაბაგზე. ქალბატონ მენირეს განათლება სტამბოლის სამრეწველო ლიცეუმში ჰქონია მიღებული (ა.აჭარი, გვ. 182.). ცნობილია, რომ მათი (სურ. 11,12) ოჯახი ქართული ორიენტაციით გამოირჩეოდა, რაც ძვირად დაუჯდათ – აჰმად ათაბაგი და მისი შვილი ქემალისტებმა დახოცეს (თ. კომახიძე. მამულიშვილი.

ბათუმი, 1994, გვ. 23-24). როგორც აღნიშნავს ა. აჭარი, იბრაჰიმ აბა'შიძის ყველა შთამომავალს უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო განათლება თურქეთში მიუღია. მემედ ბეგმა სტამბოლის უმაღლესი დიპლომატიური სკოლის დამთავრების შემდეგ როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ "ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წლებში საქართველოში წასვლა არჩია". ა. აჭარი იძლევა მის დახასიათებას: "ის იყო ძალიან კარგი სახელმწიფო მოხელე, ყურანის ზეპირად მცოდნე, კარგი ორატორი, წინამძღოლის თვისებებით დაჯილდოვებული. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბევრი იბრძოლა" (ა. აჭარი, გვ. 181.).

ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ მემედ აბაშიძის ღვაწლზე (დაწვრ. იხ. გ. შარაძე. მემედ აბაშიძე. თბ. 1995, გვ. 7-181), როგორც აღვნიშნეთ – თბილისსა და ბათუმში დღეს მისი სახელის უკვდავსაყოფად ძეგლებია აღმართული (სკულპტორი ე. ამაშუკელი). ა. აჭარს მოჰყავს მ. აბაშიძის ბიოგრაფიის ჩვენთვის უცნობი დეტალებიც: 1928/29 წწ, როდესაც მემედ აბაშიძე ჩამოაშორეს სახელმწიფო სამსახურს, ის არალეგალურად გადასულა თურქეთში კიბოთი დაავადებული უფროსი ძმის, ჰასანის სანახავად. (ჰასანს ტრაპიზონში დაუმთავრებია გიმნაზია და სტამბოლში მიუღია უმაღლესი იურიდიული განათლება. 1916-1923 წწ ცხოვრობდა ბათუმში. კომუნისტების რეპრესიების გამო გაიქცა თურქეთში, მუშაობდა სხვა და სხვა პროვინციების პროკურორად და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ. გარდაიცვალა 1957 წ ამასიაში).

ა. აჭარის ცნობით მემედ აბაშიძე თავდაპირველად ყარსში ჩასულა, სასტუმრო'ში მას თავზე დასდგომია თურქეთის ეროვნული უ'ფიშროების თანამშრომელი, ვინმე ნიზემეთინ ბეი, უცნობებია ამასიაში მეოფი ძმის კარგად ყოფნა და მოუთხოვია "დროის დაუკარგავად უკან დაბრუნებულიყო. მემედ ბეი ღამით ნავით ტრაპიზონიდან ბათუმში ჩამოვიდა". ა. აჭარის განცხადებით, "მამასავით მებრძოლი ყოფილა მისი ქალიშვილი იფეთი". საოჯახო გადმოცემით, "როცა მეჰმედ ბეი თურქეთიდან საქართველოში გადმოვიდა, ოქროულობა და ფული ცენტრალურ ბანკში დატოვა. ნაწილი ქონებისა სტამბოლში დარჩა, რომელიც ცოლის ნათესავებმა დაისაკუთრეს. მემედ ბეის ვაჟი, იბრაიმ ბეი, ასლანის მამა და მამიდა, ქალბატონი იფეთი 1978 წელს თურქეთში ჩავიდნენ, ნათესავებმა მათ ზურგი აქციეს და უთხრეს – არაფერი ქონება

არ გაქვთო" (ა. აჭარი, გვ. 181). იბრაიმ აბაშიძეს ჰყავდა ოთხი ვაჟი: მამუდი, ჰასანი, მემედი და ასლანი. იბრაიმის ყველაზე უმცროს ვაჟიშვილს – გენერალ ასლან აბაშიძეს დარჩა ერთი ვაჟი, როსტომი, რომელიც უმემკვიდრეოდ გადაეგო ( გ. შარაძე. მემედ აბაშიძე, გვ. 41). მემედ აბაშიძეს და მის მეუღლეს სეფურე ათაბაგის ასულს ხუთი ვაჟიშვილი – ქემალი, ბექირი, ჰამიდი, იბრაგიმი და მამუდი – ჰყოლიათ. იბრაიმის შთამომავლები არიან ასლან და გიორგი აბაშიძეები.

ა. აჭარის მონაცემებით, იბრაიმის უფროს ვაჟ ასლან ბეგ აბაშიძეს (1877-1926წწ) ასევე დაუმთავრებია სტამბოლის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი, იღებდა მონაწილეობას ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, გარდაცვალებამდე იზმირის რეგიონს ედგა სათავეში. ამის შემდეგ ა. აჭარი იძლევა მოკლე ცნობებს საღიჭ ბეის ვაჟის აბდი ბეისა და სულეიმან ბეის შესახებ, რომლებიც თავის მხარეში სახელგანოქმულნი ყოფილან.

ა. აჭარის მონაცემების ფონზე არანაკლებ საინტერესოა თემურ ხიმშიაშვილის მოღვაწეობის კვალის გამოვლენა მშობლიურ კუთხეში.

ა. აჭარის წიგნიდანაც კარგად ჩანს, თუ რა დიდი დაძაბულობა სუფევდა 1915-16 წლებში სამუსულმანო საქართველოში. ხშირ შემთხვევაში თანამოძმენი ბარიკადების სხვადასხვა მხარეს იბრძოდნენ. ავტორი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, რომ 1916წ. ლეო კერესელიძის თაოსნობით თურქეთში ყალიბდებოდა 2000 კაციანი ქართული ლეგიონი, ბრძოლისუნარიანი საჯარისო ნაწილები. /ა.სურგულაძე, კ.სურგულაძე, ქართული ლეგიონი თურქეთში. ბათუმი, 1974წ/. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ზრდასთან ერთად ძლიერდებოდა რეპრესიები, მათ შორის ხიმშიაშვილებისა და აბაშიძეების წინააღმდეგ, რომლებსაც დიდი გაელენა ჰქონდათ აჭარისა თუ შავშეთ-კლარჯეთის მკვიდრ მოსახლეობაზე. 1915-16 წლებში აღინიშნა სასამართლო პროცესები "მოღალატე", "სეპარატისტ" აჭარლების წინააღმდეგ. დაპატიმრებული იქნა 200 ადამიანი, მ.აბაშიძე იძულებული ყოფილა გარიდებოდა იქაურობას და თბილისში ეცხოვრა თითქმის არალეგალურ პირობებში. შექმნილი ვითარების განსამუხტავად 1916წ. 2 მარტს თბილისისკენ გამოემგზავრა ე.წ. სამუსულმანო საქართველოს წარმომადგენლობითი დელეგაცია ქობულეთელი ისკანდერ ცივაძის წინამძღოლობით. მის შემადგენლობაში შედიოდნენ შავშეთ-იმერხევისა და არტანუ-

ჯ.ის მცხოვრებლებიც. ზემო აჭარას წარმოადგენდა თემურ ბეგ ხიმშიაშვილი. მათ მეფისნაცვალს წარუდგინეს ქართველ მაჰმადიანთა დასაბუთებული პეტიცია, რომელშიც მოითხოვდნენ რეპრესიების შეწყვეტასა და ლტოლვილების მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას. ქართული საზოგადოებრიობის ფართო მხარდაჭერით, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ კ. აფხაზი, გ. ყაზბეგი, ნ.ნიკოლაძე, ე.თაყაიშვილი, მ.აბაშიძე და სხვა, მოხერხდა შეთანხმება. მეფისნაცვალმა გაათავისუფლა მსჯავრდებულთა დიდი ჯგუფი. როგორც ჩანს, დაიგეგმა უფრო ლოიალური პოლიტიკის გატარება ქართველ მუსულმანთა მიმართ აღნიშნული გარემოება თავისებურად აისახა ახმედ აჭარის წიგნში (იხ. დამატება I).

1916წ. 4 მარტს ახალ ქართულ კლუბში დეპუტაციის საპატივსაცემოდ გაიმართა დარბაზობა, სადაც მ.აბაშიძეს ექსპრომტად წარმოთქმულ სიტყვაში უთქვამს: "აჭარა ბედმა მოსწყვიტა საუკუნოებით სამშობლოს გულს და ნუ გიკვირთ, თუ ვეუცნაურებით, თუ დღეს საკმაოდ ვერ უცნიხართ, – მოჰკიდეთ ხელი და ისევ თქვენთან იქნება" [თეატრი და ცხოვრება, 1916, მარტი, 11]. ასევე ემოციური გამოსვლა ჰქონია თემურ ბეგ ხიმშიაშვილს – "მართალია დღეს გაჭირვებაში ვიმყოფებით, ბევრი დავკარგეთ, მაგრამ გახარებულნი ვართ, რომ ამ გაჭირვებაში ვიცანით ჩვენი ნამდვილი ძმები და დავრწმუნდით მათ ძმურ გრძნობებში... ვერ გადავიხდით იმას, რითაც თქვენ დაგვეხმარეთ. ჩვენი განწყობილება განმტკიცებულიყოს და სამუდამოდ დავკავშირებულიყავით" [გაზ. საქართველო, 1916 მარტი 50, გ.ჯავახიშვილი წერილების ოთხკარედი, ბათუმი 2001, გვ.75]. როგორც დავრწმუნდით, თემურ ბეგ ხიმშიაშვილი ჭეშმარიტი მამულიშვილია, მისი "თურქოფილობა" და გადახვეწა ოსმალეში ჩანს რუსების მიერ საქართველოს ანექსიამ განაპირობა 1921წ. 25 თებერვალს. სამწუხაროდ, არავის დაუდგენია რამდენმა ათასმა პატრიოტმა დასტოვა მაშინ სამშობლო ქვეყნის ფარგლები და რამდენი ათასი ემსხვერპლა მისი თავისუფლებისათვის ბრძოლას. ახმედ აჭარს თავის წინგში მოჰყავს სამუსულმანო საქართველოში რუსების წინააღმდეგ შეტაკებებში დაღუპულ მებრძოლთა სია, რომელთა უმრავლესობა ჩვენებური უნდა იყოს სოფლის სახელწოდებებიდან გამომდინარე. დიდი მსხვერპლი გაიღეს ამ ბრძოლაში ხიმშიაშვილებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ა. აჭარი თითქოს პროთურქულ პოზიციაზე დგას, მან სწორედ შეაფასა ხიმშიაშვილების ღვაწ-

ლი ისტორიული სამშობლოს წინაშე და ამით უდავოდ იმსახურებს ქართველი მკითხველის ყურადღებას. საჭიროდ ჩავთვალეთ მისი წიგნის კომენტირება დაგვემთავრებინა გაზეთ "საქართველოს" 1916წ. მარტის რამოდენიმე ნომერში გამოქვეყნებული იმ სტატიებით, რომლებშიც კარგად ჩანს ქართული საზოგადოებრიობის დამოკიდებულება ა. აჭარის წიგნში აღწერილ მოვლენების მიმართ. ცნობილი ქართველი მწერლის დ. კასრაძის კორესპონდენციებიდან წარმოგვიდგება სულ სხვა თემურ ხიმშიაშვილი; ნუ ვიქნებით მკაცრნი მის განსჯაში... როგორც იმედით აცხადებდა 1923 წელს კომუნისტების მიერ დახვრეტილი პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი სიკვდილის წინ დაწერილ ლექსში: "და ქუდს მოიხდის მამულიშვილი ჩვენს ხსენებაზე". ჩვენ ეს ღა დაგვრჩენია, მოწიწებით მოვიხაროთ ქედი ხიმშიაშვილების საგვარეულოს წინაშე.

**დამატება I**

## გაზეთ „საქართველო", 1916წ. 4 მარტი №50

"გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ მაჰმადიანთა წარმომადგენლები რეჯიბ ეფენდი, თემურ ხიმშიაშვილი და მოლა ისკანდერ ეფენდი ცივაძის მეთაურობით. დეპუტაცია წარუდგა მის იმპ. უმაღლესობას მეფის მოადგილეს და ესაუბრა ქართველ მაჰმადიანთა საჭიროებაზედ.

დეპუტაციამ მიმართა სიტყვით მის უმაღლესობას და მისის ნებართვით წარუდგინა ოთხი საოხოვარი: 1) ნება მიეცეს სამშობლოში დაბრუნების ყველა იმ ქართველ მაჰმადიანთ, რომლებიც საოთომეთში ძალით არიან გადახვეწილნი. 2) განსაკუთრებული მოწყალებით მოექცნენ იმათ, ვინც ადმინისტრაციული წესით არიან გადასახლებულნი. 3) განსაკუთრებული მოწყალებით მოექცნენ იმათ, ვინც სამართალში არიან მიცემულნი ეხლა ან სასჯელი აქვთ მოხდილი.

მოლა ისკანდერ ცივაძემ მეტად გრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა, რომელშიაც დაახასითა ქართველების ზრუნვა ქართ-

ველ მაჰმადიანთა მიმართ, რისთვისაც დიდი მადლობა განაცხადა ქართველ მაჰმადიანთა სახელით და დასძინა, რომ ეს მუშაობა უნაყოფოდ არ ჩაივლის, რადგან დღეს ორივე მოძმეებს, როგორც მაჰმადიანთ, ასევე ქრისტიან ქართველებს, აერთიანებს დიდი ეროვნული კულტურული იდეა და არასდროს ქართველ მაჰმადიანთა გულში არ აღმოიფხვრება ის ძმური გრძნობები, რომლებიც დღეს ჩაინერგა. ქართველმა ძმებმა მტკიცედ აღასრულეს დიდი ილიას სიტყვები (აქ მან მიმართა პოეტის სურათს, რომელიც საკრებულოს დარბაზშია). "რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია, საქმე ის არის კაცს ის უყვარდეს ვინც ბედისაგან დაჩაგრულია."

თემურ ბეგ ხიმშიაშვილმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: "მართალია დიდ გაჭირვებაში ვიმყოფებით, ქვეყნის ნახევარი დაკარგეთ, მაგრამ გახარებულნი ვართ, რომ ამ გაჭირვებაში ვცანით ჩვენი ნამდვილი ძმები და დავრწმუნდით მათს ძმურ გრძნობებში.

დიდი ხნის განათლებულნიც რომ ვყოფილიყავით, შეიძლება მაშინაც ვერ გვეგრძნო ისე ძლიერად ჩვენი ძმური განწყობილება, ვერ გადაეიხდით იმას, რითაც თქვენ დაგვეხმარეთ და ნურც ჩაგაგდოთ მდგომარეობამ იმ ყოფაში, რომ ჩვენი დახმარება დაგჭირდეთ, მხოლოდ ვისურვებ, რომ ჩვენი განწყობილობა განმტკიცებულიყოს და სამუდამოდ დავკავშირებულიყავით".

დეპუტაციას თავადმა აფხაზმა მიმართა შემდეგი სიტყვებით: "სასიამოვნოა თქვენი აქ ნახვა. ის მხარე საიდანაც თქვენ მობრძანდით პირველი აკვანი იყო საქართველოსი. იქ იშვა ჩვენი ისტორია და იქიდან გავითქვით სახელი.

მრავალმა საუკუნემ გაიარა მას შემდეგ და ისტორიის ჩარხის ტრიალს მრავალჯერ მოეუწყვეტივართ ჩვენ ერთმანეთს, მაგრამ დღეს ისევე დაგვიბრუნდით. დღეს ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ და ერთად ჩავბმულვართ ამ ომში, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ამ უბედურებამ დიდი ბედნიერება მოგვაყენა მით, რომ დაკარგულმა ძმებმა ერთმანეთი ჰპოვა.

სალამს გიძღვნით. გისურვებთ ამ ურთიერთობის განმტკიცებას და ჩვენს მჭიდრო დაკავშირებას. ბევრი ცდილობენ ჩვენი მიწა-წყლის ჩაგდებას, მაგრამ მძლავრად შეკავშირებული უნდა ვეცადოთ ხელიდან არაფერი გავუშვათ.

ჩვენ უნდა დავიბრუნოთ დაკარგული მიწა-წყალი და ძმობა-ერთობაში ვცადოთ ერთ მშობელ საქართველოსათვის მოღვაწეობა.

სალამი გადაეცით თქვენს შინაურებს და არც ჩვენ დავ-ზოგავთ არაფერს, რომ თქვენ მიერ მოწყდილი ხელი სამუდა-მოდ დარჩეს ჩვენს ხელში. ვაშა ჩვენს ერთობას.

დეპუტაცია კიდევ ორ დღეს დარჩება თბილისში და "ქართველი საზოგადოება აპირებს მათ პატივსაცემლად ნადი-მის გადახდას".

## "საქართველო" №52, 1916წ. 6 მარტი (ძველი) გვ3
## « ჯაშვის ნაწყვეტი »

4 მარტი ჩვენთვის, ახალგაზრდა ქართველობისათვის ღირშესა-ნიშნავ დღედ ჩაითვლება, თუ გნებავთ ისტორიულ დღედ. ამ დღეს საქართველოს ეწვივნენ ძვირფასი სტუმრები – აჭარლები! სტუმრობა მათი და ჩვენი დახვედრა მართლა იმიტომ კი არ იყო საზეიმო, რომ ჩვენებურად ქართველურად ასე რიგად გავხ-სენით უხვ მასპინძლის გრძნობიარე გული, არამედ იმიტომ, რომ ამ დღეს ერთხელ კიდევ იფეთქა ალმა, მიძინებულმა ერ-თვნულმა სულმა და ამიტომაც გაშლილი სუფრა ძველებური ისტორიული წესრიგის კვალობაზე გარდაიქცა « მეჯლისად », ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ ჩვენს სადა ფრიად მარტივი სახის პარლამენტად. აი, ამ პარლამენტში ორი ერთმანეთისაგან საუკუნოებით დაშორებული ძმა, ერთ სამშობ-ლო კერის ჯაჭვიდან მოწყვეტილი რგოლები და სხვადასხვა [მხ]რით გაქანებულნი აქ შევიყარენით [. .] გადავხვიეთ ძმუ-რად ხელი, აქ შევიცანით ერთმანეთის ძმობის განმტკიცება! ორივე ვშვენოდით ერთმანეთს, ემშვენოდით მხურვალე სამად-ლობელი ცრემლებით, ემშვენოდით როგორც [. .]აყო დედ-მა-მის შვილნი. აი ამიტომ იყო, რომ გრძნობათა შადრევანს[. .]

თავად მოეხსნა პირი, იფეთქა [ჩვენ]ებურმა სიდარბაისლემ, იფეთქა [. .] ენაწყლიანობამ და ორივე [მხრ]ის მოფიქრებული და დინჯი სიტყვებით აღარ ვიცოდით, ვისთვის მი[გვეც]ა უპირატესობა ისტორიულ რო[ლი]ს შეცვლის შემდეგ უნცროსი თუ უფროსი ძმისთვის? ხოჯა ისკანდერ ეფენდი ცივაძე, რეჯიბ-ეფენდი ნიუარაძე, თემურ-ბეგ ხიმშიაშვილი, მემედ-ბეგ აბაშიძე ერთ მხრით და თუ მეორეთი მოხუცი ჭაბუკი გ.ნ. ყაზბეგი, ნ. ნიკოლაძე, მიხ. მაჩაბელი, ექ. თაყაიშვილი, გვაზავა, გრ. დიასამიძე, [. .] მაჭავარიანი, სპ. კედია რა რიგ შეკონდნენ ყველა ერთად, რა თავ[მო]საწონი აზრთა გაშლა, გრძნობათა [სისა]თუთე და სიყვარული გამოისმოდა ამათგან ! განა თუ უნდა გაგვი[კვირდ]ეს თუ ამ დროს გულმოკლული, გატანჯული სული გადაეხვევა წა[რ]სულსა ?

« უზენაესი განგებით გათიშულნი ძმები ერთად შეეხვდით. და ეს უნდა დაედოს საფუძველად ჩვენს მომავალს ერთობას » ბრძნულად, ძველებური, მშვენიერი ენით წარმოსთქვა ხოჯა ისკანდერ-ეფენდი ცივაძემ « უსიმო სამსახური გაგვიწიეთ თქვენ, მადლობა ათასი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ აჭარა აღარ არის ძველი დიდების კერა, იგი დროთა უკადმართობის გამო ჩამორჩა, ძველი ლამპარი ჩაჰქრა, წყვდიადმა მოიცვა. გსურთ რომ დაგიბრუნდეთ, გსურთ, რომ მარტო სიტყვიერ შეერთებად არ გამოვიდეს გასაჭირში შეხვედრილი ძმები? და მაშინ მოგვეცით განათლება და ოცდაათი წლის შემდეგ ჩვენც დაგეწევით, არაფერში არ ჩამოგრჩებით », - ი სიტყვები ჭაბუკის ცეცხლით აღფრთოვანებულა რეჯიბ-ეფენდი ნიუარაძისა : « როდესაც ყვავილი მოსწყდება, მიიკარით იგი გულზედ, დაიჭირეთ ხელში და ეალერსეთ, იგი იქნება ის ყვავილი, რაც რომ იყო, გასჭკნება, გაყვითლდება. აჭარა ბედმა მოსწყვიტა საუკუნოობით სამშობლოს გულს და ნუ გიკვირთ, თუ ეუცნაურებით, თუ დღეს საკმაოდ ვერ უცვნიხართ. » ასე იტყოდა ბ-ნი მაჰმედ-ბეგ-აბაშიძე. არა ნაკლებ საინტერესო სიტყვები წარმოსთქვა დანარჩენ ძვირფას სტუმრებიდან, ყველანი მხოლოდ ერთ რამეში ეთანხმებოდნენ, ერთ რამეს სჩიოდნენ და ერთი რამე გახლდათ ის, რომ დღევანდელი კრება უქმედ, ლიტონ სიტყვების კრებად არ დარჩენილიყო, რომ ნათქვამი ხორცშესხმულგვეყო.

აღარ შეეეხები უფროს ძმათა აღფრთოვანებულ სიტყვას, მ.ვ. მაჩაბლის ხაზგასმით ორთავ ძმის ერთ სამშობლოს აღიარებას, არც ბატონ გვაზავას პოეტურ სიტყვას, არც კედიას

ჭაბუკურ აღფრთოვანებით მოქარგული ზესაზღვრულ სიტყვას, არც ბ-ნ თაყაიშვილის დარბაისლობით გამობრძმედილ სიტყვას, არამედ წელთა გამოცდილებით დაზიდული ჩვენი ცხოვრების დარაჯს ნ. ნიკოლაძეს, რომელიც, როგორც ეს შვენივრად დაახასიათა ბ-მა თაყაიშვილმა, პოეტურ გატაცებით მთვარიდან ეარსკვლავებს ეკ არ მიმოფრინავდა, არამედ რეალურ ცხოვრებას პირდაპირ თვალში შესცქეროდა და სასტიკ ანგარიშს უწყვდა კიდეც. აი, აკორდი ამ ნადიმისა სწორედ ამ მოხუცმა შეასრულა. იგი შეეხო დღევანდელ მომენტს, სხარტულად დაახასიათა ომისგან შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია მთელი ევროპის სახელმწიფოებისა და გაგვაფრთხილა რანაირადაც არ უნდა დამთავრდეს ომი, ხვალ ის აღარ იქნება, რაც დღეს. მართალია დღეს რუსეთი ებრძვის ოსმალეთს, მაგრამ ომის შემდეგ მოუხდება მასთან კავშირის დაჭერაო. იგი შორს განსჭვრეტდა, დამსწრენი გამოგვიყვანა ვიწრო ფარგლიდან და აჭარის იქითაც გადაგვახედა – ლაზისტანისაკენ ! აი, რას უნდა ვეტრფოდეთ, რა უნდა გვქონდეს ამონიშნული, რომ ლაზისტანიც ჩვენი ზრუნვის საგანი შეიქმნას, ჩვენთან შემოსაერთებლად, ეროვნულ გაძლიერებასა და განმტკიცებისთვისო

შეუძლებელია გრძნობათა სრული ფარდის ახდა. ნადიმი ღირსი იყო ეროვნულ გრძნობათა ზეიმისა. დღეს ჩვენი გაწყვეტილი ჯაჭვის რგოლები ისევ მოჰგორავენ, ისევ ეკინძებიან ერთმანეთთან. ჩვენი მოვალეობაა ამ გახურებულ რგოლით ახლავე კვერი დავკრათ, არ გავაციოთ. ."

დ. კ-ძე

(ალბათ დავით კასრაძე, ავტ.)

## ფოთი (იქვე საქართველო №52. 1916წ. 6 მარტი ტ. 3)

საქართველოს დედა-ქალაქმა თავისი საყვარელი აჭარის შვილები, დიდებული სადღესასწაულო ზეიმით მიიღო. 4 მარტს ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ, ახალ-კლუბის დარბაზში გაუმართა ნადიმი ; სადაც დაესწრნენ თვით აჭარლების სრული დეპუტაცია და ქართველი დამსახურებული მოღვაწენი, ყველა მიმართულების პრესის წარმომადგენელნი და რჩეული ქართველი ინტელიგენცია რიცხვით 200 კაცამდე. ნადიმის თამადად არჩეული იქნა ცნობილი მხცოვანი მოღვაწე და თავმჯდომარე წ.კ.გ. საზოგადოების გენერალი გ. ყაზბეგი. მის თანაშემწედ გ. გვაზავა და გ. დიასამიძე.

თამადამ პირველად გრძნობიერის სიტყვით მიჰმართა აჭარელთა დეპუტაციას, როგორც წარმომადგენლებს იმ კუთხისა, რომელიც რამოდენიმე საუკუნით მოგლეჯილი იყო დედის მკერდს, მაგრამ სულიერად და ხორციელად დღეს ისევ ბრუნდება. თამადის სიტყვას საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება.

სადღეგრძელო წარმოითქვა მეფის ნაცვლის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და უქვეშევრდომილესი მადლობა გაეგზავნა იმ ყურადღების გამო, რომელიც აჭარლებზე უავგუსტესმა მოიღო.

აგრეთვე მეტად გრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ მ.ვ. მაჩაბელმა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ მოელენას, რომ მის შემდეგ, რაც საქართველოს მუხთალი ბედის ტრიალმა ჩამოგლიჯა მისი სხეულის განუყოფელი ნაწილები : აჭარა, მესხეთი, შავშეთი, მას შემდეგ განუწყვეტელმა მწარე ბედთან ბრძოლამ საქართველო დაასუსტა და ეხლა, როდესაც მას დაკარგული მოძმენი უბრუნდებიან, ჩვენი საქართველო მათგან მოელის ეროვნულ საქმის აყვავებას და გაძლიერებას!

ამის შემდეგ წარმოითქვა მრავალი ფრიად აღტაცებული და საგულისხმო სიტყვები.

თვით აჭარლებმა ქართულ ნადიმში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს. ყადი ისკანდერ-ბეგ ციციაძის ტკბილქართულით წარმოთქმულმა სიტყვამ აუწერელი შთაბეჭდილება მოახდინა, მან მადლობა უძღვნა ქართველ ერს მთელის აჭარის სახელით და

უსურვა ქართველ ერს და ახლად დაბრუნებულ ძმებს საერთო შეთანხმებული მუშაობა ეროვნულ ცხოვრების ასაყვავებლად.

ფრიად შინაარსიანი სიტყვები წარმოსთქვეს რეჯებ-ბეგ ნიჟარაძემ, თემურ-ბეგ ხიმშიაშვილმა და სხვებმა.

გაზეთ « საქართველოს » წარმომადგენელმა სპ. კედიამ მეტად აღტაცებული და მომხიბლავი სიტყვა წარმოსთქვა, გრძნობიერი სიტყვით მიესმართა აგრეთვე საქართველოს თანამშრომელმა ნაფ. ვექ ი. მაჭავარიანმა და საზოგადოების თხოვნით აჭარლებს სანდრო შანშიაშვილმა ექსპრომტად (უცები) ლექსი უთხრა.

ჩვენმა დამსახურებულმა ისტორიკოსმა და მკვლევარმა ექვთიმე თაყაიშვილმა დინჯი და დარბაისლური სიტყვით აღნიშნა, რომ ქართველებს გვმართებს არა მშვენიერის სიტყვების თქმა, არამედ მოქმედება. მიგვითითა ნ. ნიკოლაძეზე როგორც ისეთ დიდებულ ქართველზე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში, არა სიტყვას, არამედ ეროვნულ საქმეს ემსახურება და ქართველი ერის ეკონომიკურ კეთილდღეობის განმტკიცებას მთელ თავის ძალას და ღონეს ალევს.

ნ. ნიკოლაძის ხსენებამ საერთო აღტაცება გამოიწვია და მთელი საზოგადოება, როგორც ერთი კაცი ფეხზე წამოიშალა. ნ. ნიკოლაძემ მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და სთხოვა მის პიროვნებას ნაკლები ყურადღება მიაქციონ და გულისყური მიაპყრონ აჭარელ მოძმეთ და იმ მეორე ნაწილს საქართველოსას, ლაზისტანს, რომელიც უთუოდ მალე იქნება შემოერთებული.

ამის შემდეგ მრავალი მახვილი და საგულისხმო სიტყვა წარმოითქვა ჩვენს რჩეულ ინტელიგენტთა მიერ. ისმოდა ვაშა და განუწყვეტლად ხან მუსიკა, ხან სიმღერა.

4 მარტს აჭარელთა დეპუტაციამ ინახულა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე თ-დი მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი. აჭარლებმა მადლობა გადაუხადეს თ-დ მაჩაბელს იმ გულწრფელ, მხურვალე და დაუფასებელ დამსახურებისათვის, რომელსაც უწევს ქართული საქველმოქმედო საზოგადოება გაჭირვებაში მყოფ მოძმეთ. თ-მა მაჩაბელმა მეტად მგრძნობიარე სიტყვით უპასუხა მათ და მეტის მღელვარებისაგან ცრემლი მოერია. »

(გაზეთის რედაქტორი და გამომცემელი –
სანდრო შანშიაშვილი)

ჟურნალი « თეატრი და ცხოვრება »
1916 წლის 13 მარტი №11

## ჩატეხილ ხიდზე
## მაჰმადიან ქართველთა სტუმრობა თბილისში

ძმანი ერთმანეთს ჩატეხილ ხიდზე შევხვდით. . ჩვენი ცხოვრების ისტორიის გაუკულმართებული ჩარხი უკვე შემოტრიალდა რამდენიმე საუკუნით ურთიერთისგან გათიშულ ძმათა კელავ ვიპოვეთ ერთმანეთი და სულით სულს ვეზიარეთ, გულით გულს შევეტკბეთ დღემდე ამბად თქმული აწ უკვე საქმედ იქცა

მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა შორის გაიდო ხიდი დარღვეული ურთიერთობის აღსადგენად და განსამტკიცებლად. გასულ კვირას ბათომის ოლქიდან თბილისს ჩამოვიდა მაჰმადიან ქართველთა დეპუტაცია, 20 კაცისაგან შემდგარი, 3 მარტს მეფის ნაცვალს წარუდგა და მადლობა მოახსენა ყურადღებისათვის, აუხსნა მაჰმადიან-ქართველთა დღევანდელი მდგომარეობა საჭიროებანი და სთხოვა 1) დაბრუნების ნება მიეცეთ შიშიანობის დროს ოსმალეთში გადახვეწილ მაჰმადიან ქართველებს ; 2) დაბრუნებული იქმნენ თავიანთს სამშობლოში მართებლობისაგან გადასახლებულნი ; 3) მაჰმადიან ქართველთა მიწა-წყალი არ გაიცეს იჯარით მოსულ ხალხზე და დაცულ იქმნას მის პატრონთა დაბრუნებამდე და 4) სამართალში მიცემულ მაჰმადიან ქართველებს შეღავათი მიეცეთ. მეფის ნაცვალმა, მისმა უმაღლესობამ დეპუტატებს დიდი ყურადღებით მოუსმინა ყველაფერი და შემწეობა აღუთქვა.

შემდეგ დეპუტაციამ ინახულა დეპუტატთა საკრებულო, ქ. შ. წ. ს. თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი, ქართული გაზეთების რედაქციები და ყველას მადლობა გამოუცხადა დახმარებისათვის იმ განსაცდელის ჟამს, რომელიც კერძოდ აჭარას და საეროდ მაჰმადიან ქართველებს თავს დაატყდა . .

ოთხ მარტს, ქართული პოლიტიკური პრესის არსებობის ორმოცდა ათი წლის შესრულების დღეს, ქართველმა საზოგადოებამ ჩვენს ძვირფას სტუმრებს ნადიმი გაუმართა "ახალი კლუბის" დარბაზში. ნადიმს დაესწრნენ ქართული ჟურნალ-გაზეთების და ქართველთა თითქმის ყოველი წოდების და ხელობის წარმომადგენელნი, 200 კაცამდე. ნადიმის თამადა-თავმჯდო-

მარედ არჩეულ იქმნა დამსახურებული მოღვაწე, გენ. გ. ყაზბეგი, რომელიც 70-ნ წ-ში თითქმის პირველმა გასდო ხიდი სამუსლიმანო და საქრის. საქართველოს შორის, მის თანა'მემწყეებად – ბ-ნი გ. ბ. გვაზავა და თავ. გ.ნ. დიასამიძე.

ეს ჩვეულებრივი ნადიმი კი არა – ნამდვილი ეროვნული, მრავალ ათეული წლებით მიძინებულ ქართველი სულის გაღვიძების დღესასწაული იყო და იგი ახალი ხანის სათაყვედ დარჩება

გ'სა მიეცა დახშულ გრძნობას, მშობლიურ სწორმეტყველებას, ლაღ პოეტურ აღმაფრენას .

დინჯი მისალმება გ. ყაზბეგისა, მდგომარეობის განმარტება პოეტური აღმაფრენით გ. გვაზავასი, დარბაისლური, მარტივი, მძივეთ ასხმული, დაგეირისტებული, მაღალ ჭკუის ნაყოფი მამ'ული'შვილური მოწოდება მაჰმადიან ქართველის ხოჯა ცივაძისა, რომლის ტკბილ ქართულმა ნათელ ჰყო, რას იგ'ულისხმებდა ქართველი როცა იტყოდა ხოლმე—პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისაო, დაკარგ'ულ ძმათა ძმობა-ერთობის მღაღადებელი აღმოთქმა მ.ვ. მაჩაბლისა, გ'ულის გ'ულიდან აღმომსკდარი ძახილი რეჯებ ეფენდი ნიჟარაძისა, კვნესა სულისა მ'ჯმედ ბეგ აბაშიძისა, ჩვენი მომავლის განჭვრეტის კა'სმული ხატება ს. კედიასი, დაკვირვებული და მოსაქმე რჩევა ექ. თაყაიშვილისა, ღრმად განსჯილი სახელმწიფოებრივი ბჭობა მხცოვან ნ. ნიკოლაძის ანუ გრძნობად დამდნარი გამოძახილი გრ. დიასამიძესი თუ ი. მაჭავარიანისა ურთერთს ექი'შპებოდნენ ეროვნულ მოწოდებას . .

მაგრამ ყველას თაიგ'ული იყო მაჰმადიანი ქართველი ხოჯა ცივაძე, რომელმაც თავისი დაკვირვებული, ქართულ მამ'ულიშვილური გრძნობით გამობარ, 'ძინაარსიან სადა სიტყვით დამსწრენი აღტაცებაში მოიყვანა . არა, ეს სიტყვა კი არ იყო, არამედ პირველ დროის მოციქულთა იერემიასებური მოთქმა-მოწოდება .ძნელია აღიწეროს მისი სიტყვის შეკნიერება: იგი სიტყვა კაცს არა თუ უნდა ესმინა, არამედ უნდა ეხილნა, ესუნთქნა, რომ მისი დიადობა შეეგრძნო

"უსენიაესის გარგებით გათიშულნი ძმანი კელავ ერთადა ვართ და ეს უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს ერთობას

რ. ერისთავი გვასწავლის "როგორც უფალი, სამ'შობლოც ერთია ქვეყანასედა"-ო. ერთია ჩვენი სამ'შობლოც და ურთიერთს საქმით დავეხმარნეთ, მის აღსადგენადაო", – აი მოკლე და მკრთალი ნათქვამი ხოჯა ცივაძის სიტყვისა.

რეჯებ ბეგ ნიჟარაძის ყოველს სიტყვაში უმთავრესად უმწეოდ დარჩენილ, მაგრამ მომავლის ღრმა რწმენით აღჭურვილ ჭაბუკის ხმა მოისმოდა: "უსიმო სამსახური გაგვიწიეთ, მადლობა ათასი, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ აჭარა აღარ არის ძველი დიდების კერა. იგი დროთა უკუღმართობით ჩამორჩა, ძველი ლამპარი ჩაქრა, წყვდიადმა მოიცვა. თუ გსურთ დაგიბრუნდეთ, თუ გსურთ მარტო სიტყვიერ შეერთებად არ გამოვიდეს გასაჭირში მყოფ ძმების შეხვედრა, მაშინ მოგვეცით სწავლა-განათლება და ოც-ოცდა ათი წლის შემდეგ ჩვენც დაგეწყვეთ, არაფერში არ ჩამოგრჩებითო".

ერცელი სიტყვა წარმოსთქვა მაჰმედ ბეგ აბა'შიძემაც: "ყვავილი რო მოსწყდება ღეროს, გასჭკნება, გაყვითლდება . როდესაც ყვავილი მოსწყდება, მიიკარით იგი გულზე, დაიჭით ხელში, ეალერსეთ და იქნება იგივე ყვავილი, რაც რომ იყო . აჭარა ბედმა მოსწყვიტა საუკუნოებით სამშობლოს გულს და ნუ გიკვირთ, თუ ეუცნაურებით, თუ დღეს საკმაოდ ვერ ეცნობიხართ, -- მოჰკიდეთ ხელი და ისევე თქვენთან იქნებით" შინაარსიანი და ტკბილ-ქართული სიტყვა წარმოსთქვა თემურ-ბეგ ხიმშია'შვილმაც .

მონადიმეთ ართობდა მუსიკა და ქართული სიმღერები . დიდათ კმაყოფილი სტუმარ-მასპინძელნი მეოთხე საათზე დაიშალნენ, ხოლო მეორე დღეს – 5 მარტს დეპუტაცია, რეჯებ-ბეგ ნიჟარაძის გარდა, ბათომს გაემგზავრა . .

დეპუტაციაში იყვნენ ქობულეთიდან: 1) ისკანდერ ეფენდი ციკაძე, ხოჯა, იგივე ყადი-მსაჯული, 2) რეჯებ ბეგ ნიჟარაძე, ბათომის ხმოსანი-წევრი, 3) ყემბერ აღა ხარაზი, მემამულე, სოფლის სამსაჯულოს ყოფილი წევრი, 4) რეჯებ ეფენდი შა-'შიკ, ჰოდპორუჩიკი; მარადიდიდან: 5) ისაკ ეფენდი ხალვა'ში, ჰოდპორ. და იგივე წევრი ბათომის სახალხო სამსაჯულოსი, 6) ჰაიდარ ბეგ ბიბინ ზაადე, პრაპორჩ; ზედა აჭარიდან: 7) თემურ ბეგ ხიმშია'შვილი, 8) ჰასან-აღა ირემაძე, სოფ. ხორჯომელი, 85 წლისა, 9) ჯაფარ აღა მიქელაძე; ქვედა აჭარიდან: 10) ჰუსეინ ბეგ ბეკანიძე, 11) ზაქარია ბეგ შარვა'შიძე, 12) შუქრი ეფენდი თურმანიძე; შავ'შეთ-იმერხევიდან: 13) ოსმან ეფენდი კურდიკიძე, 14) თორუნ ეფენდი ფანჯიძე, 15) ჰე'სეი ეფენდი ეკემაძე, 16) შავ-ქეთ ბეგ გოგორაძე, 17) ასლან აღა ჯიჯარაძე, 18) ჰაჯი შაქრი ეფენდი ხეიძე, 19) მოლლა მამედ დოლიძე არდანუჯიდან: 20) შერიფ აღა გეგელიძე; ხოჯა ციკაძის გარდა, ყველანი ჩაქუ-რად იყვნენ გამოწყობილნი.

ჩატეხილი ხიდი უკვე გაიდო . ჩვენი ვალია ვეცადნეთ მის გამკვიდრებასა ორივე ძმის – არა მაჰმადიან და მაჰმადიან ქართველთა საბუდნიეროდ.

**იოსებ არიმათიელი**
**(იოსებ იმედაშვილი, ავტ.)**

**დამატება II**

ნაწყვეტი ახალი წარსულიდან. ფესვთის გარშემო
ტ ქართლისა, ბარიგზა, 1939წ.

„...ქვაბლიანელი ბეკის სულეიმან ერისთავის (ისტორიული თორნიკე ერისთავის ხაზის გამგრძელებელი) ვაჟი, ბოქაული ქალაქ ახალციხისა, უნდა შეუღლებოდა აჭარელ გავლენიან ბეგის თეიმურ ხიმშიაშვილის ასულს. დანიშნული მას არასდროს არ ენახა და თვით დანიშვნაც სარძლოს დაბადების მე-7 თვეს მომხდარიყო ოცი წლის უკან, რაც სიმამრისა და მამამოილის ბეჭდების შეცვლით შესრულებულა.

სამოცი რჩეული ცხენოსანი მაჰმადიანი სამცხე-ჯავახეთიდან თან გაჰყვა სასიძოს. მე ერთადერთი არამაჰმადიანი ვიყავი მოელს მხლებლებში და თვით ქორწილშიც. რამოდენიმე დღის შეებულება უკვე გამოვითხოვე სათანადოთ.

სასიძომ ბახრი-ბეკმა და მისმა მამამ სულეიმან ერისთავმა მოიხოვეს "ძმადედ" მე ვყოფილიყავი.

წინ ცხენს მიაჭენებდა აღმოსავლური მუსიკოსების თანხლებით ქალბატონი მაჩაბლისა, მამიდა სასიძოსი, ერისთავის ასული. მას სახე ჩამოფარებული ჰქონდა, მაგრამ ხანდახან ქარი საფარს გვერდზე გადაუგდებდა და მაშინ სულ მცირე ხნით გამოჩნდებოდა მისი მომხიბლელი და წარმტაცი სილამაზე. ის ერთადერთი მანდილოსანი ექვს ათეული მამაკაცთა რაზმის, ასე ვთქვათ, მეთაური იყო.

საჭიროა აქ აღვნიშნოთ, რომ ეისი ქმარი იყო ბახში-ბეკ მაჩაბელი, ისიც ოსმალეთის სასარგებლო მომუშავე. შემდეგ იგი, საქართველოს დამოუკიდებლობის დროის, თავისი ქვეყნის სამსახურს შეუდგა და გულწრფელადაც.

ახალციხის მაზრიდან გადავდივართ აჭარაში. აქ შეგვეგება ორმოცი აჭარელი ცხენოსანი; სალამი თოფის სროლით მოგვცეს და უკან გამოგვყვნენ. მივუახლოვდით სოფელ ხულოს; ჯემალ-ბეკ ხიმშიაშვილის სასახლის ეზოდან იგრიალა ზარბაზანმა. ამ გვარს ჰქონდა ზარბაზანი, ძველიდანვე შენახული, რომელიც აწინდელი ომისათვის გამოსადეგარი არ იყო, მაგრამ ხმის მხრივ თავზარდამცემი. სროლითა, ყიჟინითა და სიმღერებით შეეუდექით აღმართს. სასახლესთან ყველა ცხენიდან გადმოვხტით, გარდა ქალბატონი მაჩაბელისა. შეგვეგება თვით სასიმამრო თემურ-ბეკ ხიმშიაშვილი. იგი დაეხმარა ქალბატონ მაჩაბლისას ცხენიდან გადმომხტარიყო, მკლავი გამოსდო და მოგვცა ყველას საერთო თურქული სალამი. სასახლის აივნიდან მრისხანედ გადმოიყურებოდა ჯემალ-ბეკ ხიმშიაშვილი, ბიძა სარძლოსი, რომელიც როგორც უფროსი ძმა თემურ-ბეკისა, თვით იყო მასპინძელი და ძმისწულსაც თვითონ ათხოვებდა. მე სასიძოს მარცხენა გვერდით ვიდექი; მარჯვნივ თვით მამა სულეიმან-ბეკ ერისთავი; ჩვენს უკან ყველა დანარჩენი მხლებელი, ახალციხელები და თვით აჭარლებიც.

მეორედ იგრიალა ზარბაზანმა. მალე იქვე მყოფ ქბ-ნ მაჩაბლისას ეახლა და ორივე ძმამ ჩვენი რაზმის ხელმძღვანელი მანდილოსანი სასახლის ახლო მდგომ პატარა, ლამაზ ოდისაკენ მიიწვია და მთელი ქორწილისა და ზეიმის დროს ერთხელაც ჩვენ აღარ გვინახავს იგი.

უფროსი მოურავი სტუმრებს ჯერ აივანზე შეგვეპატიჟა, აქ ყველას ხელი დაგვაბანინეს და მერმე საერთო დარბაზში მიგვიწვიეს. ამ დროს ჯემალ-ბეკი და თეიმურ-ბეკი ხიმშიაშვილები, ჩვენი მასპინძლები, უკან დაბრუნდნენ და გაიმართა ლხინი, რა ლხინი!

სასიძო ბახრი-ბეკ ერისთავი იმ ღამესვე წავიდა და ისიც ხუთი დღე ჩვენ აღარ გვინახავს;

მასპინძლობა იყო საგანგებო; მთელი დღეები ეზოს გადაღმა ჩვენ არ გადავსულვართ. მოახლოვდა მეექვსე დღეც: სულეიმან- ბეკ ერისთავმა, სასიძოს მამამ, გამიხმო და იმ ოდისაკენ წამიყვანა, სადაც რამდენიმე დღის უკან ქბ-ნ მაჩაბლისა მიაცილეს.

როგორი იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც აქ, ამ შენობაში, მარტო მანდილოსნები ვნახე. ცოტა უხერხულად ვიგრძენი თავი. ყველას სახე დაფარული ჰქონდათ; საერთო სალამი მივუძღვენი მათ; ერთმანეთს კი ისინი ქართულად წასჩურჩულებდნენ: - ქართველია, ბოშო, ქართველია ეს ოფიცერი-ო!

სულეიმანმა ერთ ოთახში შემიყვანა და ქართულად მითხრა: - აბა შენ იცი, სრულიად მხარი უნდა დაგვიჭირო-ო. მე არ ვიცოდი როგორ უნდა დამეჭირა მხარი და შეკითხვაც ვერ გავუბედე.

იმავე ოთახში შემოვიდა ერთი ხანში შესული აჭარელი. მას ორი ფანქარი ეჭირა ხელში. მომესალმა და ერთი მე გადმომცა. ფანქრითა და ქაღალდით ხელში ჩვენ ორი სულეიმან-ბეკ ერისთავისა და თეიმურ-ბეკ ხიმშიაშვილის თანადასწრებით, იმ უამრავი სამზითვო ნივთების აღწერას, რომლებიც სარძლოს საკუთრებად უნდა ქცეულიყო. შეფასებულიყო და თუ, მაჰმადიანთა ადათის მიხედვით, შეუღლებულნი ერთმანეთს დასცილდებოდნენ, გათხოვილ ქალს უკანვე უნდა მოეტანა თვით ნივთები ან მათი საფასური.

შევუდექით შეფასებას. სარძლოს ოჯახის წარმომადგენელი ნივთს პირველი აფასებდა. მე უსიტყვოდ მას ვეთანხმებოდი და სათანადო აღნიშვნასაც სიაში ვაკეთებდი. უკვე ნახევარზე მეტი შევაფასეთ. ასე მიდიოდა საქმე, სანამ მოთმინებიდან გამოსული სასიძოს მამა სულეიმან-ბეკი არ მწვდა ხელში და აღელვებით არ მითხრა, ეხლა უკვე რუსულად: - რაშია საქმე? მეც ხომ ქართველი ვარ, რაღა მაგ აჭარელს უჯერ მხარს დაუჭერებითო?! – მე მივხვდი ჩემს დანაშაულს, მაგრამ გვიანღა იყო, თუმცა დანარჩენი ნივთების დაფასებაში ერთხელაც არ დამითმია და რაც შესაძლო იყო ყველაფერს დაბლა ვაფასებდი. სია გამზადდა. ოთხივემ ხელი მოვაწერეთ, შემდეგ ჩვენივე დასწრებით სასიძო დანიშნულის ოთახში შევიყვანეთ, კარები გამოვუხურეთ და იქ ჩავტოვეთ. თვით სარძლო კი არ დაგვინახავს. შემდეგ ისევ უკან, სასახლეში დავბრუნდით და საერთო ლხინს შევუერთდით.

მეშვიდე ღამე იყო სწორედ, რაც იქ ჩვენ მოვსულიყავით. სმითა, ქართულ-თურქული სიმღერებითა და ქართულ-თურქული მუსიკით ვერთობოდით. უკვე ნაშუაღამევი იქნებოდა, ჩვენთვის მოულოდნელად გაიღო ჩვენი დარბაზის კარები და გამოჩნდა მაჰმადიანების სასულიერო პირი, თორმეტი თურქულად

ჩაცმული, თავიდან ფეხებამდის შეიარაღებული ვაუკაცის თანხლებით, თორმეტსავეს თავი ყაბალახით ჰქონდათ წაკრული.

სუფრის თამადა, ჯემალ-ბეკი, წამოდგა. მოსულთა სალამს ჩვენც ფეხზე ამდგარი ეუპასუხეთ. მიეიწ-მოვიწიეთ და საერთო სუფრას ისინიც შემოუერთდნენ. პირველი სიტყვა თვით მოსულების მხრიდან იყო.

სიტყვა სთქვა იშვიათი ვაუკაცური გარეგნობის კაცმა, თვით ჯემალ-ბეკ ხიმშიაშვილის ძმამ, რომელიც ომის დაწყებიდანვე ოსმალეთში გადასულიყო და იქ თურქთა ჯარებში აჭარელ მოხალისეებს მეთაურობდა რუსეთის წინააღმდეგ. ამ თორმეტი სტუმრიდან ექვსი აჭარელი აღმოჩნდა, - ყველა მშვენიერი მოქართულე და ქართული სიმღერების მცოდნე. თვით წინამძღვარი სასულიერო პირი იყო, წმინდა თურქი; დანარჩენი ექვსი კი თურქი ოფიცრები საგანგებოდ მოსალოცავად აქ მოსული მტრის მოწინააღმ რაზმებიდან.

როცა მე სტუმრების მეთაურის, ხიმშიაშვილის სიტყვა მოვისმინე, თავი მეტად უხერხულად ვიგრძენ; მე , რუსის ჯარის ოფიცერი თურქის ოფიცრებთან ერთად რუსეთის მიწაწყალზე! შეეწუხდი. ეს იგრძნო ჩემთან ახლო მეოფ ჯემალ-ბეკმა და საპასუხო სიტყვა ქართულად უთხრა თავის ძმას თხოვნით, რომ თურქულად იმ ექვსი ოფიცრისათვის და სასულიერო პირისათვის მასვე გადაეცა.

თვით სიტყვა თურქეთიდან დაბრუნებული ხიმშიაშვილისა იყო ფრიად მჭერმეტყველური, კარგი ქართულით ნათქვამი. მახსოვს მისი სიტყვის ერთი ადგილი კარგად: - ჩვენ გამოვცხადდით ქორწინების დასასრულს აქ, მტრის სამფლობელოში; ბრმა და ბინძურ რუსის სადარაჯოები გადმოვლახეთ და გაბედულად ხულოს სასახლეს – ჩემი ძმის და პატრონის ჯემალის ბინას თაყი შემოვაფარეთ. ჩემს ძმას ამშვენებს, მართალია, რუსის პოლკოვნიკის ეპოლატები, მაგრამ ჩვენ სტუმრები, აქ, ხიმშიაშვილის ოჯახში, მოყვრულად დავრჩებით მიღებული. იმედს გამოვსთქვამ, ჩემი საყვარელი ძმა, რუსთა თვალის ასახვევად აჭარებს ამ თაყის რუსულ მუნდირსაო – და შემდეგ დაუმატა:

– მე ადრე გაეიგე, რომ აქ სუფრაზე რუსის ოფიცერია, მაგრამ არა რუსი, არამედ ქართველი, ჩვენი ძმა. მე მივმართავ ამიტომ მოურიდებლად ჩემს საყვარელ ღეიძლ ძმას, როგორც საქართველოს შვილს, ხელი შეუწყოს ოსმალეთს რუსთა განდევნისათვის და მრწამს: დიდებული ხონოქარი გახდება მოკავშირე აღორძინებული და გაერთიანებული საქართველოს სამეფოსი-ო!

ჯემალ-ბეკი სდუმდა; თავი ჩაეღუნა; სიტყვაზე პასუხის გაცემას აგვიანებდა. სტუმრები კი ფეხზე დამდგარნი პასუხს ელოდნენ; ბოლოს თამადა ჯემალ-ბეკიც ადგა და განაცხადა: - მე მესმის ნათესაური გრძნობა, რაინდობა, ვაჟკაცობა, მაგრამ თქვენი აქ ასე დაუპატიჟებლად გამოცხადება როგორც თქვენთვის, უფრო მეტად ჩვენთვის სახიფათო და არასასურველია; მაგრამ მაინც გიქებთ გამბედაობას; გმადლობთ მოლოცვისათვის და იმედი მაქვს ეხლავე დასტოვებთ აქაურობას და მამაცურად თქვენს სადარაჯოზე დაბრუნდებით-ო!

ჯემალ-ბეკის ძმამ ეს სიტყვები თურქულად გადასცა თავის თანამგზავრ თურქებს; ერთმა თურქის ოფიცერმა, სხვა თურქების სახელით, მადლობის განცხადებაც მოასწრო, ჯემალ-ბეკს გულზე ეამბორა, შემდეგ მე მომწვდა, ხელი მაგრად ჩამოგვართვა და გამოგვემშვიდობა. ყანწით ხელში, და დარბაზიდან უკან-უკან ხევით, ჯემალის ძმა სხვა ექვს აჭარელ მხლებლებთან ერთად, მშვენიერ "მადლობელი ვართ"-ს მღეროდენ. სუფრაზე ხო მათ მიერ იყო შესრულებული ისეთი ძველი ქართული სალხინო სიმღერები, რომელიც წინად და არც შემდეგში ადარ მსმენია.

სამცხე-ჯავახეთის აღელვებული ბეგები – ერისთავები, ფალავანდიშვილები, მაჩაბლები, აბაშიძეები, ავალიშვილები, ამილახვრები და სხვა დამსწრე ქართველი მაჰმადიანები სტუმრების სიმღერას აჰყვნენ და დაუპატიჟებელნი, მაგრამ მეტად სასიამოვნო სტუმრებიც გაჰქრნენ.

ამ შემთხვევამ მეტად დიდი შტაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ერთი ფიქრი მომივიდა თავში: ჯემალისთვის გამენდო და მე თვით გაეყოლოდი მათ; თითქო მან ეს იგრძნო და დინჯად მითხრა: - "გაუშვი, თავზეხელაღებულია ჩემი ძმა, მაგრამ ეს თურქის ოფიცრები რაღაცას ფიქრობენ?! ვაცალოთ ბატონო, რუსისა და თურქის ჯარს, იქნებ ორივე დაიღუპოს და მაშინ გვმართებს ჭკუა და საქმიანობა ქართველი ხალხის ბედი სასურველად გამოეჭედოთ"-ო.

ახლა ორი ცხენოსანი მანდილოსანის მეთაურობით, ხმაურობითა და ყიჟინით გამოვდიოდით აჭარიდან; ქორწინება სასიძოს სახლში უნდა გაგრძელებულიყო.

გადმოვედით ახალციხის მაზრის პირველ სოფელში. აქ შეგვეგება ასამდე ცხენოსანი ქვაბლიანელი მაჰმადიანი, თოფის სროლითა და სიმღერებით.

ერისთავის სამფლობელო სოფელ ადიგენში სამი დღე-ღამე ვიდღესასწაულეთ ქალის მოყვანა. უკანასკნელ დღეს მე, როგორც ახლო ნათესავი ამიერიდან, პატარძალს უნდა გამოეშვიდებოდი; მან თავისი ქმრის მამიდა ქალბატონ მაჩაბელის თანდასწრებით მიმიღო თავის ოთახში; ორივეს სახე დაფარული ჰქონდა, როცა თვით ბახში-ბეკ მაჩაბელმა კარებს მიაკაკუნა, ნელა შეაღო და შიგ შემიშვა. ქბ-ნ მაჩაბლისამ პირველმა აიხადა რიდე და მეჩვენა ღია სახით; შემდეგ სწვდა რძალს, აიწია საფარი და ტკბილის ღიმილით ორივე ყავით გამიმასპინძლდა. გამომშვიდობებისას, ადათის მიხედვით საჩუქარი უნდა გამეღო. მე ადრე ვიყავი გაფრთხილებული; ას-მანეთიანი ქალალდის ფული მზად მქონდა, მაგრამ დავირცხვინე და არ იქნა და არა, ვერ გავბედე ფულის მაგიდაზე დადება. მთლად დადებული მთლად დაღონებული გარეულ გამოვედი; იქ ხუთი-ექვსი ბეგი მიცდიდა; მე ასი მანეთი ამოვიღე და ბახში-ბეკს ვთხოვე: თვით შეეტანა და მაგიდაზე დაედო. ასტყდა სიცილ-ხარხალი; ბახში-ბეკ მაჩაბელმა სამაგიეროდ გამომიტანა საჩუქარი: თვით რძალის მიერ დაგვირიშტებული და მოქარგული ორი პერანგი, ორი პირსახოცი, მისივე მოქსოვილი აბრეშუმის წინდა და ექვსი ცხვირსახოცი. თურმე ამ საჩუქარს თვით რძლისაგან მივიღებდი, რომ გამებედნა და ფული დროზე თავის ადგილას დამედო.

სრულიად კმაყოფილი, ბედნიერი და მხიარული, ათი დღის შეუწყვეტელი დროს ტარების შემდეგ ვბრუნდებოდი ახალციხეში, სადაც მიცდიდა ჩვეულებრივი, ყოველდღიური ვარჯიშობა და მეცადინობა რუსის ჯარისკაცებთან – საქმე ნაკლებ საინტერესო და არა-დამაკმაყოფილებელი.“

***

„ასეთია სრულიად მოკლედ ის ამბავი, რომელის დატრიალდა სამცხე-ჯავახეთში რევოლუციის პირველ ხანში. აქედან ირკვევა, რომ ოსმალებს თავიდანვე, ომის პირველი დღიდანვე მშვენივრად ჰქონდათ მოწყობილი სადაზვერვო აპარატი, და პანისლამისტურ – პანთურქულ ნიადაგზე ამ მუშაობაში ქართველი მაჰმადიანებიც იყვნენ ჩათრეული.

რუსეთი ქართველ მაჰმადიანებს ეზიზღებოდათ, საქართველოს სახელმწიფო არ არსებობდა და ქართული ეროვნული

პროპაგანდა კი აქ უსუსტესი იყო, არც კი არსებობდა, შეიძლება ითქვას.

სომხები და მაჰმადიანები დაპირისპირებულნი იყვნენ და მათ შემრიგებელ როლს ქართველობა თამაშობდა. მაგრამ, როგორც დავინახეთ, ორივე მაინც როცა საქმე ქართველობას ეხებოდა, ერთად მის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ეს მოვლენა მეტად მნიშვნელოვანი, დამაფიქრებელი და საშიშიც იყო. მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და საკუთარი სახელმწიფოს შექმნამ ქართველ მაჰმადიანთა გული თბილისისაკენ მოაბრუნა და საქართველოს მთავრობას, რომ სათანადო და წესიერი პოლიტიკა ეწარმოებინა ამ მხარეში, ჩვენ ავსცდებოდით მეორე, დიდ აჯანყებას, რომელიც სერვერ-ბეკ ათაბაგის ხელმძღვანელობით მოხდა. ამ ნაწყვეტში მოხსენებული არ იყო სერვერ ათაბაგი – ქვაბლიანელი. სერვერი იყო მთელ სამცხე-საათაბაგოში დიდად ცნობილი და გავლენიანი ფეიზულ-ბეკის შვილი. თვით ფეიზული რუსეთის ერთგული იყო და აბასთუმანიდან დიდი მთავარის გიორგი ალექსანდროვიჩის კუბო ხელით რომ გამოჰქონდა, უსულოდ ძირს დაეცა.

ფეიზულის შვილი სერვერი მესხეთში ოსმალთა აგენტების მუშაობას არ თანაუგრძნობდა; პირადად ჩემთან იყო მჭიდრო მეგობრულ დამოკიდებულებაში, და თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს იგი მას გადაუდგა და სხვა გზა აირჩია, ჩვენს მთავრობას აჯანყებაც მოუწყო, ახალციხეც დაიკავა, ეს იყო გამოწვეული არა ოსმალეთისადმი სიყვარულით ან ოსმალური ორიენტაციით, არამედ იმ ყოვლად მიუღებელი აგრარული რეფორმის მიზეზით, რომლის ძალით სერვერ ათაბაგი დიდი მიწათმფლობელი, უნდა გაღატაკებულიყო. ამ ნიადაგზე მას შეურთდენ ბევრი დანარჩენი ბეგებიც.

მართალია, ეს მეორე აჯანყებაც დამარცხდა, და სერვერ ათაბაგიც გაიხიზნა, მაგრამ საქართველოს შეეძლო ამ ჭკვიანი, განათლებული და ამ მარჯვე კაცის შემწეობით დანარჩენი გავლენიანი ქართველი მაჰმადიანები თავის მხარეზე გადმოეყვანა, საქართველოსათვის შემოემტკიცებინა და თავიდან აგვეცილებინა ის დიდი გართულებაც, რომელიც, სამწუხაროდ, სერვერ ათაბაგის ავანტიურას თანმოჰყვა.

**შალვა მაღლაკელიძე**

ახმედ აჭარის ხიმშიაშვილებისა და აბაშიძეების საგვარეულო ქრონიკაზე მუშაობა უკვე დასრულებული გვქონდა, როდესაც პროფ. გოგი ხიმშიაშვილმა და მის მეუღლემ ქალბატონმა თამარმა თავაზიანად მოგვაწოდეს 2002 წლის 9 და 23 ოქტომბრის « სახალხო განათლების » ორი ნომერი – იქ დაბეჭდილი ხიმშიაშვილებისადმი მიძღვნილი პუბლიცისტ ქალბატონ ლუბა ბიბილეიშვილის ვრცელი ნარკვევით – « ფესვები ». ავტორისავე განცხადებით, ის ეძღვნება თანამედროვე ქართველი ინტელიგეციის უფროსი თაობის გამორჩეული წარმომადგენლის ნიკა (ნიკოლოზ) ხიმშიაშვილის ოჯახს და მის სახელოვან წინაპრებს. მისი მამა, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი პოლკოვნიკი, გიორგი ხიმშიაშვილი გახლდათ, დედა კი ახალციხე-ფოცხოველი ზექიე ათაბაგი-ჯაყელი. მათი შვილიშვილია პროფ. გოგი ხიმშიაშვილი, ცნობილი მათემატიკოსი. აღნიშნული ნარკვევი ჩვენთვის იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ გადავწყვიტეთ, ახმედ აჭარის წიგნის მიმოხილვა ამ ოჯახის ისტორიით დაგვემთავრებინა. მით უმეტეს, რომ ჩვენს ნარკვევს ისტორიული კვლევის პრეტენზია არ ჰქონია. ჩვენ ბევრად მოკრძალებული მიზანი გვამოძრავებდა ქართველი მკითხველისათვის გაგვეცნო თურქეთში დამკვიდრებული ერთი სახელოვანი ქართული არისტოკრატიული საგვარეულოს --- ხიმშიაშვილების ტრაგიკული თავგადასავალი. თურქეთის ხიმშიაშვილებს მიუხედავად გადატანილი მრავალი შეჭირვებისა, ახსოვდათ და დღესაც ახსოვთ თავისი ისტორიული სამშობლო, გვარ-ტომობა, წარმომავლობა და უფრთხილდებიან წარსულის ხსოვნას. ისინი გენეტიკურად აჭარისა და ქართლ-კახეთის ხიმშიაშვილებთან არიან დაკავშირებულნი. ცხადია ა. აჭარმა არ იცოდა, რომ საგვარეულოს საუკეთესო შვილი პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის საკავალერიო ბრიგადის ესკადრონის მეთაური 1922 წელს შევიდა კოტე აფხაზის მიერ ჩამოყალიბებულ « სამხედრო ცენტრის » შემადგენლობაში და ამზადებდა საყოველთაო სახალხო აჯანყებას ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1923 წელს ის დააპატიმრეს და დახვრიტეს ორჯონიკიძისა და ორახელაშვილის ჯალათებმა. მისი უკანასკნელი სიტყვები ყოფილა

« გაუმარჯოს საქართველოს! » (გაზ. საქართველოს მოამბე. პარიზი 1923წ. №1). მის ოჯახში იზრდებოდა XIX ს. 90-იან წლებში თურქეთიდან ჩამოყვანილი ბიჭი ბაშირა შამსე, რომელმაც როგორც შეეძლო ისე უპატრონა იავარქმნილ ხიმშიაშვილებს. გიორგი ხიმშიაშვილის მეუღლე ახალციხის მფლობელის ფეიზულა ბეგ ათაბაგ-ჯაველის ქრისტიანი ქალიშვილი იყო. მისი ძმა გახლდათ ცნობილი სერვერ ათაბაგი-ჯაველი, ფრაიბურგის უნივერსიტეტდამთავრებული ბოლშევიკების დაუძინებელი მტერი. (თურქეთის მეჯლისის წევრი 1962წ. ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში). ისევე როგორც თემურ ბეგ ხიმშიაშვილი, სერვერ ბეგიც შემდგომში მტრის ბანაკში აღმოჩნდა. 1918-1919 წლებში ახალქალაქ-ახალციხის კომისარი ყოფილა. ვიქტორ ნოზაძე ასე ახასიათებდა მას « სერვერ ათაბაგი თავიდანვე საქართველოს მტერი არ იყო. იგი არც ოსმალეთის მოტრფიალე ყოფილა. რევოლუციამ თავისთავად დააფრთხო მესხეთის მაღალი წოდება. სოციალისტურმა ქადაგებამ ააღელვა მორწმუნე მაჰმადიანობა, განსაკუთრებით სასულიერო წოდება. აგრარულმა რეფორმამ გადაატრიალა მიწისმფლობელთა მდგომარეობა და მამულის დაკარგვის აუცილებელმა შიშმა ერთბაშად შექმნა თბილისის საწინააღმდეგო განწყობილება. ეს ვითარება პირდაპირ ძირს სცემდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. » ამით კარგად ისარგებლეს საქართველოს მტრებმა. სოციალისტურ-კლასობრივმა პოლიტიკამ ადგილობრივი ვითარების გათვალისწინების გარეშე უდიდესი ზიანი მოუტანა ქვეყანას 1921 წლის შემდეგაც. (ვ. ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბ. 1989წ.) გენერალი გიორგი კვინიტაძე, რომელმაც ჩაახშო სერვერ ბეგის ავანტურა ახალციხეში აღნიშნავდა, თუ რა ძვირი დაუჯდა ქვეყანას « ხალხის, დახარჯული ენერგიის და თანხის მხრივ » ეს სამი-ოთხი თვე, რომლის შედეგით, კი ინგლისელების გამოისობით, მესამე მხარემ ისარგებლა (გიორგი კვინიტაძე. მოგონებები თბ. 1998წ. გვ. 133). ანალოგიური ვითარება იყო აჭარაში, მაგრამ იქ ხიმშიაშვილებისა და აბაშიძეების მოლვაწეობამ გადაარჩინა საქართველოს ეს კუთხე.

აჯანყების შემდეგ სერვერ ათაბაგს უცდია საქართველოსთან შემორიგება, დეპუტაციაც გამოუგზავნია, მაგრამ სოციალდემოკრატებმა არ შეიწყალეს. ის იძულებული ყოფილა გადახვეწილიყო. მაშინ არავის აღმოაჩნდა შორსმჭვრეტელობა, რათა პირველ ადგილზე ეროვნული ინტერესები დაეყენებინათ.

მოვლენათა ასეთი განვითარება არც არის გასაკვირი, რადგანაც იმდროინდელი საქართველოს ხელმძღვანელობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკურ ფრთას ეკუთვნოდა და ეროვნული პრობლემები მათ არ აღელვებდათ. სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას კი ძალისმიერი მეთოდებით ცდილობდნენ.

გენერალი გიორგი კვინიტიძე თავის მოგონებაში წერს: "სერვერ ბეგი თურქეთში გაიქცა, მოსახლეობა მორჩილებას და ჩვენთან შემოერთების სურვილს გამოხატავდა" (იხ. მისი მოგონებები, I თბ. 1998წ. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921წწ. გვ. 149)

ამ ბრძოლის შედეგებმა განაპირობა აჭარის შემდგომი ბედი, ის სამუდამოდ დაუკავშირდა დედა სამშობლოს – საქართველოს. 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში გამართულ "სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის პირველმა ყრილობამ დააფუძნა აჭარის მეჯლისი – პარლამენტი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მემედ აბაშიძე. ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულ იქნა:

"ამიერიდან სამარადისოდ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკას, სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიის ნიადაგზე."

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რასაც მოჰყვა ხიმშიაშვილებისა და აბაშიძეების მიზანდასახული დევნა, ხიმშიაშვილების დიდი ნაწილი თურქეთში აღმოჩნდა. 1935 წლამდე ხულოში ცხოვრობდნენ შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის პირდაპირი შთამომავლები, ჯელილ ჯემალის – ძე ხიმშიაშვილი და მისი ოჯახი, რომლებმაც აარიდეს რა თავი კომუნისტურ რეპრესიებს, თურქეთში პოვეს საბოლოო თავშესაფარი. მათი მემკვიდრეები არიან ენვერ და მელაათ ხიმშიაშვილები, რომელთა ოჯახში ბევრი საინტერესო მასალა ინახება მესხეთის ქართველი დიდებულების, ისტორიული საგვარეულოს შესახებ (შ. ფუტკარაძე. "მენატრები ჩემო ხულო. . " ნარკვევი. ლიტერატურული საქართველო 22-28 ივნისი, 2001წ.) ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის სიტყვებით ხიმშიაშვილები "ჩვენი ისტორიისათვის ფასეულ ბევრ სამუზეუმო ექსპონატს სათუთად ინახავენ." ასევე მრავალი ქართული ყოფითი კულტურის უნიკალური ნივთი ინახება ქართველ მუჰაჯირთა ოჯახებში, რომელთა აღწერა და ფიქსაცია საშური საქმეა. პარიზში გამომავალ ჟურნალ

"ქართლოსში" 1939 წლის №19-23 ნომერში დაბეჭდილია გენერალ შალვა მაღლაკელიძის მოგონებანი (იხ. დამატება II) სადაც აღწერილია 1917 წელს ხიმშიაშვილების ხულოს სასახლეში გამართული ქართული ქორწილი ქვაბლიანელი ბეგი ბაპრი სულეიმანის-ძე ერისთავისა (თორნიკე ერისთავის პირდაპირი შთამომავლები) და თემურ ბეგ ხიმშიაშვილის (ჯემალ ბეგის ძმა) ქალიშვილის სურულის შეუღლების აღსანიშნავად. ქორწილს ესწრებოდნენ აბაშიძეები, ერისთავები, ფალავანდიშვილები, ავალიშვილები, ამილახვრები, მასაბლები და სხვა. სამწუხაროდ, კლასთა ბრძოლის პოზიციებიდან მათ წინააღმდეგ ჯერ სოციალ-დემოკრატების, შემდეგ ბოლშევიკების მიერ მოწყობილმა გენოციდმა გაანადგურა არისტოკრატების ის მძლავრი ფენა, რომელიც აკავშირებდა სამუსლიმანო საქართველოს დედა-სამშობლოსთან. ნიშანდობლივია, რომ შ. ფუტკარაძის სიტყვებით: "დღეს, ხსენებული ნეფე-დედოფლის (სურ. 19) შთამომავლები სტამბოლში ცხოვრობენ. საქართველოს ისტორიითა და კულტურით არიან დაინტერესებულები." მათ გვარად კავკასელი მიუღიათ. .

აჭარამ მიუხედავად თურქთა სამასწლოვანი ბატონობისა, შეინარჩუნა ეროვნული თვითშეგნება და კულტურული ფასეულობანი. აღნიშნული გარემოება კარგად შენიშნა რუსმა მოხელემ ა. ფრენკელმა, რომელმაც ჯერ კიდევ 1878 წელს მოინახულა აჭარა — „ახლადშემოერთებული მხარე", რომლის შესახებაც იმპერიაში თითქმის არაფერი იცოდნენ, ახასიათებს რა მუსულმან ქართველებს, კერძოდ, აჭარლებს, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ, ა. ფრენკელი ამბობს: „შემოინახეს რა შესანიშნავი პირველყოფილი თვისებები, ასე ვთქვათ, საკუთარი ისტორიული მემკვიდრეობა — სტუმართმოყვარეობა, პატრიარქალური ზნეობა, უფროსების პატივისცემა, სიმამაცე, პირადი ვაჟკაცობა, — ბათუმელი ქართველები უნდა ვცნოთ შეუბღალავ, გაუფუჭებელ ხალხად, ასეთი ხალხით, უნარიან, კარგ მმართველს შეუძლია ბევრის გაკეთება" (*А. Френкель. Очерки Чурк-Суи Батума, Тифлис, 1879б с.18*) ასევე წინასწარმეტყველური იყო ისკანდერ ციკაძის 1916 წ. წარმოთქმული სიტყვები: „როგორც მაჰმადიანთ, ასევე ქრისტიან ქართველებს აერთიანებს დიდი ეროვნული კულტურული იდეა; „მოგვეცით განათლება დ ოცდაათი წლის შემდეგ დაგეწევით!" აღსრულდა მამულიშვილთა იცნება, XXI საუკუნეში აჭარა, ისევე როგორც მთელი საქართველო, აშენებს დამო-

უკიდებელ, ახალ დემოკრატიულ ქვეყანას. ამ საშვილიშვილო საქმეში, თავისი დიდი წვლილი შეაქვს აჭარის ინტელიგენციას, ხიმშიაშვილებსა და აბაშიძეებს, ციეაძეებსა* და კაიკაციშვილებს...

ამასთანავე ა. აჭარმა ვერ ახსნა საქართველოში XIX საუკუნეში მიმდინარე რთული ისტორიული პროცესები – „სამაჰმადიანო საქართველოს" ანტირუსული და პროთურქული იმპულსების გამომწვევი მიზეზები. რუსეთის იმპერიამ პოლიტიკური და სამხედრო პლაცდარმი სამხრეთ კავკასიაში 1801 წლის აქტით დაიმკვიდრა, გააუქმა რა ქართლ-კახეთის სამეფო. აჭარისა და მესხეთის მიმართულების ანალოგიური ექსპანსიის განხორციელება მან XIX საუკუნის ბოლოს შესძლო. ეს იყო იმპერიული გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავდა თურქეთის დაშლა-დანაწილებას, შავი ზღვის „რუსეთის ტბად" გადაქცევას. აჭარა-გურაში და აფხაზეთში კომპაქტურად ასახლებენ რუს კოლონისტებს, ურიგებდნენ მიწებს, ათავისუფლებდნენ გადასახებისაგან, რაც ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. მუჰაჯირობა აუტირუსული განწყობით უფრო იყო განპირობებული, ვიდრე პროთურქულით. აჭარაში ამასთანავე ძლიერდებოდა საერო ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეა, უკვე თურქეთის სულთნის ეგიდით. აქედან დაპირისპირება რუსეთის და თურქეთის სამსახურში მყოფ ქართველებს შორის, რაც ესოდენ დრამატულად წარმოაჩინა აჰმედ აჭარმა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ XXI საუკუნეში ყველა პრობლემა უკვე საერთო ქართული ინტერესების პოზიციებიდან გადაიჭრება. ვფიქრობთ დადგა დრო, რაც „ვარდების რევოლუციამაც" დაადასტურა, რათა მუჰაჯირების შთამომავლებს ქართველებსა და აფხაზებს მიეცათ საშუალება დაბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოში სრულუფლებიანი მოქალაქის სტატუსით.

---

* არსებული ცნობებით ისკანდერ ციეაძე თურქული და არაბული ენების ჩინებული მცოდნე და საერთოდ სწავლული პოლიგლოტი ყოფილა. იე. ჯავახიშვილს ის თბილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორად მოუწვეია. ს. ორჯონიკიძესთან კონფლიქტის გამო იძულებული ყოფილა თურქეთში ეძია თავშესაფარი. მისი პირდაპირი შთამომავალია, შვილიშვილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ქიმიკოსი ასლან ციეაძე.

ამგვარად ფოცხოველი ხიმშიაშვილების შთამომავალმა ახმედ აჭარმა, ისტორიული გადმოცემებისა და საოჯახო არქივის საფუძველზე მოგვცა ხიმშიაშვილებისა საგვარეულოს ისტორია, რითაც მან სუმბათაშვილის არ იყოს გამოისყიდა თავისი ნებითი თუ უნებლიე "ღალატი". როგორც იტყოდნენ ძველი რომაელები "ამით ცოტა როდია ნათქვამი – Quod non est paululum dicere"...

დასასრულს, ავტორები მადლობას უხდიან ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებს ა. ჯაფარიძეს, შ. ჯაფარიძეს, ლ. გაჩეჩილაძეს, ნ. გოისაშვილს, ნ. ოთხვანს და განსაკუთრებით ბატონ როლანდ ბურჭულაძეს ნარკვევზე მუშაობისას გაწეული უანგარო დახმარებისათვის.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. Ahmet Acar. Tarichte Hamsigullari. Ankara. 1995, gv 5-223
2. Акты Кавказской археографической коммисий. Т.Х. Тифлис 1885
3. Бакрадзе Д. Заметки о Батумском крае. Известия Кавказского отдела Императорского русского географического общества. Т.VI, 1879-1881.
4. Думин С. Чиковани Ю. Князья Царсва Грузинского. М., 1998
5. Линден. Высшие классы коренного населения кавказского края и правительственные мероприятия по определению их составных прав.Тифлис, 1917.
6. Френкель А. Чурук-су и Батумь. Тифлис, 1879.
7. აბაშიძე მემედ – 130 წელი. ჟურნალ "ეპოქის" სპეციალური გამოშვება. ერთიანი ქართული ოჯახი. №3(11). 2003.
8. აბესაძე ა. აჭარის მთავარი ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი. თბ., 1914.
9. ავალიანი ა. მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში XIX ს. 40-70წწ. ბათუმი, 1960.
10. არჯევანიძე ივ. შთაბეჭდილებები ზემო აჭარაში მოგზაურობიდან. აჭარის სახ. მუზეუმის შრომები. ტ. VI. ბათუმი, 1963.
11. ახვლედიანი ხ. სახალხო-გამათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში. ბათუმი, 1957.
12. ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987.
13. ბიწაში წ. ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში. თბ., 1988.
14. გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ზურაბ ჭუმბურიძის და ქველი ხახარტიშვილის რედაქციით. თბ., 1933.
15. გურული ვ., სილაგაძე ა. საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან. მემედ ბეგ აბაშიძე.

დოკუმენტური მასალები (1917-1923). თბ., 1996.
16. ვაშალომიძე ა. ბათუმის ოლქის საკითხი ბრესტ-ლიტოვსკისა და ტრაპიზონის საზავო კონფერენციებზე. ბსუ. მემედ აბაშიძის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, I; ბათუმი, 2001.
17. ვერძაძე ნ. ქვეყნის გადარჩენის ნიჭი. ბათუმი, 1995.
18. თაყაიშვილი ე. არქეოლოგიური ექსპედიციები კოლაოლთისში და სოფელ ჩანგლში. კრ. "დაბრუნება", I. თბ., 1991
19. თოფჩი'შვილი რ. ქართული გეარსახელების ისტორიიდან, I თბ., 2003.
20. ივანიძე გ., ივანიძე მ. ბრძოლა მესხეთისათვის. 1917-1921. თბ., 2002.
21. კომახიძე თ. მამულიშვილი. ბათუმი, 1994.
22. კომახიძე თ. დუდი ხანუმ ბეჟანიძე და ძე მისი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი. ბათუმი, 2002.
23. კომახიძე თ. ქობულეთი და ქობულეთელები. ბათუმი, 1997.
24. მამულაძე დ. შერიფ ხიმშიაშვილი. ბათუმი, 1979.
25. ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი XVIII ს. შუა წლებიდან XIX ს. შუა წლებამდე. თბ., 1975.
26. მახარაძე მ. სხალთის ზარები. წერილები აჭარაზე. თბ., 1996.
27. მეგრელიძე შ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. თბ., 1963.
28. მშვიდობის გადარჩენის სახელით. საერთაშორისო დამოუკიდებელი ჟურნალის "ჰაო-ქართლოსის" გამომცემლობა. 1989.
29. ნინიძე დ. ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია. XII-XIIIსს. თბ., 2004.
30. ნოზაძე ვ. საქართველოს აღდგნისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბ., 1989.
31. სახოკია თ. მოგზაურობანი. გურია, აჭარა, სამურზაყანო. აფხაზეთი. თბ. 1950
32. სიხარულიძე ი. გენერალი ასლან აბაშიძე. თბ., 1994.
33. ტაბატაძე კ. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. თბ., 1974.
34. ფუტკარაძე შ. ჩვენებურების ქართული. ბათუმი, 1993.
35. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 9. თბ., 1995.

36. ყაზბეგი გ. აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960.
37. ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1975.
38. შარაძე გიორგი. საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. თბ., 2003.
39. შარაძე გ. მემედ-ბეგ აბაშიძე. თბ., 1995.
40. ცეცხლაძე ნ. შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიკა. ბათუმი, 2000.
41. ცხადაია ჰ. გვარები და გვაროა დასახელებები სამეგრელოში. თბ., 2000
42. ხიმშიაშვილები, (წყაროები, ლიტერატურა, პუბლიკაციები) წიგნი I. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ბიბლიოგრაფია და საძიებელი დაურთო იოსებ ხიმშიაშვილმა. ბათუმი, 2003.

## სურათების აღწერა

სურ. 1 წიგნის «ხიმშიაშვილების საგვარეულოს ისტორია»-ს ავტორი ახმედ აჭარი.
სურ. 2 შერიფ ფაშა ხიმშიაშვილი
სურ. 3-4 შერიფ ფაშა ხიმშიაშვილი
სურ. 5-6 ჯემალ ფაშა ხიმშიაშვილი
სურ. 7 სელიმ ბეგ ხიმშიაშვილი
სურ. 8 დევრიშ ბეგ ხიმშიაშვილი
სურ. 9-10 თემურ ბეგ ხიმშიაშვილი და ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი
სურ. 11 ფოცხოვის სანჯაყ ბეგი ახმედ ათაბაგი
სურ. 12 ფოცხოვის სანჯაყ ბეგი შაქირ ბეი ოღლუ და ახმად ბეგ ათაბაგი
სურ. 13 ასლან ბეგ აბაშიძე
სურ. 14 მუ'მერ სულეიმან ბეგ აბაშიძე
სურ. 15 მემედ აბაშიძე
სურ. 16 გენერალი ასლან აბაშიძე
სურ. 17 გენერალი ასლან აბაშიძე
სურ. 18 თემურ ფაშა ხიმშიაშვილი თურქეთის სულთან მეჰმედ ვაჰიდედინის გვერდით, ეროვნულ ტანსაცმელში. 1918 წლის 15 აგვისტო
სურ. 19. ბაჰრი ბეგ ერისთავი და მისი მეუღლე თემურის ასული სურულ ხიმშიაშვილი

* საილუსტრაციო მასალები მომზადებულია **გურამ შალამბერიძის** მიერ

ხერ. 2. შერიფ ხიმშიაშვილი ერეკლულ ტანსაცმელში

სურ. 3. მაიორი შერიფ ფაშა ხიმშიაშვილი

სურ. 4. გენერალ-მაიორი შერიფ (ალექსანდრე) ხაშმაშვილი
(1829-1992)

სურ. 5. ჯეკალ ფაშა ხიმშიაშვილი



ხელ. 6. ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი

სურ. 7. სელიმ ბეგ ხიმშიაშვილი

სურ. 8. დერვიშ ბეგ ხიმშიაშვილი

სურ. 9. თემურ ბეგ ხიმშიაშვილი

ხელ. 10. თემურ ბეგ ხიმშიაშვილი

სურ. 11. ფოცხოვის სანჯაყ ბეგი

სურ. 12. ფოცხოეის სანჯაყ ბეგი, შაქირ ბატონიშვილი (ბეიღლუ) და ახმედ ბეგი ათაბაგები

სურ. 13. ახლან ბეგ აბაშიძე

სურ. 14. მეშუერ სულეიმან ბეგ აბაშიძე

სურ. 15. მემედ აბაშიძე

სურ. 16. საქართველოს რესპუბლიკის გენერალი ასლან აბაშიძე



სურ. 17. გენერალი ასლან აბაშიძე

სურ. 18. ოჯახური ფოტო თურქეთის სულთანთან

სურ. 19. ბაპრი ერისთავი და სურტი ხიმშიაშვილი ქორწინების დღეს

Ketevan Lortkipanidze
Guram Lortkipanidze

# Ahmet Acar'ın kitabına göre Himşiaoğulları ailesinin tarihi

Aşağıdaki yazının yazarları Tiflis Devlet Üniversitesinde çalışan Türkolog Ketevan Lortkipanidze ve arkeolog Guram Lortkipanidzedir. Bilimsel yapıtın adı Ahmet Acarın kitabına göre Himşiaoğulları ailesinin tarihidir. Bu yapıt eski Gürcü aristokratik ailesi hakkında bilgi vermektedir.

Bu bilimsel yapıtı hazırlarken kitabın yazarları Ahmet Acar'ın kitabındaki arşiv belgeleriyle XX yüzyıl başında Gürcistan'da basılan Gürcü dergilerde bulunan bilgilerden faydalanılmıştır. Bu belgelere göre Himşiaoğulları'nın katkısı 1914-1921 yıllarında Güney Gürcistan'da ve Acara'da devam eden süreç hakkında bilgi verilmiş bunda Himşiaoğullarının rolü büyüktür.

Ahmet Acar'ın kitabı tarihte Himşiaoğulları 1994 yılında Ankara'da basılmıştır. Bu kitapta eşsiz aile resimleri vardır. Bu kitabın yazarları bu kitaptan faydalanmışlardır. 1993 yılında Ahmet Acar atalarının vatanına yani Acara'ya gelmiş. Ünlü Gürcü Şairi Akaki Tsereteli'nin yıl dönümü dolasıyla yapılan törenlere katılmış. Akaki Tsereteli'nin annesi Himşiaoğullarının akrabasıymış.

Himliaoğulları ailesi globalleşen dünyamızda Türkiye ile Gürcistan arasında gelişmekte olan kültürel ilişkileri birbirine bağlayan bir köprü görevi yürütmektedir. Kitabın yazarları bu eserin Gürcü halkına olduğu gibi Türk halkına da büyük hizmetler edebilmesi adına herşeyi tarafsız yazabilmek için büyük gayret göstermişlerdir. Sarp Sınır kapısının coşkulu açılışıyla ilişkiler her yönden sanılanların da ötesinde gelişti ve gelişiyor, daha da gelilecek.

Himşiaoğulları ailesinin faaliyetleri Gürcistan ile Türkiye ilişkilerinin gelişmesinde önemli bir temel unsur olacaktır. Bu eser sayesinde başka alternativinde olmadığı Gürcü ve Türk halklarının dostluğunun XXI. yüzyılda daha da gelişmesine büyük katkılar sağlıyacakrtır.

# შინაარსი


შესავალი – „საპატიო საგვარეულოს“ ხიმშიაშვილების ნაკვალევზე. ახმედ აჭარის მოკლე ბიოგრაფია ..... 5

ხიმშეფ-ხიმშიაშვილების საგვარეულოს ისტორია – საგვარეულოს წარმომავლობა. თემურ ხიმშიაშვილი. „ხიმშიაშვილების საგვარეულო შტო“. განსახლების რაიონები. აბაშიძეები. პირველი მსოფლიო ომი. სარიყამიშის შეტევა ..... 17

ა. აჭარი აბაშიძეთა შესახებ (გიორგიდან გიორგიმდე) ..... 53

დამატება I – კორესპონდენციები 1916 წლის ქართული პერიოდიკიდან 57

დამატება II – შ. მაღლაკელიძის მოგონება 67

ბოლოსიტყვაობის ნაცვლად 74

გამოყენებული ლიტერატურა 80

სურათების აღწერა 83

რეზიუმე (თურქულად) 84